

არნოლდ ჩიქობავას

საკითხავები

XXV

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას საკითხავები

XXV

2014 წლის 14-17 აპრილი
მ ა ს ა ლ ე ბ ი

თბილისი
2014

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (პ. ინგო-
როყვას ქუჩა №8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 3 წუთი

რედაქტორი — **ვ. შენგელია**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

14 აპრილი, 11 საათი

- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე
- ა. ა რ ა ბ უ ლ ი, კიდევ ერთხელ გასული საუკუნის საენათმეცნიერო დისკუსიის შესახებ
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, კაუზატივი ნაზმნარ სახელებში
- რ. ჭ ი კ ა ძ ე, მარტივი წინადადების შედგენილობის მეცნიერული შესწავლის სათავეებთან
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, **ე** ხმოვნისანი ზმნური ფუძეები ქართულში
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, მართულმსაზღვრელიანი ხალხური ლექსიკური შესიტყვებები და ფრაზეოლოგიზმები რ. ინანიშვილის ენის მიხედვით
- თ. ლ ო მ თ ა ძ ე, ქართულ-ებრაული ლექსიკური კონტაქტებისათვის
- ნ. ხ ა ხ ი ა შ ვ ი ლ ი, **დაგერშვა** სიტყვის ისტორიისათვის
- ნ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ტერმინ „ორთოგრაფიულისა“ და ლექსიკონთა კვალიფიკაცია-კლასიფიკაციის საკითხისათვის ქართულში
- ლ. კ ე ლ ა უ რ ა ძ ე, ამოსავალი პირდაპირი ობიექტისა და ფინალური სუბიექტის მრავლობითობის /ენ/ ნიშნის რეკონსტრუქციისათვის საერთოქართველურში
- მ. ჯ ღ ა რ კ ა ვ ა, ერთი სემანტიკური ჯგუფის ზმნათა მორფოლოგიური სახე მეგრულსა და ლაზურში
- რ. კ ა ნ ა რ კ ო ვ ს კ ი (კრაკოვი), ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელწოდებანი უბიხურში

15 აპრილი, 11 საათი

- ნ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, ზმნის სათანაო კატეგორიის წარმოების კვალი ქართულში
- ს. ო მ ი ა ძ ე, ნდობისა და უნდობლობის სიგნალები ლინგვოპრაგმატიკული თვალსაზრისით
- მ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, „მაწ“ ძირისათვის ქართულ და სომხურ ენებში
- თ. გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე, პირისა და გრამატიკული კლასის ნიშანთა გახმოვანების წესები აფხაზურ ენაში
- მ. ტ უ ს კ ი ა, თ. ვ ა ჭ ა რ ა ძ ე, ნასახელარ ზმნათა წარმოქმნის თავისებურებანი ქართულში
- ფ. ა ფ ხ ა ი ძ ე, ფერთა სახელების სემანტიკის შეპირისპირებითი კვლევისთვის
- ნ. ს უ რ მ ა ვ ა, -ვე ნაწილაკის უცნობი ფუნქციისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში
- რ. გ ე რ ს ა მ ი ა, ქართველურ ენათა ფონოსემანტიკური ლექსიკის შესწავლის სათავეებთან
- კ. მ ი თ ა გ ვ ა რ ი ა, სიტყვა ჰჰ ჩერქეზულ საკუთარ სახელებში
- მ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, წარმომშობი გრამატიკიდან სინტაქსის **X-bar** თეორიამდე
- ბ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, მრავალგზისობის კატეგორიის გამოხატვის ცვლილებისათვის — ორგანული წარმოებიდან აღწერით წარმოებაზე გადასვლა

16 აპრილი, 11 საათი

- მ. დ ლ ო ნ ტ ი, ქართული ექსკლუზივის საღვთისმეტყველო ასპექტები
- მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, რთულ ზმნისწინთა ყველა შესაძლო კომბინაცია სვანურში
- ლ. გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი, მ. ს ა ლ ლ ი ა ნ ი, ნ. შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი, პირობითდამოკიდებული წინადადების კავშირთა მორფო-სინტაქსური ანალიზი სვანურში
- მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, რეკლამა-აბრების წარწერათა მართლწერისათვის

პროექტი „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“

- ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა, იდიომის ცნებისათვის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში
- ე. შ ე ნ გ ე ლ ი ა, დიხა „მიწა“ ლექსემის შემცველი იდიომებისათვის მეგრულში
- გ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ფრაზეოლოგიზმი და კომპოზიტი მეგრულში
- ც. ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა, ფლორასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები მეგრულ იდიომებში

პროექტი „ქართული სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო“

- თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, ერთი ტიპის დანართიან სახელთა მართლწერისათვის
- თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, ერთი სახის პუნქტუაციური უზუსტობისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

პროექტი „ქართული ენის სიტყვათშენამებათა ელექტრონული ლექსიკონი“

- ა. ა რ ა ბ უ ლ ი, თ. ვ ა შ ა კ ი ძ ე, თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, აბრევიატურების ფორმაწარმოების საკითხი

17 აპრილი, 11 საათი

- ი. ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე, სისგ- > წიწვ-სისნ- ფუძეთა ურთიერთმიმართე-ბისათვის მცენარეთა ნომინაციებში
- თ. მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე, საქართველოში მცხოვრები ყრუთა თემის ლინგვისტური იდენტობა
- მ. ჩ უ ხ უ ა, სახელწმინის წარმოების ზოგი საკითხისათვის ლაზურ-მეგრულში
- ქ. მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი, მყოფადუსრულის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში და მისი ქართული განმარტების პრობლემა
- ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, *ე ხმოვნის რეკონსტრუქციისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში
- შ. გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა, ზოგიერთი მოსაზრება „ფხვისტყაოსნის“ საკუთარი სახელებისა და პოემის შექმნის თარიღის შესახებ
- ნ. წ უ ლ ე ი ს კ ი რ ი, „ენობრივი ველი“ და ენათა შინაარსობრივი კვლევის პრობლემა
- რ. ლ ო ლ უ ა, უფულარული თანხმოვნები კავკასიის ალბანურში და მათი საერთოლენგვიური შესატყვისობანი
- მ. ბ უ კ ი ა, მეგრული მწყემსური ლექსიკა „შინამრეწველობის... მასალებში“
- ნ. ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ატენის ხეობის ტოპონიმიკურ-ონომასტიკური მასალები
- ც. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, რუხი ფერი სვანურში
- ნ. ნ ა კ ა ნ ი, სვანური ფლორისტული ლექსიკის შესახებ

კიდევ ერთხელ გასული საუკუნის საენათმეცნიერო დისკუსიის შესახებ

ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსია, რომელიც 1950 წლის 9 მაისს გაიხსნა გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული არნ. ჩიქობავას წერილით „საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ“ (სადისკუსიო სტატია), სამართლიანად ითვლება გადამწყვეტ მომენტად საბჭოთა ენათმეცნიერების განვითარების გზაზე და ეს ფაქტი განსაკუთრებულ წვლილად მიიჩნევა არნოლდ ჩიქობავას მრავალმხრივ სამეცნიერო მოღვაწეობაში; ამას თითქმის უგამონაკლისოდ აღნიშნავდა ყველა — საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც. მაგალითად, ვ. ა. ზვეგინცევი 1989 წელს წერდა (BAH CCCP, №12):

„თავისი კუთვნილი უნდა მიეგოს არნ. ჩიქობავას მეცნიერულ გამბედაობას, რომელმაც მკვეთრად კრიტიკული შეფასება მისცა ენის შესახებ „ახალ მოძღვრებას“...“

სახელდობრ ა. ს. ჩიქობავას სტატიით დაიწყო ის გარდამტეხი პროცესი, რომელმაც მოახდინა ასეთი უზარმაზარი გავლენა საბჭოთა ენათმეცნიერების შემდგომ განვითარებაზე“...

თუ დროისა და სივრცის ისტორიული განზომილებით შევაფასებთ აღნიშნულ დისკუსიას, გვაქვს საფუძველი, კიდევ ერთხელ ვცადოთ კრიტიკულად გავიაზროთ ამ კამპანიის ნამდვილი (არა — დეკლარირებული, არამედ — დაფარული და შორსგამიზნული) მოტივაცია; ანუ დავსვათ კითხვა: რამდენად იყო მოტივირებული ეს დისკუსია საკუთრივ ლინგვისტური ინტერესებით?

კერძოდ: დისკუსია იხსნება 1950 წელს, როცა საბჭოურ სივრცეშიც და, განსაკუთრებით, ქართულ ენათმეცნიერებაში არა მხოლოდ საკმაოდ მკვიდრად აქვს ფესვები გადგმული მსოფლიო თეორიულ მონაპოვრებს, არამედ ეს თეორიები პრაქტიკულად არის რეალიზებული ცნობილ ენათმეცნიერთა ფუნდამენტურ ნაშრომებში. სხვას რომ თავი დავანებოთ, უკვე 20-იანი წლებიდან, ეროვნული უნივერსიტეტის მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ურყევად მოდის აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, იოსებ ყიფშიძის, არნოლდ ჩიქობავას ფუ-

ქმედებელი კვლევები აღწერთსა თუ შედარებით ენათმეცნიერებაში; სახელდობრ: ა. შანიძის მონოგრაფია პირის ნიშნების შესახებ, მისი გრამატიკული მოძღვრება... გ. ახვლედიანის ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები; არნ. ჩიქობავას „მარტივი წინადადების პრობლემა“, „შედარებითი ლექსიკონი“, ზოგადენათმეცნიერული სახელმძღვანელო ნაშრომები...

თანაც ამ (დისკუსიის) დროისათვის, მართალია, იდეოლოგიურად საშიში, მაგრამ უკვე აშკარად კარიკატურული ფორმა აქვს მიღებული მარიხომის „აჩრდილს“... გავიხსენოთ: არნ ჩიქობავას კრიტიკული პათოსით გამსჭვალული მოხსენება ჯერ კიდევ დისკუსიამდე 10 წლით ადრე აქვს რუსეთში წაკითხული და 1941 წელს ამოქვეყნებული (**Проблема языка, как предмета лингвистики в свете основных задач советского языкознания: ... VII. акад. Н. Я. Марр о сущности языка. — Изв. ИЯИМК, 1941, т. 10**).

ამიტომაც უნდა ვივარაუდოთ, რომ წმინდად ლინგვისტური შეხედულებების შიდასაბჭოთარი კოლიზია დისკუსიის წამოსაწყებად მხოლოდ საბაბს წარმოადგენდა, რომლის უკანაც სერიოზული იდეოლოგიური მიზანი იყო დაფარული. ვფიქრობთ, ეს განაზრახი დღეს არცთუ ძნელი წასაკითხია...

ბ. მარის შეხედულებებთან პოლემიკის წმინდად ენათმეცნიერულ ასპექტებს სამეცნიერო-პედაგოგიური საზოგადოება ძირითადად იცნობს არნ. ჩიქობავას ორი ქრესტომათიული ნაშრომით, რომელთაგან ერთი ჯერ კიდევ 1926 წელს გამოქვეყნდა (**ჭრეცენზია შრომაზე: Н. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка. — მიმოხილველი, I, ტფ. 1926**), ხოლო მეორე — 1940-41 წელს (ზემოდასახელებული ნაშრომი). მაგრამ მისივე შეხედულებები ენის როლისა და ადგილის გააზრებისათვის საზოგადოების (ერის) ისტორიულ-სოციალური განვითარების პროცესში, კერძოდ, მისეული წაკითხვა საბჭოთა იდეოლოგიის მეთაურთა შეხედულებებისა ამ სფეროში იძლევა იმის დანახვის შესაძლებლობას, რომ, როგორც ჩანს, იმ ურთულეს ვითარებაში, პირისისხლიანი რუსული ლენინიზმის პირობებში, მოინახა გზა ეროვნული ენების დაცვისა და განვითარებისა.

ეს განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს იმ შემთხვევებში, როდესაც არნ. ჩიქობავა უშუალოდ უპირისპირებს ერთმანეთს ბ. მარი-

სა და კომუნისტური ქვეყნის ბელადის შეხედულებებს ეროვნული ენების ბედის შესახებ ე. წ. განვითარებული სოციალიზმის პირობებში. მაგალითად, მეცნიერი 1951 წელს სტალინის ენათმეცნიერული მოძღვრებისადმი მიძღვნილ საგანგებო ვრცელ ნაშრომში სწორედ ამ ხერხს მიმართავს: „როგორც ცნობილია, — წერდა არნ. ჩიქობავა, — ნ. მარი აუცილებლად თვლიდა მიგვემართა ხელოვნური ზომებისათვის ერთიან ენაზე გადასვლის პროცესის დასაჩქარებლად“ („Труды И. В. Сталина по вопросам языкознания...“, გვ. 26) და, სხვათა შორის, მოჰყავდა 1927 (!) წელს გამოქვეყნებული მისი წერილის („К вопросу об едином языке“, გვ. 398) სათანადო ამონარიდი: „ჩვენთვის ... ცალკეული ენების განვითარება მომავალი ერთიანი ენის მიმართულებით საეჭვო არ არის, ასევე ის, რომ კაცობრიობამ, მიდის რა საერთო მეურნეობისა და უკლასო საზოგადოებისაკენ, შეუძლებელია ხელოვნური ზომები, მეცნიერულად დამუშავებული, არ მიიღოს ამ მსოფლიო პროცესის დასაჩქარებლად.“

ნ. მარის ამ აშკარად იდეოლოგიურად მოტივირებულ განცხადებებს ქართველი მეცნიერი უპირისპირებს სტალინის მრისხანე ავტორიტეტს, რომლის დასკვნითაც ნაციონალური ენების კვდომაზე საუბარი ადრეა „პროლეტარიატის დიქტატურის“ მსოფლიო მასშტაბით გამარჯვების შემდეგაც კი:

„არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეროვნულ განსხვავებათა განადგურება და ეროვნული ენების კვდომა მოხდება მსოფლიო იმპერიალიზმის დამარცხებისთანავე, ერთი დარტყმით, ასე ვთქვათ, ზემოდან დირექტივების გზით. ამ შეხედულებაზე მცდარი არაფერია ... ასეთი პოლიტიკა იქნებოდა ასიმილაციის პოლიტიკის თანასწორი“... „მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პირველი ეტაპი იქნება დასაწყისი ეროვნებათა და ეროვნული ენების კვდომისა. პირიქით, პირველი ეტაპი, რომლის განმავლობაშიც საბოლოოდ იქნება ლიკვიდირებული ნაციონალური ჩაგვრა, იქნება ეტაპი ადრე დაჩაგრული ერებისა და ეროვნული ენების ზრდისა და გაფურჩქვნისა, ეტაპი ერების თანასწორუფლებიანობის განმტკიცებისა“...

დისკუსიის შემდგომი პათოსის გარკვეული მიმართულებით განვითარების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ სწორედ ეროვნული

ენების საარსებო ინტერესი ედო საფუძვლად საბჭოთა იმპერიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე „საენათმეცნიერო დისკუსიის“ წარმართვას, ხოლო ამისი იდეოლოგიური საფუძველი შექმნა ენის აშკარად მიზანმიმართულმა გამოყვანამ „ბაზისი-ზედნაშენის“ კატეგორიების ყოველსმომცველი დიქტომიიდან.

ნ. მარის „ახალი ენათმეცნიერული თეორია“, მარქსისტულ-ლენინური საფუძვლების არცთუ უსაფუძვლო მოწვევებით, ენას წარმოაჩენს როგორც ზედნაშენ კატეგორიას და, აქედან გამომდინარე, ყოველი ეროვნული ენა არის კლასობრივი; არაკლასობრივი ენები არც არსებულა და არც არსებობს. ეს „ბედნიერი ხანა“ იქნება კუთვნილება მომავლის უკლასო საზოგადოებისა და ეს მომავალი, ცხადია, ერთი საერთო ენისათვის არის გამზადებული!

სტალინურის სახელით ცნობილი პოზიცია კარდინალურად უპირისპირდება ამ იდეოლოგიურად საკმაოდ განმტკიცებულ შეხედულებას, ვინაიდან საფუძველშივე ცვლის ენისადმი ზემომითითებული დიქტომიური საზომით მიდგომას: „ენა არ შეიძლება მივაკუთვნოთ არც ბაზისური და არც ზედნაშენური მოვლენების რიგს. ის ასევე არ შეიძლება მივაკუთვნოთ ბაზისსა და ზედნაშენს შორის „შუალედურ“ მოვლენებს, რადგანაც ასეთი „შუალედური“ მოვლენები არ არსებობს“ („მარქსიზმი და ენათმეცნ. საკითხები“, 1950).

თუ ამ კონცეფციის დასაბუთებისათვის თვალის გადავინებავს ვცდით, დავრწმუნდებით, რომ ის უფრო პოლიტიკური ნების გამოხატვას (დეკლარაციას) წარმოადგენს, ვიდრე მეცნიერულ დებულებას. ამ მხრივ ფრიად ნიშანდობლივია ახალი იდეის არნ. ჩიქობავასეული დახასიათება: „შესაძლებლობა ისეთი საზოგადოებრივი მოვლენის არსებობისა, რომელიც არც ბაზისს განეკუთვნება და არც ზედნაშენს, არ იყო დაშვებული მარქსისტული ფილოსოფიის სპეციალისტების მიერ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ასეთი მოვლენა შესაძლებელია: შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკოსმა ი. ბ. სტალინმა დაასაბუთა, რომ ასეთი მოვლენა გვაქვს ენაში. შესაძლებელია თუ არა სხვა საზოგადოებრივი მოვლენებიც იყოს ანალოგიური რიგისა? როგორ დგას საკითხი, კერძოდ, მეცნიერებასთან, საკუთრივ, მის კონკრეტულ შინაარსთან დაკავშირებით? ასეთი საკითხები, ბუნებრივია, ახსნას ელიან მარქსისტული ფილოსოფიის სპეციალისტებისაგან“ („Труды...“, გვ. 32).

ნოდარ არდოტელი

***ე ხმოვნის რეკონსტრუქციისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში**

1. ისტორიული *ე ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში დიდ რყევას განიცდის და ნაირგვარი რეფლექსებით არის წარმოდგენილი. გარდა დავიწროების საფუძველზე ი-დ ტრანსფორმაციისა, იგი შეიძლება გარდაიქმნას **ა, ო, უ** სახესხვაობებად, რომლებიც ჩვეულებრივ კომბინაციური ფონეტიკური პროცესების შედეგად არის წარმოქმნილი.

დასტურდება ერთი წყების მაგალითები, რომლებშიც ამოსავალი *ე მცირეოდენ ცვლილებას განიცდის: ხუნძ. *ე>ო, ანდ. *ე>ი (მუნ.), ხვარშ. *ე>ი (ინხ.)...

შესატყვისობის ფორმულა, რომლის საფუძველზედაც ხდება ე ხმოვნის რეკონსტრუქცია, ასე გამოიყურება:

*	ხუნძ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საქ. დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეჟ.
ე	ა	ე/ი	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე	ე/ი	ე/ი

მოვიყვანთ ორიოდ საილუსტრაციო მაგალითს:

1) ხუნძ. რატა („ცხოველის წინა ფეხი“) : ანდ. რეტა : ბოთლ. რეგა : ლოდ. : ლელ : ჭამ. დელა : ტინდ. : ბაგვ. რელა : კარ. რეტა : ახვ. რეტა : დიდ. რეტა : ხვარშ. ლეტა (ინხ. ლიტა) : ბეჟ. დიტა („სახელო, ტოტი“) „ხელი“, „ხელის მტევანი“.

2) ხუნძ. წელეკუ (*წვეკელუ) : ანდ. წეკირ : ბოთლ.: ლოდ. წეკირ : ჭამ. წეჭი : ტინდ. წეკერ : ბაგვ. : წეკერ : კარ. წეკერ (<წეკერ) : ახვ. ჰეკე : დიდ. ცეკი : ჰინ. ცეკე : ხვარშ. ჩიკი : ბეჟ. ჩიკე „ოტიკანი“...

2. დასტურდება მეორე რიგის მაგალითები, რომლებშიც პირ-

ველადი *ე არცთუ იშვიათად წარმოდგენილია ზუსტი დისტრიბუციის გარეშე და ხშირად მონაცვლეობს იმავე რიგის ი ხმოვანთან (ანდ., ჭამ., ტინდ., ბაგვ., კარ...). გარდა ამისა, იგი ხუნძურსა და ზოგ ანდიურ ენაში ა, ო, უ ხმოვნების სახით გვევლინება. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამგვარი სახესხვაობები მეტწილად კომბინაციური ფონეტიკური პროცესების საფუძველზე არის წარმოქმნილი.

რაც შეეხება დიდოურ ენებს, აქ *ე ხმოვნის რეფლექსაცია შედარებით ნათლად არის წარმოდგენილი: საკ. დიდ.: ჰინ. ი : ხვარ. ეო : ბეჟ. ე. საბოლოოდ *ე-ს შესატყვისობის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

*	ხუნდ.	ანდ.	ბოთლ.	ლოდ.	ჭამ.	ტინდ.	ბაგვ.	კარ.	ახვ.	საკ. დიდ.	ჰინ.	ხვარ.	ბეჟ.
ე	ე	ე/ი	ე/ი	ე/ი	ე/ი	ე/ი	ე/ი	ე/ი	ე/ი	ი	ი	ე/ი	ე

საილუსტრაციო მაგალითები:

1) ხუნდ. ხიბილ (<*ხეილ) : ანდ.: ლოდ.: ბაგვ. ისიბ <*ისებ (ასიმილაციით): ჭამ. ესიბ (<*ესებ) : ტინდ. ესება : კარ. ესებო : ახვ. ეშებ : საკ. დიდ.: ჰინ. ჟიბრა : ხვარ. ჟებლა : ბეჟ. შებლო (ჰუნზ. შებლე) „გვერდი“, „ნეკნი“.

2) ხუნდ. შეჩ : ანდ. იჩი : ბოთლ. იჩა : ლოდ. იჩუ : ჭამ. ეშ : ტინ. ეჩი : ბაგვ. შეჩ : კარ.: ახვ. შეჩე : საკ. დიდ. ჰენეშ : ჰინ. იში : ხვარ. ჰიონუ (ინხ. ე^{ნუ}, ი^{ნუ}) : ბეჟ. ე^{ნუ} „ვაშლი“ და სხვ. მისთ.

3. სპეციალურ ლიტერატურაში ე : ი შესატყვისობისა და მის შემადგენელ ელემენტთა შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ე. ლომთაძის კონცეფციის მიხედვით, პირველი რიგის ი : ე შესატყვისობა ე:ი შებრუნებული შესატყვისობის ორგანული ნაწილი და მისი თანამოზიარეა [ლომთაძე 1994 : 285-286]. ე. ბოკარევი ამოსავალ ოდენობად წინა წარმოების ერთ-ერთ (ი resp. ე) ხმოვანს ვარაუდობს, თუმცა, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა სათანადო მონაცემების სიჭრელიდან გამომდინარე, ამ შესატყვისობის გენეზისის საკითხს ღიად ტოვებს [ბოკარევი 1959 : 254-255]. დ. იმნაიშვილი ორივე (ი:ე,

ე:ი) შესატყვისობათა საერთო ამოსავლად ე ხმოვანს აღადგენს [იმ-
ნაიშვილი 1963 : 41].

**ჩვენ ვგარაუდობთ, რომ ი : ე შესატყვისობისათვის საერთო-
თო-ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ქრონოლოგიურ დონეზე რეკონ-
სტრუირდება წინა წარმოების, მაღალი აწეულობის ი, ხოლო ე:ი
შესატყვისობისათვის — ამავე რიგის, საშუალო აწეულობის ე.**

მოხსენებაში წარმოდგენილია ამ მოსაზრების დასაბუთების
ცდა.

ფ ი ქ რ ი ა ა ფ ხ ა ი ძ ე

ფერთა სახელების სემანტიკის შეპირისპირებითი კვლევისთვის

(სინჰალური და ქართული ფერების მასალაზე)

მოხსენებაში განხილულია ზოგი ძირითად და არაძირითად
ფერთა სახელების სემანტიკური თავისებურებანი სინჰალურში,
წარმოდგენილია სინჰალური ფერების სათანადო შესატყვისები ქარ-
თულ ენაში. მოხსენება მიზნად ისახავს სინჰალური და ქართული
ბგერადობით გადმოცემულ შინაარსს, მის ემოციური მხარესა და ამ
ორი სხვადასხვა ენობრივი საზოგადოებების მიერ საგნობრივ კონცეპ-
ტუალური მიდგომებს შორის არსებული კონტრასტის და პარალე-
ლების დადგენას.

საკითხის შესწავლის თეორიული კონცეფცია ეყრდნობა
ბ. ფოჩხუას ნაშრომის „ქართული ლექსიკოლოგიის“ მეთოდოლოგი-
ურ პრინციპებს. თითოეული სინჰალური ტერმინის სემანტიკის ახ-
სნა ეყრდნობა ამა თუ იმ კონკრეტულ მნიშვნელობას. ამ შემთხვევა-
ში ჩვენ ვეუბნებოდეთ პრინციპი გავიზიარეთ, რომლის თანახმად, ყოვე-
ლი კონკრეტული ტერმინის მნიშვნელობის განსაზღვრა თითქმის შე-
უძლებელია; შესაძლებელია მხოლოდ წარმოდგენილ იქნას ახსნა ამა
თუ იმ კონკრეტული მნიშვნელობისა (ე. სოსელია, 2009). შეპირის-
პირებითი კვლევის ასპექტი ითვალისწინებს ნ. მირიანაშვილის ქარ-

თულ-რუსულ ფერთა სახელების შედარებით-შეპრისპირებითი კვლევის მოდელს.

მოხსენების კვლევის ობიექტია ძირითადი და არაძირითადი ფერები სინჭალურში და მათი შესატყვისები ქართულში.

ლექსიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით სინჭალური ფერების სახელები შეიძლება 3 ჯგუფად დაიყოს:

- 1) მარტივფუძიანი ზედსართავები;
- 2) კომპოზიტური აგებულების ფერთა სახელები.
- 3) რამდენიმე ფერის ტერმინი ანალიტიკური წარმოებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა, ბუნებრივია, არ არის ამომწურავი. წინამდებარე მოხსენებაში შემოვიფარგლეთ მხოლოდ სინჭალელი ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე უფრო აქტუალური ქრომატული (სპექტრის) და აქრომატული ფერების აღმნიშვნელი სახელებით. მასალა ეყრდნობა რამდენიმე თარგმნით ლექსიკონს (სინჭალურ-ინგლისური; ინგლისურ-სინჭალური) და ცოცხალი ინფორმანტებისგან მოპოვებულ მაგალითებს. კვლევის დანარჩენი ეტაპები, მათ შორის, ხარისხის ფორმათა წარმოების საკითხი განხილული იქნება შემდგომში.

ძირითადი დასკვნები, რომელთა დასაბუთებაც მოხსენებაში იქნება წარმოდგენილი, ასეთია:

- 1) მარტივი ფუძის, კომპოზიტური და აღწერითი წარმოების ფერთა სახელები ორსავე ენაში დასტურდება.
- 2) 10 სინჭალურ ფერს აქვს თითო შესატყვისი ქართულში. განსხვავებული შესატყვისები მოეპოვება რამდენიმეს.
- 3) ორსავე ენაში გვხვდება ნასესხები ფუძეები ფერთა სახელების საწარმოებლად.
- 4) ნაცრისფერი სინჭალურშიც და ქართულშიც უკავშირდება ერთსა და იმავე საგანს და საერთოა მისი ერთ-ერთი გადანითი მნიშვნელობაც.
- 5) ორივე ენაში გვხვდება ფერთა სახელები, რომლებიც ერთ-ზე მეტ ფერს აღნიშნავენ.

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

მეგრული მწყემსური ლექსიკა „შინამრეწველობის... მასალებში“

მოხსენებაში განხილულია „შინამრეწველობის... მასალებში“ წარმოდგენილი მესაქონლეობის ლექსიკის ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება ე. წ. „ტრანსჰუმანსურ“ დარგს, მას ჩვენ „მწყემსურ ლექსიკას“ ვუწოდებთ.

მასალა ძალზე საინტერესოა ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით. მრავალფეროვანი ტერმინები იძლევა რამდენიმე თემატური ჯგუფის გამოყოფის საშუალებას:

1. სამუშაოს განაწილება მწყემსთა შორის სააფუნო საძოვრებზე: **კარეშუნჩაში** „მწყემსთა გაერთიანების უფროსი“, ზედმ. „კარვის უფროსი“, **კარეშმადიარაფალი** „მზარეული“, ზედმ. „კარვის დამბურებელი“, **მეხელე** „მზარეული“, **მეთიე** „მწყემსებთან საჭმლის მიმტანი“, ზედმ. „მეულუფე“, **მედუდე / მედუდელე** „მეცხვარე, რომელიც წინ მიუძღვის ფარას“, ზედმ. „მეთაური“, **მეკუდელე** „მეცხვარე, რომელიც ბოლოში მიჰყვება ფარას“, ზედმ. „მეკუდე“, **მექუმხარე** „თეოს ცეცხლის, ქუმხარას დარაჯი“...

2. მწყემსის სადგომი სააფუნო საძოვრებზე: **ჩენჯკარე** „თეო“, ზედმ. „ძირი კარავი“, **ხვიშტა** „უფროსი მწყემსის, კარეშუნჩაშის საწოლი“, **ქუმხარა** „თეო“, **ყებური** „შუაცეცხლი მწყემსის კარავში“...

3. საქონლის სადგომი: **ჯალონი** „თხის საძოვარი ტყიან ზოლში“, ზედმ. „ხიანი“, **შუშელი** „საძოვარი მაღალ მთაზე“, ზედმ. „შიშველი“, **თფუ / თიბი / თფფე** „ფარის დასაბანაკებელი ადგილი“...

4. მწყემსის აღჭურვილობა და ინვენტარი ქოხში: **ლაბაშა** „მწყემსის ხელჯოხი“, **ხართა** „ციკნის ტყავისგან გაკეთებული მწყემსის მოსასხამი“, **ლაგუჯი** „მწყემსის გუდა“, **ბურჭული** „ცელი“... **ნგვა** „საწველელი“, **ბუყუნი** „სარძევე, სამაწვენე“, **ხარაზაკა / ხარაზაკი** „რძის საწური“, **აბშირა** „ყველის ჩასადები ჭურჭელი“, **ოჩიჩე** „ყვე-

ლის გასაწერი მოწყობილობა“, **ბარქაში** „ყველის მოსაზნელი ჭურჭელი“, **კალაპოტი** „ყველის ჩასაწყობი სათავსო“...

5. ესაქონლეობის პროდუქტები: **ავცხურა**, **ჭედრა** „მწყემსის ქოხში დამზადებული ყველის სახეობები“, **ნაგვალ მონტყორი** „შემოდგომაზე გაკრეჭილი მატყლი“, ზედმ. „ნამთევი მატყლი“, **ნაბუთუ** „გაზაფხულზე გაკრეჭილი მატყლი“...

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება სიტყვათა ეტიმოლოგია, სტრუქტურა, ნასესხობების შემთხვევაში სესხების მიმართულება, ფონოტაქტიკური ცვლილებები

შ ა ლ ვ ა გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა

ზოგიერთი მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი სახელე- ბისა და პოემის შექმნის თარიღის შესახებ

მოხსენების ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიულ სახელწოდებათა მნიშვნელოვანი ნაწილის ლოკალიზაცია რუსთაველის ეპოქის საქართველოსა და მის მეზობელ მხარეებშია შესაძლებელი. პოემაში დახატულ ინდოეთში არა მარტო იგულისხმება საქართველო, არამედ რუსთაველის ქმნილების გეოგრაფიულ რუკაზეც ინდოეთად საქართველოა საგულგებელი. ვფიქრობთ, ამ მოსაზრებას მხარს უჭერს პოემაში დახატული სხვა მხარეების „ვეფხისტყაოსნის“ ინდოეთთან ტერიტორიული სიახლოვე: ქაჭეთი, გულანშარო, მულღაზანზარი; ეთნონიმები: მესხი, თურქი, ქურდი და სხვა.

ამ თვალსაზრისით ჩვენ ყურადღებას პირველ რიგში ქაჭეთი იპყრობს, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მხარესთან აიგივებენ. მათ შორის არის შორეული ქვეყნებიც: აფრიკა და მისი მიმდებარე კუნძულები, გიბრალტარი, ინდონეზია, ხეთების მეზობელი ქაშქები (გ. ბარდაველიძე) და ა.შ. ეს უკანასკნელი,

რომელსაც მკვლევართა უმრავლესობა ჩერქეზთა სახელწოდება ქაშაგს უკავშირებს, ეთნონიმ კოლხის გადმოცემად მიგვაჩნია.

ფოლკლორული და ეთნიკური შინაარსის მქონე ქაჯი, ვფიქრობთ, გვარსახელ ქაჯაიაში არის შემონახული. ასევე ქართულ ანთროპონიმიკონშია ცნობილი ქაჯეთის მკვიდრთა პირის სახელები — როდია და როსანი. ამ უკანასკნელისგანაა მიღებული გვარ-სახელი პოემაში მოხსენებული ხატაეთი რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ჩრდილოეთ ჩინეთად, ხატაელები კი უპირატესად ჩინელებად არის განმარტებული. „ვეფხისტყაოსანში“ ჩინეთის მნიშვნელობით ერთხელ ჩინიც გვხვდება:

ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია:

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ — 854,1-2 (პოემის 1957 წლის გამოცემა).

ის გარემოება, რომ ავტორი ერთი და იმავე ქვეყნისთვის ორ სახელს ხმარობს, ეჭვს ბადებს ამ გეოგრაფიული სახელწოდებების სინონიმურობის შესახებ. გარდა ამისა, თუ ხსენებულ აფორიზმს რუსთაველი ჩინური წარმომავლობისად მიიჩნევს, ხატაელები პოემაში ინდოელების მტრად არიან გამოყვანილები. ასევე აღსანიშნავია, რომ „ამირანდარეჯანიანში“, რომლის სიტყუტს ზოგიერთი მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ ამბის ამოსავლადაც კი მოიაზრებს, მოხსენიებული ეთნონიმი ჭენი (ჭანი) ჩინელადაა გაგებული.

ხატაეთის ჩინეთად ახსნა ამ ქვეყნის სახელის ხატაის გაუმართლებელი იდენტიფიკაციიდან მომდინარეობს. ხატაი მანჭურიელთა ეთნონიმ კიდანთან არის მიღებული. რამდენიმე ენაში, რომელთა შორისაც სპარსული და რუსული ენებია, იგი ჩინეთის მნიშვნელობით დამკვიდრდა.

„ხატაეთი“ და „ხატაელი“ მონღოლთა ეპოქამდე ქართულ მწერლობაში, არც ისტორიულში, არც მხატვრულში, არ გვხვდება“ (კ. კეკელიძე). ხატაეთი გვხვდება ჟამთააღმწერელთან: „(ჩინგიზ-ყაენ-მან) დაიპყრა ხატაეთი“.

მოხსენებაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ ხატაელები თათარ-მონღოლებია.

მონღოლთა ჯარს სხვადასხვა ალთაურენოვანი ხალხების — მონღოლების, თურქებისა და ტუნგუზ-მანჯურიელების მებრძოლები ავსებდნენ.

ამ თვალსაზრისით ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ რუსთაველის პოემაში საკმაოდ გვხვდება თურქული წარმომავლობის ან თურქულის გზით შემოსული სამხედრო საქმესთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები. გარდა თურქიზმებისა, „ვეფხისტყაოსანში“ სხვა ალთაიზმებიც შეინიშნება.

მერანი

„ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ ხმარებული ამ სიტყვის სადაურობაზე სხვადასხვა თვალსაზრისია გამოთქმული: არაბული მუჰრ „კვიცი“ (ნ.მარი), ცხენის სახელი ვერანა (ი.ჯავახიშვილი). მოხსენების ავტორის აზრით, მერანი მონღოლური სიტყვაა: < მონღოლური **morin** „ცხენი“.

ვადა

ესე ამბავი ავთანდილ პირ-მზემან, მაგარ-ვადამან — 1244,1
მაგარ-ვადა (მაგარი ხმალი) მოყმე ავთანდილის სიმბოლოა.
შდრ. მშვილდ-ფიცხელი, მახვილ-ხრმალი.

ეამა, უქქეს ვარდისა ხელი, ბროლისა განამჭვირისა .

უფრო მისაღები გვგონია პოემის ზოგიერთი გამოცემის და რუსთველოლოგ-კომენტატორის შემდეგი წაკითხვა:

ეამა ქება ვადისა, ხელით მძლედ დანამჭვირისა — 691,3

სარიტმო კლავსულის თვალსაზრისითაც ამ იკითხვის განამჭვირისასთან შედარებით ენიჭება უპირატესობა: ჭირისა, დუხჭირისა, დანამჭვირისა, მომხვეჭი რისა.

რუსთაველთან ვადა არა ხმლის ჯვარედს, არამედ ხმალს უნდა ნიშნავდეს

ვადა < ტუნგუზური < ჩინური **gvada, vada** „ხმალი, მახვილი“. დ.ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ-ფრანგულ ლექსიკონში ვადა ქართული ხმალია.

სავარაუდოდ ხსენებული ლექსიკური ერთეულები მონღოლთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობისა და მათთან ერთად

ქართველი მეომრების ერთობლივი ლაშქრობების შედეგადაა დამკვიდრებული ქართულში. ამ ასპექტით ის გარემოებაცაა გასათვალისწინებელი, რომ მე-12 ს.მიწურულისა და მე-13 ს. დასაწყისის სპარსულ ტექსტებში მონღოლიზმები არ გვხვდება. ეს გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მეფე თამარის გარდაცვალების შემდეგ არის დაწერილი.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, თამარ მეფის ერთ-ერთი ისტორიკოსი შოთა რუსთაველია.

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი მოქმედი ქალების სახელები — თინათინი და ნესტან-დარეჯანი ჰიერატიული ანთროპონიმებია. სპარსული პოეზიიდან მომდინარე ნესტან-დარეჯანი შეიძლება გავიგოთ, როგორც „მისი მსგავსი ქვეყნად არაა“ ან ამ ქვეყნად მოვლენილი ციური არსება. ქაჯების მიერ კიდობნით ნესტანის გატაცება ძველი ალექსის სჯულის კიდობნის ისტორიას ჰგავს, რომელიც მეფე დავითმა გამოიხსნა ფილისტიმელთაგან. ასე იქცევა ტარიელიც, რომლის პროტოტიპადაც ძველი ალექსის წინასწარმეტყველ მეფეს მივიჩნევთ, „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი ნესტან-დარეჯანს ქაჯთა ტყვეობისაგან იხსნის.

მოხსენებაში საკითხის დასმის წესით გამოთქმულია შემდეგი მოსაზრება: ნესტან-დარეჯანის მოწოდებით ტარიელის მიერ სასიძოდ მოსული მძინარე ხვარაზმშაპის, რომელიც ჯელაღედინის ასოციაციებს აღძრავს, მოკვლა („ქმნა სამართლისა მართლისა“) და ხატაელებთან ომში გამარჯვება შეიძლება ერთგვარი „ლიტერატურული შურისძიებაც“ იყოს იმ უბედურებისათვის, რაც ხვარაზმელებმა და მონღოლებმა დაატეხეს საქართველოს.

ქართველურ ენათა ფონოსემანტიკის სათავეებთან

(1. ალი დავითიანის ლინგვისტური მემკვიდრეობა)

ალი დავითიანის მიერ 1949 წელს შექმნილი სამეცნიერო სტატიის ხელნაწერი სათაურით „გარეგანი სახეობის ლექსიკისათვის სვანურში“ პირველი ნაშრომია, რომელიც საგანგებოდ ეძღვნება სვანური ენის ფონოსემანტიკის პრობლემებს. იგი ამ სახით საარქივო დოკუმენტებში აღმოჩნდა და საკმაოდ გვიან, მხოლოდ 2008 წელს, გახდა ცნობილი ლინგვისტთა ფართო საზოგადოებისათვის (*იხ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXXVI, 2008, გვ: 315-331*). ქართველურ ენებში ფონოსემანტიკის ისტორიის კვლევის ერთიანი კონტექსტის წარმოდგენისას აუცილებელია ამ ნაშრომის გათვალისწინება, მიუხედავად იმისა, რომ შემდგომი პერიოდის კვლევებზე მას გავლენა არ მოუხდენია. მით უმეტეს, გასათვალისწინებელია იმ ფონზე, როცა სვანური ენის მასალაზე ამ მიმართულებით კვლევა შემდგომ არ გაგრძელებულა.

ა. დავითიანის სტატია ფაქტობრივად წარმოადგენს ფონოსემანტიკური ლექსიკის ერთი ტიპის, ფიზიონომიის ანუ, მისივე ტერმინით, „გარეგანი სახეობის“ ღმნიშვნელი ლექსიკის აღწერასა და შესაძლებელ ლინგვისტურ ანალიზს. ავტორი ამჩნევს, რომ სვანურში ამ სემანტიკის აღმნიშვნელი მოდელები 1. უკავშირდებიან ობიექტის მოძრაობა-მოქმედებას, 2. გამოხატავენ საგნისა თუ მოვლენის გარეგან სახეობას. მიუხედავად იმისა, რომ ა. დავითიანი ერთმანეთისაგან მიჯნავს ონომატოპეასა და ბგერწერას, ასკვნის, რომ სვანურ ენაში „ხმაბაძვითების სამეტყველო კანონზომიერება სახოვან სიტყვებზეც ვრცელდება“.

ავტორის შენიშვნით, „გარეგანი სახეობის“ ლექსიკის „შემადგენელი ბგერების თანაშეფარდება მათს მნიშვნელობას შეესაბამება. მქლერი კომპლექსები თითქოს უკავშირდებიან მოცულობით უფრო დიდ ობიექტს, ყრუ კომპლექსები კი პატარას“:

დიდი	პატარა
ბ-პ:	ბილდ- ----- პიტყ-
გ-კ:	გლიგ- ----- კლიკ-
ღ-ყ:	ღვიღვ- ----- ყვიყვ-
ღ-ტ:	ღვირ- ----- ტვირ-

ამასთან, შინაარსობრივ თავისებურებაში გადამწყვეტი ჩანს თავკიდური თანხმოვნის ბოლოკიდურთან ურთიერთობა:

მგბიღღ ჟინა „დიდი ბუმბულის მქონე ძერა“

მგბიტყ მწრე „პატარა მსუბუქი ტანის, ჩქარი მოძრაობის კაცი“

გვრიღ ბეფე „მსუქანი ჭარბხორციანი ბავშვი“

კვრიტ ბეფე „პატარა ტანსაცმე ბავშვი“

მგვლიგ „გადამეტებული სიმაღლის (კაცი)“

მგვლიკ დინა „პატარა, გონებამახვილი გოგო“

ა. დავითიანმა ერთმანეთს სემანტიკურად დაუპირისპირა აგრეთვე CVC- და CSVC- სტრუქტურის ძირები, ისეთები, როგორიცაა:

გიღ- > გლიღ- „უშნოდ აღმართულია,,

კიკ- > კლიკ- „გონებამახვილად დგას“

ბიგ- > ბრიგ- „ფეხმაგრად დგას“

ბიღ- > ბრიღ- „გაბედილი ჩანს“...

ამ მოდელებში სონორები ინფიქსებია და მათ სემანტიკურ ფუნქციად ინტენსივობა განსაზღვრა. ვარიანტები, რომლებიც სონორის გარეშე არიან წარმოდგენილნი, მისივე თქმით, მიუთითებენ სიმცირეზე, სონორიანი ვარიანტები კი დასრულებულობაზე.

სვანურის ფონოსემანტიკური ძირის სტრუქტურები ავტორს /ა/, /ი/ და /უ/ ხმოვნებით აქვს წარმოდგენილი, მათგან მხოლოდ /ა/- ხმოვნიანი ვარიანტებზე ამახვილებს ყურადღებას და ასკვნის, რომ ამგვარი მოდელები მრავალგზისობის სემანტიკას ავლენენ.

მართალია, ნაშრომში დასმული ლინგვისტური პრობლემის ანალიზი არ ემყარება სვანური ენის ემპირიული მასალის სისტემურ აღწერას, ნაკლულია საკლასიფიკაციოდ შერჩეული სემანტიკური და

ფონოლოგიური ნიშნებიც, მაგრამ კვლევა საკმაოდ ფასეულია და თავისი დროისათვის პროგრესულიც; ამიტომ მისი გათვალისწინება აუცილებელია ქართველური ენების ფონოსემანტიკური ლექსიკის ისტორიის კვლევის დროს.

თ ე ი მ უ რ ა ზ გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

პირისა და გრამატიკული კლასის ნიშანთა განმოვანების წესები აფხაზურ ენაში

1. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ აფხაზური ენის ზმნებში სუბიექტისა და ობიექტთა პირის, გრამატიკული კლასისა და რიცხვის მარკირებისათვის გამოიყენება ორი რიგის (**დ**-სა და **ლ**-ს რიგების) პრეფიქსები, რომელთა უმრავლესობა ემთხვევა შესაბამისი პირის ნაცვალსახელების ანლაუტის თანხმოდნით ნაწილებს:

დ-ს რიგი

	მხ.რ.	მრ. რ.
I პირი	სარა "მე" > ს-	ჰარა "ჩვენ" > ჰ-
II პირი	ჟარა "შენ (მამაკ.)" > ჟ- ბარა "შენ (ქალი)" > ბ-	შარა "თქვენ" > შ-
III პირი	მარა "ის (მამაკ.)" — დ- ლარა "ის (ქალი)" — დ- მარა "ის (ნივთი)" > მ-	დარა "ისინი" — მ-

ლ-ს რიგი

	მხ. რ.	მრ. რ.
I პირი	სარა "მე" > ს-	ჰარა "ჩვენ" > ჰ-//ჰა-//აჰ-, აა-
II პირი	ჟარა "შენ (მამაკ.)" > ჟ- ბარა "შენ (ქალი)" > ბ-	შარა "თქვენ" > შ-//ჟ-
III პირი	მარა "ის (მამაკ.)" > მ- ლარა "ის (ქალი)" > ლ- მარა "ის (ნივთი)" — ა-//ნა-	დარა "ისინი" > *დ- > რ-

ამ ორი რიგის აფიქსებიდან ერთ-ერთი, კერძოდ, **ლ-**ს რიგის თავსართები გამოიყენება კუთვნილების აღმნიშვნელ მაწარმოებელთა როლშიც.

2. დადგენილია, რომ მკლერი თანხმონებით დაწყებულ ზმნებში **ლ-**ს რიგის ფორმანტების ვარიანტთა (**ზ-, აა-, ნა-, ჟ-**) გამოყენება დამოკიდებულია შესაბამისი ზმნის გარდამავლობაზე, ანუ **ლ-**ს რიგის **პირ-კლასის ნიშანთა ალომორფების განაწილება ზმნურ ფორმაში დამოკიდებულია მორფონოლოგიურ ფაქტორებზე.**

3. საყურადღებოა, რომ იმავე აფხაზურ ენაში არსებობს პირი-სა და გრამატიკული კლასის ნიშანთა სპეციფიკური გამოყენების სხვა შემთხვევებიც, რაც სულაც არ არის დამოკიდებული ზმნის გარდამავლობაზე. მეტიც, ამ ტიპის სპეციფიკურობა ვრცელდება არა მარტო ზმნურ წარმოებებზე, არამედ იმ მეტყველების ნაწილებზეც (უპირატესად მასდარებსა და არსებით სახელებზე), რომლებშიც გამოიხატება კუთვნილება.

საქმე ის არის, რომ აფხაზურში ზმნურ წარმოებებში გამოყენებულ ორივე რიგის აფიქსებს, აგრეთვე მასდარებსა და სახელებში წარმოდგენილ **ლ-**ს რიგის აფიქსებს საკმაოდ ხშირად მოსდევს, ან წინ უძღვის ხოლმე ნეიტრალური **გ** ხმოვანი, ზოგ შემთხვევებში კი — **ა-** ხმოვანიც. მაგალითად: სარა **ს-**ცოდტ "მე მივდივარ", მაგრამ სარა **სგ-**ცოდტ "მე ვიძინებ"; სარა **სგ-**ძლაბ "ჩემი ასული", მაგრამ ჰარა **ჰა-**ძლაბ "ჩვენი ასული"; სარა ი-**სგ-**მოჰბ "მე ის (ნივთი) მაქვს, მყავს", მაგრამ ჰარა ი-**ჰა-**მოჰბ "ჩვენ ის (ნივთი) გვაქვს, გყავს"; ასას **დგ-**ს-თოჰბ "მე სტუმარი მყავს" და ასას დ-**აჰ-**თოჰბ "ჩვენ სტუმარი გყავს"... ამგვარ შემთხვევებში მორფონოლოგიურ ფაქტორთა ზეგავლენა თითქოსდა გამოირიცხება და, ბუნებრივია, დაისმის საკითხი: რა კანონზომიერებას ემყარება ზმნურ და სახელურ წარმოებებში პირ-კლასის ნიშანთა განხმონებული და გაუხმონებელი ვარიანტების გამოყენება?

4. კონკრეტულ ენობრივ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ **უკანასკნელ შემთხვევებში საქმე გვაქვს არა მორფონოლოგიურ, არამედ ფონეტიკურ კანონზომიერებებთან,** კერძოდ, აქ გამოსაყოფია ორი ჯგუფის მაგალითები:

პირველ ჯგუფს ქმნიან ის ზმნური და სახელური ფორმები, რომლებშიც დაცულია ფ. ბორკის, უ. ალენისა და ქ. ლომთათიძის მიერ დადგენილი **ე.წ. ორი თანხმოვნის კანონი**, რაც შემდეგს გულისხმობს: თუ სიტყვაფორმაში მოსალოდნელია ორზე მეტი თანხმოვნის შეჯრა, მაშინ მახვილის მომდევნოდ მდგომი ორი თანხმოვნის შემდგომ, მესამე თანხმოვნის წინ გაჩნდება თანხმოვანთგამყარის ფუნქციის მქონე ნეიტრალური ხმოვანი. იგივე მოხდება, თუ მახვილის წინ მოსალოდნელია ორზე მეტი თანხმოვნის შეჯრა. ეს კანონი მოქმედებს როგორც აფხაზურ, ისე აბაზურ ენებში. ჩვენი მხრიდან დავძენდით, რომ ამ კანონის ზემოქმედება ვრცელდება იმ შემთხვევებშიც, როცა მრ. რ. I პირში **ჰ-** პრეფიქსის გვერდით (წინ, ან მომდევნოდ) ორზე მეტი თანხმოვნის თავმოყრის თავიდან ასაცილებლად აფხაზური ენა წარმოქმნის არა ნეიტრალურ ხმოვანს, არამედ **ა** ხმოვანს, რაც აჩენს **ჰ-**, **ჰა-** და **აჰ-** ალომორფებს (ასეთი რამ არ ხდება აბაზურ ენაში, სადაც ამავე პირობებში **ჰ-** პრეფიქსის გვერდით კვლავ ნეიტრალური ხმოვანი ჩნდება). ამის გამო ენაში ჩამოყალიბდა პირ-კლასის ნიშანთა გახმოვნებული ვარიანტები, რომლებიც გვხვდება როგორც ზმნურ, ისე სახელურ წარმოებებში. ამასთანავე, **ჰ** და **ა** ხმოვნების უშუალო მეზობელ თანხმოვანთა მრფოლოგიურ ფუნქციას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად:

ზმნური წარმოებები

ს-წეჟომტ "მე ვტირი", მაგრამ **ჰა-**წეჟომტ "ჩვენ რომ ვტირით"; ი-სგ-ფსგხოჟზედ? "რა მეშველება?" და ი-**ჰა-**ფსგხოჟზედ? "რა გვეშველება?"; ი-ს-ზედმგრგედტ "რალაცაში ვერ გავერკვიე", მაგრამ **ა-ჰა-**ზედმგრგედტ "რალაცაში ვერ გავერკვიეთ"; ი-ს-ტესუბ "ის ჩემი საქმეა", მაგრამ **ა-ჰა-**ტესუბ "ის ჩვენი საქმეა" და ა.შ.

სახელური წარმოებები

სგ-ჩოთრა "ჩემი თავლა", მაგრამ **ჰა-**ჩოთრა "ჩვენი თავლა"; **სგ-**რაზო "ჩემი საქონელი, პირუტყვი", მაგრამ **ჰა-**რაზო "ჩვენი საქონელი, პირუტყვი"; სარა **სგ-**ძღაბ "ჩემი ასული", ჰარა **ჰა-**ძღაბ "ჩვენი ასული"; **სგ-**ხეფჰა "ჩემი გაზრდილი (მორღუობის წესით)", მაგრამ ჰარა

ჰა-ზ-ფეჰჰა "ჩვენი გაზრდილი" და სხვ. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ სახელში ნეიტრალური ხმოვანი და მისი მონაცვლე **ა** ხმოვანი მახვილიანია.

მეორე ჯგუფს ქმნიან ის ზმნური წარმოებები, რომლებშიც მახვილი დგას ნეიტრალურ ხმოვანზე. აქ წესი ასეთია: თუ მასდარში მახვილი მოუღდის თავკიდურა **ა** ხმოვანს, მაშინ შესაბამის პირკლასიან ზმნურ ფორმებშიც მახვილი შენარჩუნდება პირ-კლასის ნიშნის თანმხლებ ხმოვანზე და **ჰ-** მორფემა ამ შემთხვევებშიც **ა** ხმოვნით იქნება გაფორმებული: **ა**-ცარა "დაძინება" > **სგ**-ცოდტ "მე ვიძინებ", **ჴგ**-ცოდტ "შენ (მამაკ.) იძინებ", **ბგ**-ცოდტ "შენ (ქალო) იძინებ", **დგ**-ცოდტ "ის (აღამ.) იძინებს", **იგ**-ცოდტ "ის (ნივთი) იძინებს", **ჰა**-ცოდტ "ჩვენ ვიძინებთ", **შგ**-ცოდტ "თქვენ იძინებთ", **იგ**-ცოდტ "ისინი იძინებენ"...

ორივე დასახელებულ ჯგუფში პირ-კლასის ნიშანთა გახმოვანება დამოკიდებულია მხოლოდ ფონეტიკურ პირობებზე.

5. ცალკე დგას ის ზმნები, რომლებშიც ზმნას ერთვის ობიექტის ირიბი მიმართების აღმნიშვნელი მახვილიანი ნეიტრალური ხმოვანი. ამ ზმნებში მახვილიანი ხმოვნის წინ, ან ამ ხმოვნის მომდევნოდ მდგომი პირ-კლასის ნიშნები, ჩვეულებრივ, აღარ დაირთავენ დამატებით ხმოვანს. გამონაკლისია ირიბი მიმართების პრეფიქსის მომდევნო პოზიციაში მდგომი პირველი პირის მრ.რ. პრეფიქსი **ჰ-**, რომლის წინაც მახვილიანი, თუ უმახვილო ნეიტრალური ხმოვანი უეჭველად გარდაიქმნება **ა** ხმოვნად. მაგალითად: ი-ს-**გ**-მოუბ "მე ის (ნ.) მაქვს, მყავს; მე ისინი მაქვს, მყავს", ი-**ჴ**-**გ**-მოუბ "შენ (მამაკ.) ის (ნ.) გაქვს, გყავს; შენ ისინი გაქვს, გყავნან", ი-**ბ**-**გ**-მოუბ "შენ (ქ.) ის (ნ.) გაქვს, გყავს; შენ ისინი გაქვს, გყავნან", (ი-)**დ**-**გ**-მოუბ "მას (მამაკ.) ის (ნ.) აქვს, ჰყავს; მას ისინი აქვს, ჰყავნან", (ი-)**ლ**-**გ**-მოუბ "მას (ქ.) ის (ნ.) აქვს, ჰყავს; მას ისინი აქვს, ჰყავნან", **დ**-**ა**-მოუბ "მას (ნ.) ის (ნ.) აქვს, ჰყავს; მას ისინი აქვს, ჰყავნან", **დ**-**ჰ**-**ა**-მოუბ "ჩვენ ის (ნ.) გვაქვს, გყავს; ჩვენ ისინი გვაქვს, გყავნან", **დ**-**შ**-**გ**-მოუბ "თქვენ ის (ნ.) გაქვთ, გყავთ; თქვენ ისინი გაქვთ, გყავნან", **დ**-**რ**-**გ**-მოუბ "მათ ის (ნ.) აქვთ, ჰყავთ; მათ ისინი აქვთ, ჰყავთ"...; ი-**ჴ**-**გ**-ს-თოდტ "მე შენ (მა-

მაკ.) რალაცას ვაძლევ"; ი-ბ-გ-ს-თოიტ "მე შენ (ქალს) რალაცას ვაძლევ"; (ი-)დ-გ-ს-თოდტ "მე მას (მამაკ.) რალაცას ვაძლევ"; ი-ლ-გ-ს-თოდტ "მე მას (ქალს) რალაცას ვაძლევ"; ი-ჟ-ჰ-ჰ-თოიტ "ჩვენ შენ (მამაკ.) რალაცას ვაძლევთ", ი-ჰ-ჰ-თოიტ (მოსალოდნელი იყო: *ი-ა-ჰ-ჰ-თოიტ) "ჩვენ მას (ნ.) რალაცას ვაძლევთ", ი-შ-ჰ-ჰ-თოიტ "ჩვენ თქვენ რალაცას ვაძლევთ", ი-რ-ჰ-ჰ-თოიტ "ჩვენ მათ რალაცას ვაძლევთ" და ა.შ.

ამ ბოლო ტიპის მაგალითებშიც **გ > ა** პროცესს ფონეტიკური მომენტი განაპირობებს.

ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი , მ ე დ ე ს ა ლ ლ ი ა ნ ი ,
ნ ა ტ ო შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

პირობითდამოკიდებული წინადადების კავშირთა მორფო-სინტაქსური ანალიზი სვანურში

სვანურში მკვეთრად არის ჩამოყალიბებული ჰიპოტაქსური კონსტრუქციის წინადადებები, რომლებიც არ მიემართებიან მთავარი წინადადების რომელიმე წევრს, არამედ ხსნიან და აზუსტებენ მთლიანად მთავარ წინადადებას და გვიჩვენებენ იმის შედეგს, რაც მთავარ წინადადებაშია ნათქვამი, ან აღნიშნავენ პირობას, რაზეცაა დამოკიდებული მთავარში აღნიშნული მოქმედების შესრულება, ან მიუთითებენ ისეთ რამეზე, რომლის მიხედვითაც არ არის მოსალოდნელი ის, რაზედაც მთავარ წინადადებაშია საუბარი.

მოხსენებაში სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებათაგან წარმოდგენილი იქნება პირობითდამოკიდებულებიანი რთული ქვეწყობილი წინადადების საკავშირებელი საშუალებების მორფო-სინტაქსური ანალიზი სვანურში.

აღნიშნული სახის დამოკიდებული წინადადების მთავართან შესაერთებლად სვანურში გამოყენებულია შემდეგი კავშირები: **აღჟე||ედო** (ლნტ.) „თუ“; **ერ||ე** (ზს., ქს.), **ლახ^ა**, **ლახე** (ზს.), ან^აა (ბქ.), **ა^ალახ** (ქს.) „რომ, თუ“, **ემა** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **ემა** (ბქ.), **ემო**

(ლმზ., ჩოლ.), **ესა** (ზზ., ლმზ.), **ჰესა** (ზზ.), **ესა** (ლნტ.) „თუ, თუკი“; **ედო**, **ადო** (ზს.), **ოდო** (ბქ.), **ედო||ოდო** (ლმზ.), **ედო** (ლნტ.) „თორემ“; **ჰეი** „თუ“ და ა. შ.

უიქანჩუ ძღღდ ჯუღდიანემ **ლახ** ახჰემნი, ჩუ ანჯდენი უმტულაჰი (ბზ., სვან. პროზ. ტექსტ., I, 1939, 1:35) „ზემოდან ძალიან შორიდან თუ მოუვლი, რამენაირად ჩამოხვალ“

ათხალი მუშენერ ხარგადი ი „ლადიმ ესერ ლადელს ჯი, ჩუესერ **ემა** ირდი, ქესერ ლახტიხე (ბქ., სვან. ქრესტ., 1978, 193:30-31) — ახლა ეს სვანურად ესაუბრება და „დღევანდელ დღესო მე, თუ ცოცხალი ვიქნებო, გადავიხდიო“

ამირანდ ლოქ ნოსატ ენფიშედ, **ოდო** ჩიმიშდ ლოქ ხოლამდ ლი (ლმზ., სვან. ქრესტ., 1978, 257:18) „ამირანმა არ აიშვასო, თორემ ყველასთვის ცუდიაო“

ჰყანტ თაშ **ალჟე** მად გუღტა, ჩუ ხტაბქუედ ლეჯიმ თაშს (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., III, 1967, 35:17-18) „ჰყინტი ყველი თუ არ გვაქვს, ვალბობთ მარილიან ყველს“

ლადრუშოლადი ენმაწუდახ თხუმ, **ედო** მალტარს ხტაჰდე (ჩოლ.) „დღესვე გაიმართლონ თავი, თორემ დავაფიცებ“ ...

პირობითდამოკიდებულიან წინადადებებში კავშირთა გამოყენების თვალსაზრისით სვანურის დიალექტები არაერთგვაროვან სურათს გვიჩვენებენ, ზემოსვანური დიალექტებისაგან განსხვავებით (სადაც უკავშირო შეერთებაა უპირატესი) ქვემოსვანურ დიალექტებში (მათ შორის ჩოლურულში) ჩამოთვლილი კავშირები ხშირად გამოიყენება.

ც ი რ ა გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი

რუხი ფერი სვანურში (დანარჩენ ქართველურ ენებთან მიმართებით)

რუხი წარმოადგენს გარდამავალ ფერს თეთრსა და შავს შორის. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, რუხი თეთრნარევი შავია, მუქი ნაცრისფერი, ლეგა. სვანურში მისი შესატყვისია **ფარჟუ** (ზს.), **ფიარჟუ** (ჩზხ.), **ქურუხჟუ** (ლმზ.), იშვიათად

ფარჷ (ზს.), **ფარ'ჷ'** (ლნტ.); ნაცრისფერს კი მთელ სვანურში შეესაბამება იმავე სტრუქტურისა და მნიშვნელობის **ტგტიფერ** (ბზ.),

ტგტიშფერ (ბქ.), **დგტიფერ** (ლშხ.), **ტგტიფერ** (ლნტ.):

მი მაჷა ფარჷ ჩჷ (ბზ.) „მე მყავს რუხი ცხენი“;

ნალჷჷურდ ფარჷ აბგილ ჟ'ოსრეკ ჰინგირს „ვაჷმა რუხი ხურჯინი ჩამოჰკიდა უნავირს“;

შინაჷირ ბუზუღლ ხოშა მუმფარჷ ლი (ლნტ.) „შინაური ბუზი უფრო მორუხო არის“;

გარეულ ციცჷ ფერდ ქურუხჷ ფერიშ ლი (ლშხ.) „გარეული კატა ფერად რუხი ფერის არის“.

სვანური ნაცრისფერის გამომხატველი ლექსემა **ფარ-ჷ** მიღებული უნდა იყოს საერთო-ქართველური ძირისაგან ველარული უმლაუტის გზით (მ. ქალდანი, ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე). როგორც ცნობილია, **ფერო** ძველ ქართულში ერთ-ერთი ფერის აღმნიშვნელი ტერმინია. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, იგი არის „თეთრსა და შავს საშუალი“. იგივე ვითარებაა დღეს მეგრულში: **ფერ-ო ქოთომი** „შავთეთრი ქათამია“ (ბ. ჭარაია, ო. ქაჯაია).

რუხისა და ნაცრისფერის ჯგუფებში ერთიანდება შემდეგი კომპოზიციები: ბზ., ლნტ. **კუშმიფერ**, ბქ. **კუშმიშფერ**, ლშხ. **კუშამიფერ** („კვამლისფერი“), ბზ. **გიმფერ**, ბქ. **გიმიშფერ**, ქს. **გიმეფერ** („მიწისფერი“), ლნტ. **ბგრიფერ** („ღია ნაცრისფერი“), ბზ. **ბერჷფერ**, ბქ. **ბერჷმფერ**, ლშხ. **ბერჷფერ**, ლნტ. **ბერჷფერ** („რკინისფერი“ = მორუხო), ბზ. **ქჷიშიფერ** | **ქჷიშჷმიფერ**, ბქ. **ქჷიშემფერ** („ქვიშისფერი“ = მონაცრისფრო-მოშავო), ბქ. **წიდიშფერ** („ჭუჭყისფერი“ = მონაცრისფრო-მოშავო), ბზ. **შდუგჷფერ**, ბქ. **შდუგჷმიშფერ**, ლშხ. **შდუგჷფერ**, ლნტ. **შტუგჷფერ** („თაგვისფერი“), ბზ. **ჰუადჷფერ**, ბქ. **ჰუედიშფერ**, ლშხ. **ჰუედიფერ** (მონაცრისფრო, „კედლისფერი“), ბზ., ლნტ. **ბჩიფერ**, ბქ. **ბარჷმფერ**, ლშხ. **ბერიფერ** („ქვისფერი“), ბქ. **ბიჰტიშფერ** („ობისფერი“ = მონაცრისფრო), ბზ. **ქმეფერ**, ბქ. **ქმეშფერ**, ლნმ. **ფილიშფერ** („ფერფლისფერი“), ბქ. **ჰშდჷკჷმიშფერ** („ხვლიკისფერი“), ბზ., ლშხ. **თხერჷმიფერ**, ბქ. **თხერჷმფერ**, ლნტ. **თხერჷფერ** („მგლისფერი“ = მორუხო), ლშხ. **შეჷჷფერ**, ლნტ. **შეჷჷფერ** („მწყრისფერი“ = მონაცრისფრო-მოშავისფრო, ლშხ. **ცხეკჷფერ**, ლნტ. **ცხაკჷფერ** („ქორისფერი“ = ნა-

ცრისფერი შავი წერტილებით), ზს. **თუთნიფერ**, ლშს. **თუთუნიფერ** („თამბაქოსფერი“)...

რუხი (ნაცრისფერი) გვხვდება თიკუნებში (**ფაროჩა, ვეენა**), ცხოველთა, ფრინველთა და ბალახთა მონაცემებში (**ფარნაი, კო-მა|კუამა, ფარჩოლ, ფარდელ, ფაროლ, ფარო, ქუიშარაი, ქუიშე-რაი, ქუიშორ**)...

შესაძლებელია ლაშხური **ქუ-რუხ-შუ** გენეტურად ქართულ **რუხ** ფუძეს უკავშირდებოდეს.

საერთოქართველური **ფერ-** ძირი გამოყენებულია არამხოლოდ ზოგადი („ფერი“), არამედ კონკრეტული მნიშვნელობითაც: ქართული ენის დასავლურ დიალექტებში **ფერ-ა-ფერ-ა** (გურ., იმერ.), **ფერ-უა** (რაჭ.), **მე-ფერ-ვ-ია** (ლჩხ.) „ჭიაფერას“ აღნიშნავს (*Phitolacca americana*, რუს. **лаконос** — მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე; აქვს მოწითალო დატოტვილი ღერო; იკეთებს თეთრ წვრილ ყვავილებს; ისხამს ყურძნის მტევნის მსგავს ნაყოფს; იხმარება საღებავად და მელნის გასაკეთებლად).

რაჭული ფორმა უნდა ჰქონდეს გამოყენებული არსენ ონიანს თავის წიგნში „მეგმარემ ი ბალხარე ჟახნლე ხორაჟ“, რომელიც 1917 წელს გამოსცა ნიკო მარმა პეტროგრადში: **ფერუაი ბალახ ლი ი ძირ მუყუთელ ხარ ი ამშა ძირს იგმარის ლაღფენლდ** (გვ. 28) „ჭიაფერა ბალახია და ძირი ყვითელი აქვს და ამის ძირს ხმარობენ საღებავად“.

სვანური ენის ბალსქვემოურ დიალექტში (ისევე, როგორც სხვაგან) **ფერ-** ძირი ზოგადი სემანტიკისაა („ფერი“), მაგრამ მის ზოგიერთ კილოკავში „კვეთიანი რძის ამოსარვე ჩხირსაც“ („ხის ამონა-ყარსაც“) ნიშნავს; ცნობილი ანდაზაა **ფერ მეგამ ქ'ესერ ამხე** („ამონაყარი ხეს აახლებსო“).

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

ე ხმოვნიანი ზმნური ფუძეები ქართულში

ფუძეში **ე** ხმოვნის შემცველი ზმნური ფუძეები ქართულში შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

ა) ზმნები, რომელთა ფუძისეული **ე** ხმოვანი ყველა ფორმაში უცვლელად არის წარმოდგენილი: წერ-ს — წერ-ა — უწერ-ია...

ბ) ზმნები, რომელთა ფუძისეული **ე** ხმოვანი მონაცვლეობს **ი** ხმოვანთან: დრეკ-ს / დრიკ-ა...

გ) ზმნები, რომელთა ფუძისეული **ე** ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან: გაგ-ცერ — გა-ცრ-ა — ცრ-ის...

I-II შემთხვევისაგან განსხვავებით III შემთხვევა იმითაცაა საინტერესო, რომ ამ ტიპის ყველა ზმნური ფუძის ზანური შესატყვისი შეიცავს ქართული **ა** ხმოვნის შესატყვის ხმოვანს (**ოჲა**)... ეს იმაზე მეტყველებს, რომ მესამე ტიპის ფუძეთა ამოსავალი ხმოვანი არის **ა**. ზოგ შემთხვევაში ეს ამოსავალი **ა** ხმოვანი დასტურდება კიდევ სხვადასხვა ფორმაში: ცერ — ნა-ცარ-ი; ჭერ — გაგ-ჭარ-ი (გურული დიალექტ)...

ა>ე გადაბგერება ქართულში ისტორიულად მოქმედი უმლაუტის პროცესის მოქმედების შედეგი უნდა იყოს...

რ ა დ ო ს ლ ა ვ კ ა ნ ა რ კ ო ვ ს კ ი (კრაკოვი)

ადამიანის სხეულის ნაწილთა სახელწოდებანი უბიხურში

მოხსენებაში წარმოდგენილია უბიხურ ანატომიურ სახელწოდებათა სტრუქტურული დახასიათება და ეტიმოლოგიური ანალიზი.

სინქრონიულ ჭრილში აგებულების თვალსაზრისით საანალიზო სიტყვათა შორის შეიძლება განვასხვავოთ ოთხი მთავარი ჯგუფი:

ა) წმინდა ფუძე: გჷჷ „გული“; ჶა „თავი“; ჯა „ძარღვი“

ამ ჯგუფს განეკუთვნება აგრეთვე ფუძეები გაქვავებულ კლასის ნიშნით:

t-xə „მხარი“; **b-əz** „ძუძუ“

ბ) ფუძე + აფიქსი: **nə-ba** „ფილტივი“; **gʷə-fa** „მკერდი“; **fa-ca** „ცხვირი“

გ) რედუპლიცირებული ფუძე: **čʷa-čʷa** „თირკმელი“

დ) კომპოზიტი: **bla-cʷa** [თვალი + კანა] „ქუთუთო“; **ša-pq** [თავი + ძვალი] „ქალა“;

განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს სინონიმური კომპოზიტი:

qā-pʷa [ხელი + ხელი] „ხელი“

ე) კომპოზიტი + აფიქსი: **ša-čʷa-fa** [თავი + წინ + თავსართი] „შებლი“

ზოგი ძირი დადასტურებულია როგორც აფხაზურ-აბაზურში ასევე ჩერქეზულში:

უბ. **ša** აფხ. **a-xə** აბაზ. **qa** ჩერქ. **šhə** ს. აფხ.-ად. აღდგება: ***qa** „თავი“.

უბ. **bza** აფხ. **a-bəz** აბაზ. **bzə** ჩერქ. **bzə-gʷə** ს. აფხ.-ად. აღდგება: ***baza** // ***bəza** // ***bza** „ენა“.

უბ. **t-xə** აფხ. **a-b-ya-š:ara** აბაზ. **b-ya** ად. **t-xə-ğʷəpšh** ყაბ. **t-xə** ს. აფხ.-ად. აღდგება: ***d/t** + ***xa/xə** „მხარი“, „ხერხემალი“ [d-/t-წარმომავლობით კლასის ნიშნებია].

სხვა შემთხვევაში აღდგება მხოლოდ საერთო უბიზურ-ჩერქეზული ძირი, რომელიც არ შემოინახა აფხაზურ-აბაზურში. იშვიათად გვხვდება საპირისპირო ვითარება, როცა აღდგება მხოლოდ საერთო უბიზურ-აფხაზურ-აბაზური ძირი:

უბ. **b-əz** ად. **b-əzə** ყაბ. **b-əz** ს. უბ.-ჩერქ. აღდგება: ***b-əzə** „ძუძუ“

[მდრ. აფხ. **a-kikə** აბაზ. **kikə**].

უბ. **ya** ად. **xʷə** ყაბ. **fə** ს. უბ.-ჩერქ აღდგება: ***xʷa** „ძარღვი“ [მდრ. აფხ. **a-da** აბაზ. **da**].

უბ. $q\bar{a}-p\bar{a}$ აფხ. $a-na-p\bar{a}$ აბაზ. $na-p\bar{a}$ ს. უბ.-ჩერქ. აღდგება: $*-p\bar{a}$ „ხელი“

[მდრ. ჩერქ. \acute{e}]

საინტერესოა საკითხი საერთო აფხაზურ-ადიღურ-ქართველური ანუ საერთო აფხაზურ-ადიღურ-ნახური ძირების არსებობის შესახებ:

უბ. χa ; ჩეჩ. ბაცბ. $p-\chi a < *b-\chi a < *b-\chi^*a$ „ძარღვი“

უბ. $t-x\bar{a} < *d-x\bar{a}$; ქართ. $m-x-ar-i$; მეგრ. $x-u\check{z}-i$; ლაზ. $(m-x)u\check{z}-i$; $p-x-u\check{z}-i < *b-x-u\check{z}-i$ „მხარი“.

ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

ამოსავალი პირდაპირი ობიექტისა და ფინალური სუბიექტის მრავლობითობის $ქნ/ნიშნის$ რეკონსტრუქციისათვის საერთოქართველურში

ძველი ქართული ენის პრეფიქსული ვნებიტების მეორე სერიის მრავლობითი რიცხვის ფორმათა და სვანური ენის პრეფიქსული ვნებიტების მეორე სერიის ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე საერთოქართველურში **ინიან** და **ენიან** ვნებითა მეორე სერიის ფორმათა შემდეგი ყალიბები აღდგება:

მხ. რ. $*-i-R-ე$ ($*ხ\check{t}-ი-მალ-ე$), $*-ე-R-ე$ ($*ხ\check{t}-ე-მალ-ე$), მრ. რ. $*-i-R-ენ-თ$ ($*ხ\check{t}-ი-მალ-ენ-თ$), $*-ე-R-ენ-თ$ ($*ხ\check{t}-ე-მალ-ენ-თ$), სადაც $/ენ/$ საბოლოო სუბიექტის — ანუ ამოსავალი პირდაპირი ობიექტის! — მრავლობითობის ნიშანია.

ძველ ქართულში სქ $/ენ/$ ნიშნის რეფლექსები დაცულია, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უკვე აღარ იხმარება, ზანურში არ ჩანს, ხოლო სვანურში ვნებიტების მეორე სერიის ორივე რიცხვის ფორმათა ფუძემილა დასტურდება, მდრ., მაგ.: ლნტ. ათუშინენ ($*ად-ხ\check{t}-ი-შიხ-ენ$) „დავიწვი“, ათშიხ-აე ($*ად-ი-შიხ-ენ-ა$) „დაიწ-“

გა“, ალშის-ან-დ (<ად-ლ-ი-შის-ენ-შდ) „დავეწვით“, ათუემის-ენ (<ად-ხუ-ე-შის-ენ) „დავეწვი“, ათუემის-ან (<ად-ე-შის-ენ-ა) „დავეწვა“ და სხვ.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

რეკლამა-აბრების წარწერათა მართლწერისათვის

1. აბრებზე განთავსებული წარწერები (საბრენდო სახელწოდებანი თუ სარეკლამო განცხადებები) სამი ძირითადი სახით დასტურდება. წარმოდგენილია:

ა) ჯერ ქართული, ხოლო შემდეგ უცხოური დასახელება (საუკეთესო შემთხვევაში):

კლინიკა მედი **MEDI**

კლინიკა კურაცია **CURATIO**

ობტიკა ლინზა **OPTICAL LINZA**

ბ) ჯერ უცხოური, შემდეგ კი ქართული სახელწოდება:

DELFO დელფოსი

APOTHEKA აფთიაქი

WESTERN UNION ფულადი გზავნილები

გ) მხოლოდ უცხოური სახელწოდებანი:

STYLE BEAUTY SALOON

BIER ПИВО BIER

LEVIS DOCKERS JEANS WRANGLER

ზემოთ წარმოდგენილი სამი შემთხვევიდან, რა თქმა უნდა, მისაღებია მხოლოდ პირველი — ჯერ ქართული და შემდეგ უცხოური სახელწოდებებით გაფორმებული წარწერები.

2. უნდა გასწორდეს უცხო ენებიდან უმართებულოდ გადმოტანილი ორთაწმინდის სიტყვა-სახელწოდებანი:

ფრაივილლე კი არა: **ფრაივილე**

კლასიკა კი არა: **კლასიკა**

აზნატო კი არა: **აზნატო**

3. უცხო ენებიდან გადმოღებული (საბრენდო სახელწოდებებად წარმოდგენილი) თანხმომავანფუძიანი სახელები ქართულად უნდა გაფორმდეს სახელობითი ბრუნვით:

ვოგგ კი არა: **ვოგო**

ოკაიდ კი არა: **ოკაიდი**

4. კომპოზიტის პირველი ნაწილი — ფუძის სახით წარმოდგენილი — ცალკე არ დაიწერება:

ბლუზ კაფე კი არა: **ბლუზკაფე**

ფენიქს ჯგუფი კი არა: **ფენიქსჯგუფი**

5. **ის** დაბოლოებიანი უცხო სიტყვა — სერვისი — გაგებულია, როგორც ნათესაობითი ბრუნვის ფორმა და ასეა წარმოდგენილი: სერვის ცენტრი (სახელის ფუძედ მიჩნეულია სერვი). უნდა იყოს: **სერვისცენტრი**.

6. ზოგი სახელწოდება ბრჭყალებშია ჩასმული (კლინიკა „კურაციო“...), ხოლო ზოგი უბრჭყალებოდაა წარმოდგენილი (კლინიკა მედი...). ვფიქრობთ, საჭიროა ერთგვაროვნების დაცვა.

7. გასასწორებელია აბრევიაციათა დაწერილობაც, მაგ., წერტილების გარეშე უნდა დაიწეროს **შპს** (და არა: შ.პ.ს.), ერთად უნდა დაიწეროს **თიბისი** (და არა: თი ბი სი) და სხვ.

8. შეინიშნება აგრეთვე სტილისტიკური უზუსტობანი (გაჩერებები აყვანილია ვიდეთვალთვალზე...).

9. წარწერები უნდა გაიწმინდოს ბარბარიზმებისაგან („რემენბი“, „ბენზონასოსები“, „პრომოაგენტები“...).

10. სარეკლამო წარწერებში დაცული არ არის პუნქტუაციის წესები (მაგ., სესხები ჯარიმების გარეშე ოქროს ვერცხლის აპარატურის საოჯახო ნივთების ბინების ავტომობილის უზრუნველყოფით).

უვულარული თანხმოვნები კავკასიის ალბანურში და მათი საერთოლექსიური შესატყვისობანი

საერთოლექსიურ ქრონოლოგიურ დონეზე აღდგება უვულარულ აფრიკატთა სუთეული: *ღ, *ვ, *ვბ, *ყ, *ყბ. ამათგან, კავკასიის ალბანურში დასტურდება მხოლოდ ორი უვულარული აფრიკატი (ვ, ყ), თუმცა ვ ბგერის არსებობა გარკვეულ ეჭვს აღძრავს. ეს ეჭვი ემყარება ვ-სა და ხ-ს აღნიშვნელი ნიშნების გრაფიკულ მსგავსებასა და, ამას გარდა, მათ მონაცვლეობას ზოგიერთ აფიქსში.

უვულარული სუთეულის მქლერი წევრი საერთოლექსიურში შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-აღბ.	უღ.	ლუზბ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წაბ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არბ.	ს.-ლუზბ.
ღ	ღ, ხ	ღ, ვბ	ღ, ვბ	ღ, ჟ, ვბ, ყ	ღ, ვბ	ღ, ვბ	ღ, ვბ	ღ, ვბ	ღ, კ, ყ	ვ, ხბ	*ღ

ვ ბგერა: საერთოლექსიური *ვ ბგერა როგორც უღიურში, ისე კავკასიის ალბანურში წარმოდგენილია ნულოვანი რეფლექსაციით. სხვა ლექსიურ ენებში კი *ვ ბგერის რეფლექსები ასეთია:

კავკ.-აღბ.	უღ.	ლუზბ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წაბ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არბ.	ს.-ლუზბ.
Ø	Ø	ხ, ვ	ხ, ვ	ხ, ვ	ხ, ვ	ხ, ვ	ხ, ვ	ხ, ვ	ვ	ხ	*ვ

საერთოლექსიური გემინირებული აფრიკატი *ვბ შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-აღბ.	უღ.	ლუზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ჰ	ჰ	ჰ, ზ	ჰ	ჰ	ხ, ჰ	ჰ	ხ, ზ	ჰ	ქ	ხ	*ჰა

ჰ ბგერა კავკასიის ალბანურში საერთოლუზგიური ლატერალური *ლ^ა აფრიკატის თანხმოვანი რეფლექსადაც გვევლინება.

ყ ბგერა: **ყ** თანხმოვანი კავკასიის ალბანურში სხვადასხვა წარმოშობისაა: ის შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც საერთოლუზგიურ *ყ ბგერას, ისე *ყ-საც, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება მომდინარეობდეს როგორც საერთოდალესტნური უველარული აფრიკატისაგან (*ყ), ისე საერთოდალესტნური ფარინგალიზებული უველარული ნშულ-მსკლომისაგან (*ყ^ა). ხშირად **ყ** ბგერა კავკასიის ალბანურში საერთოლუზგიური ლატერალური *ტ^ა აფრიკატის რეფლექსად გვევლინება. ასევე, აღსანიშნავია, რომ ლაბიალური *ყ^ა კომპლექსი კავკასიის ალბანურში რეგულარულად გვადევს 3-ს (უდიურში ფა-ს).

საერთოლუზგიური სუსტი უველარული გლოტალური აფრიკატი *ყ შესატყვისობათა შემდეგი ფორმულის მიხედვით აღდგება:

კავკ.-აღბ.	უღ.	ლუზგ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზგ.
ყ, ზ	ჰ, ზ, Ø	ყ	ყ	ყ, ჰ	ყ	ყ, კ	ყ	ყ	ყ, კ, ზ	ყ	*ყ

საერთოლუზგიური გემინირებული უველარული გლოტალური აფრიკატი *ყ შემდეგი რელექსებითაა წარმოდგენილი:

კაკე-აღბ.	უღ.	ლუზ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზ.
ყ	ჰ, ვ, ქ	ყ, ვ	ყ, ვ	ყ, ვ, ღ	ყ, ვ, ღ	ჰ, ჰა	ჰ, ხ	ჰ, ხ	კ	ყ, ღ	*ყა

ღ ბგერა: ეს ბგერა საერთოლუზგიურ ფუძე-ენაში არ აღღება. ღ კაკეასიის აღბანურში სხვადასხვა წარმომობისაა: ის შეიძლება საერთოლუზგიური მჟღერი უკულარული აფრიკატისაგან (*ღ), სუსტი გლოტალური უკულარული აფრიკატისა (*ყ) ან მჟღერი ლატერალური აფრიკატისაგან (*ღ) იყოს მიღებული.

ხ ბგერა: ბ. გიგინეიშვილის აზრით, საერთოლუზგიურს მოეპოვებოდა ორი ყრუ უკულარული სპირანტი – სუსტი და გემინირებული. სუსტი უკულარული სპირანტი შემდეგი ფორმულის მიხედვით აღღება: ლუზ. ღ; თაბ. ხ, ვ; აღ. ხ; რუთ. ხ; წახ. ხ; ხინ. ხ; არჩ. ხ; უღ. ხ, ხოლო ინტენსიური *ხ ბგერა, როგორც ბ. გიგინეიშვილი მიიჩნევს, ყველა ენაში ხ რეფლექსს გვაძლევს. უნდა აღინიშნოს, რომ გემინირებული *ხ ბგერის პოსტულირება დიდწილად ემყარება ხუნძურ-ანდიურ-დილოურ ენათა ჩვენებას, ხოლო ლუზგიურ ენებში შესაძლებლად გვესახება ამ ორი ფორმულის გაერთიანება, ანუ, ჩვენი აზრით, საერთოდაღესტნური *ხ და *ხ საერთოლუზგიურში შეერწყა ერთმანეთს. შედეგად ჩვენ ასეთ ფორმულას ვიღებთ:

კაკე-აღბ.	უღ.	ლუზ.	თაბ.	აღ.	რუთ.	წახ.	კრიწ.	ბუღ.	ხინ.	არჩ.	ს.-ლეზ.
ხ	ხ	ღ	ხ, ვ	ხ, ჰ	ხ	ხ, ჰ	ხ	ხ	ხ, ვ	ხ, ჰ, ვ	*ხ

ამას გარდა, ხ კაკეასიის აღბანურსა და უდიურში საერთოლუზგიური *ღ და *ღ ლატერალური სპირანტების რეგულარულ რეფლექსად გვეკვლინება.

ქართულ-ებრაული ლექსიკური კონტაქტებისათვის

ხალხებს შორის აქტიური კონტაქტების დროს, ბუნებრივია, ხდება ენობრივ ერთეულთა ერთი ენიდან მეორეში სესხება, ამიტომ ქართველთა და ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შედეგები, რა თქმა უნდა, ლექსიკაშიცაა საძიებელი.

ქართულ-ებრაული ენობრივი კონტაქტების თაობაზე გამოკვლევათა სიმცირე საგრძნობია. მათ შორის აღსანიშნავია კ. ლერნერის, კ. დუმბაძის, რ. ენოხის... შრომები.

სხვადასხვა ქვეყანაში ხანგრძლივად ცხოვრების პირობებში ხშირად ხდებოდა ებრაული ენის შერევა ადგილობრივ ენებთან, რის შედეგად მივიღეთ, მაგალითად სრულფასოვან ენობრივ სისტემებად **იდიში** და **ისპანიოლა** (რომელთაგან პირველი გერმანული, ებრაული და ნაწილობრივ სლავური, ხოლო მეორე — ძველი ესპანური და ებრაული ენობრივი ელემენტების ნარევია — კ. დუმბაძე, ნაწილი ამა თუ იმ ენის ოდნავ განსხვავებული დიალექტური ნაირსახეობაა — მაგალითად, ებრაულ-იტალიური, ებრაულ-არაბული), ხოლო აზერბაიჯანში, დაღესტანსა თუ ტაჯიკეთში შემორჩენილ მეტყველებას ყოფილი ენობრივი კონტინუუმის ნაშთებად მიიჩნევენ (ს. ასლანოვი).

კ. დუმბაძის შრომაში „ლექსიკური ებრაიზმები ქართულ ქალაქურ ჟარგონში“ დამაჯერებლადაა ნაჩვენები სეფარდული ტრადიციების ნორმების მატარებელ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში შემორჩენილი სიტყვების ანალიზი, რომელთა არსებობამ თანამედროვე ებრაული ენის ისტორიულად გამართლებული მოდელის აღდგენაშიც უდიდესი როლი შეიტანა. საილუსტრაციოდ დასახელებული და გაანალიზებულია სიტყვები **ტობე**, **განაბი**, **მაყუთი** და ა. შ.

საინტერესოა ამ მხრივ სიტყვა **ითოხლავეა**, რომელიც დუმბაძეს მხოლოდ „ჭამის“ მნიშვნელობით აქვს დასახელებული. მაგ., მე უკვე ვითოხლავე, თოხლე და მალე გამოდი. **თოხლი** დასახელებული აქვს აგრეთვე საჭმლის მნიშვნელობით, მაგრამ აქვე არაფერს ამბობს ერთ ნიუანსზე. ქართულ ჟარგონში **ჭამ-** ზმნას აქვს გადატანითი მნიშვნელობა: აჭამა „მოატყუა“, ჭამა „მოტყუვდა“. ზუსტად ამავე მნიშვნე-

ლობით იხმარება **თოხლ-** ფუძე: ათოხლა „მოატყუა“, თოხლა „მოტყუვდა“.

მოხსენებაში განხილული გვექნება ქართულში გავრცელებული ლექსიკური ერთეულები, რომელთა უმეტესობას თეოლოგიური ტერმინოლოგია შეადგენს და რომლებიც საფუძველს ბიბლიური ტექსტებიდან იღებს (**თორა, მეზუნა, მანალი, ფესკა, ქეთუბა, ხანამი, შაბათი, შალომი** და ა. შ.).

ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი

მყოფადუსრულის სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი სვანურში და მისი ქართული განმარტების პრობლემა

- სვანურში ქართულთან შედარებით, ერთ-ერთი „მეტი“ (ა. შანიძე) მწკრივი **მყოფადუსრულია**.

სვანურშივე ის სრული მყოფადისაგან მხოლოდ ასპექტით ან ზმნისწინის დართვა-დაურთველობით კი არ განიზრჩევა (როგორც ეს მოსალოდნელი იყო ერთი მწკრივის ფარგლებში), არამედ სტრუქტურითაც: „მყოფადუსრული იწარმოება აწმყოს ფუძისაგან, რომელსაც ბოლოსართები (-**ე**, -**ი**) მოკვეცილი აქვს და სამაგიეროდ ერთვის სუფიქსები: -**უნ-ი** (>-**უნ-ი**, -**ნ-ი**) და -**ინ-ი** (>**ნ-ი**). ლაშხურ დიალექტში ორივეს ნაცვლად იხმარება -**გნ-ი**“ (ვ. თოფურია);

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია არაერთი მოსაზრება იმის შესახებ, რომ **მყოფადუსრული ისტორიულად აწმყოა**: „სვანური მყოფადუსრულის მაწარმოებელი სუფიქსები (-**უნ-ი**, -**გნ-ი**, -**ინ-ი**) შედგენილია და -**ი**, ეჭვს გარეშეა, იგივე მონაცემი უნდა იყოს, რაც აწმყოს -**ი**, წარმოშობით ხოლმეობითის სუფიქსი“ (არნ. ჩიქობავა), ეს მწკრივი (მყოფადუსრული) არის „გამყოფადებული აწმყო“, რომელშიც -**უნ-ი-ინ** სუფიქსები (ასევე კაუზატივის -**უნ-ი-ენ-ი-ინ**) წარმოშობით აწმყოს ფუძის საწარმოებელი ფორმატებია“ (გ. მაჭავარიანი). აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საყურადღებოა მეგრუ-

ლის ჩვენება, სადაც ასევე გამოყოფენ მყოფადის ორ სახეობას: მყოფადუსრულსა და მყოფადსრულს, რომლებიც „ზმნისწინის დართვა-დაურთველობით კი არ გაირჩევა, როგორც ეს ხდება II-III სერიის მწკრივებში. ასე რომ ყოფილიყო, ერთ მწკრივთან გვექნებოდა საქმე და არა ორთან. სინამდვილეში **ზმნისწინით მყოფადსრული უბი-რისპირდება არა მყოფადუსრულს, არამედ აწმყოს** (ხაზი ჩვენია — ქ. მ.). ამ მხრივ ვითარება სავსებით ქართულის მსგავსია. მყოფადუსრულით კი მეგრული განსხვავდება ქართულისაგან და სვანურის გვერდით იკავებს ადგილს“ (ზ. ჭუმბურიძე).

- ჩვენი აზრით, საანალიზო მწკრივი სვანურში სწორედ აწმყოს ოპოზიციასა და არა მყოფადისა

(ან ორივესი ერთად!), მისთვის საოპოზიციო ნიშანი სემანტიკურად არის არა უზმნისწინობა, ასპექტი, არამედ საეჭვობა-სავარაუდობობა. დროის თვალსაზრისით კი იგი სათანადო ზმნიზედის გარეშე, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, აწმყოს გამოხატავს, ოღონდ ლოგიკაზე დაფუძნებულ (ინფერენციულ) ინფორმაციას აწმყოს სავარაუდო მოქმედებისა თუ მოვლენის შესახებ; ფუნქციურად, კონტექსტის საჭიროების მიხედვით, მას შეუძლია გამოხატოს მყოფადიც, ასევე საეჭვო/სავარაუდო სემანტიკით:

ბზ. სი **ლემზგარალს ხანყუნი** ი ღუაჟარს **ხაბრანნი** ჩი ღგნჟი, **მადლა?** („კოდორული ქრონიკები“ 2010: 726) — „შენ სეფისკვერებს („შესალოცებს“) **აცხოზ, ალბათ**, ყოველ დღესასწაულზე და მამაკაცებს **ატან 'ხოლმე'**, **ალბათ**, არა?“ (მდრ. **ხ-ა-წყ-ე** „აცხოზ“, **ხ-ა-ბრ-ა** „ატან, აბარებ“);

ამჩუ ეკვლი ბიქუ ლი, ერე მესტიას ათხე იჭრჩინი — „აქ ისეთი ქარია, რომ მესტიაში ახლა **ალბათ წვიმს**“ (მდრ. **უჩხე** „წვიმს“);

მყოფადუსრულის ფორმები, სწორედ მათი სემანტიკის გამო, მარტივად ქმნიან უკავშირო ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას: **მერალს მი ცგვემადს ხჟ-ა-ფშდ-უნ-ი, ეჩქა ცხუჟარ ჩუმიშდხენის** — „ღრუბლებს მე თუ მშვილდისარს ვესვრი, მაშინ ისრები გამითავდება“ (სგ. პრ. ტ. I, 1939:25). **ალ ჭყინტ ამეი გარ ი-ჩმ-უნ-ი, ხოლამ მგრანმ ხედლოლა** — “ეს ბიჭი სულ ასე თუ გააგრძელებს (იზამს), ცუდ რამეს გადაეყრება“;

საკითხის ამგვარად გადაწყვეტით, ვფიქრობთ, პასუხი გაეცემა სპეციალურ ლიტერატურაში დასმულ კითხვას: „ნათელი არაა **-უნ-ი, -ინ-ი** სუფიქსებით გაფორმებული ზმნების ისტორიული ურთიერთობა იმავე ფუძის, მაგრამ სხვა თემის ნიშნის მქონე ზმნებთან (**ა-მ-არ-უნ-ი, ა-მ-არ-ე**): გვქონდა თუ არა მათ შორის რაიმე ფუნქციური სხვაობა და, თუ არა გვქონდა (თუ ორივე ჩვეულებრივს აწმყოს გამოხატავდა), მაშინ რით იყო შეპირობებული განსხვავებულ ფორმათა არსებობა?“ (გ. მაჭავარიანი) — სწორედ იმ სემანტიკის გამოხატვის აუცილებლობით, რომელიც ასევე ახასიათებდათ სტატიკურ ზმნებს: ხალფარა („აფარია“) — **ხელფარი** („ალბათ, აფარია/ეფაროს იქნება...“).

- რუსული განმარტება (*буду плакать, буду читать...*), რომელსაც ბატონი ვ. თოფურია გვთავაზობს მყოფადუსრულის ფორმებისთვის სემანტიკურად ზუსტად ასახავს ქართულ უზმნისწინო მყოფადს: **ვიტირებ, ვიკითხავ...**, მაგრამ ნაკლებად შეესაბამება სვანური **ხუიგუნნი, ხუიჭუნდანი**'ს, ვინაიდან მყოფადუსრულის უმთავრესი მნიშვნელობა — მოქმედების საეჭვოობა-სავარაუდოობა რუსულ სინტაგმაში არ ჩანს; *буду читать* („კითხვას ვიქმ“) სვანურ მყოფადუსრულს სრულებით ვერ ფარავს. ვ. თოფურიასეული ქართული აღწერითი განმარტება „ვტიროდენ იქნება“, „ვიკითხულობდენ იქნება“ კი გაცილებით ზუსტია იმ შემთხვევაში, თუკი მკვლევარი ლექსემა „იქნებაში“ გულისხმობს ნაზმნარ ნაწილაკს („იქნება“), ვინაიდან ეს ნაწილაკი ძირითად სიტყვასთან ერთად სავარუდობის მნიშვნელობის სინტაგმას ქმნის.

- შესაბამისად, არც ტერმინი „მყოფადუსრული“ არის სრულ შესაბამისობაში მის მიერ აღსანიშნავ მწკრივის მნიშვნელობასთან, მაგრამ ვინაიდან ტრადიციულად დამკვიდრებული ტერმინოლოგიის ცვლაც და რეინტერპრეტაციაც საკმაოდ პრობლემურია, ამიტომ ვთავაზობთ, რომ „მყოფადუსრულს“ თუნდაც ფრჩხილებში მიეწეროს „*resp.* ინფერენციული აწმყო“ (მისაღები იქნებოდა „პირობითი აწმყო“, მაგრამ ეს ლექსემა, როგორც ტერმინი, ისედაც დატვირთულია ქართულ მორფოლოგიასა თუ სინტაქსში და კიდევ ერთი დეფინიციისთვის მისი გამოყენება უმართებულოდ მიგვაჩნია), განსაკუთრებით, თუ ნაშრომი უცხოელი ლინგვისტებისთვისაც არის გან-

კუთვნილი, რადგანაც შემოთავაზებული ტერმინით მათთვის გაცილებით გასაგები ხდება ზმნის მნიშვნელობა, ვიდრე თუნდაც აღწერითი განმარტებებით „(წერდეს/კითხულობდეს იქნება“...).

ნ ა ნ ა მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი

ზმნის სათანაო კატეგორიის წარმოების კვალი ქართულში

აფხაზური ზმნა მდიდარია მორფოლოგიური კატეგორიებით. მათ შორისაა ე. წ. საურთიერთო-სათანაო კატეგორია, რომელიც გამოიხატება **ა-ც > ე-ც** რთული მორფემით და ზმნურ ფორმაში აღნიშნავს თანხლებას: **ს-ცოფტ** „მივდივარ“, მაგრამ **ჰ-აეც-ცოფტ** „ჩვენ ერთად მივდივართ“, პრეფიქსი **ც-** დამოუკიდებლადაც იხმარება, ძირის მსგავსად, და თანხლებას გამოხატავს მაგ.: **ს-ლგ-ც-უბ** „მე მას(ქ.) ვახლავარ“, **ს-ი-ც-ცოფტ** „მე მასთან (მკ.) ერთად მივდივარ, მივყვები“ აქ ოდენ **ჰც** მორფემითაა გამოხატული თან მყოფობა, ზმნური ძირის გარეშე.

ვფიქრობთ, ასეთივე ვითარება უნდა გვქონდეს ფშაურსა და ხევსურულში შემდეგ მაგალითებში:

„ჭორმიშელთ, ჭიელთ ბიჭებსა / ღულელებიცა **სტანია**“, „როდი ფიქრობენ , - ბახტრიონს / ბევრი თათარი **სტანაო**“ (ვაჟა-ფშაველა „ბახტრიონი“), წამოიყვანეს დაჭრილი, / ზვიადაურიც **სტანია**“ (ვაჟა-ფშაველა „სტუმარ-მასპინძელი“).

ს-ტანავ ახლავს. ერთ სხვა ამხანაგი-**სტანავ** (ბ. გაბ. 168, 16); „ხუთმეტ იყვნეს, ხუთი-ექვს გათაულ ჯიხვ ეტან და სხვან კი სრუ წვრილნ იყვნეს (ბ. გაბ. 192, 17); ისრ ქისტებ არხოტიონს არ მახკლენ, რომ ეს ასმათ არ ეტანას (ბ. გაბ. 199, 18); ერთ იყო ხოვანის მინდი, ოთხნი ეტანნეს სხვანია (ხევს. პოეზ. 146, 4); ხახიკაურებ ვაჟები ნაჩვენებ იყვნეს ცდასაო; შიგ სტანავ ორი ღულელი, ერთი ეძახდა სხვასაო (ხევს. პოეზ. 50, 13)

ტანება 1. თან ყოფნა, გვერდზე ყოფნა, ხლება. „ნუღარ გამიგებინავ აბაის ტანებასავ (ხევს. თავისებ. 357, 19). 2. მივარდნა, მი-

ხლომა (ზშირად)

ტანებულა „სტანავ“ ზმნის თურმ.) ახლდა თურმე. უავარგაიც ჩვენს ხალხს ტანებულ (ხევს. თავისებ. 353, 22)

(ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005, 835, 836)

აფხაზურის მსგავსად, ამ მაგალითებშიც, ვფიქრობთ, **ტან** < ***თან** თანდებულის ფონეტიკური, ზმნურ ფორმად ქცეული ნაირსახეობა გვაქვს: **ს-ტან-ი-ა**.

ტან ზმნური ძირი და **თან** თანდებული ერთი წარმოშობისა ჩანს.

თ ა მ ა რ მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე

საქართველოში მცხოვრები ყრუთა თემის ლინგვისტური იდენტობა

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ყრუების ენა საერთოა. ეს ადამიანები წარმოადგენენ ლინგვისტურ უმცირესობას, რომელთაც აქვთ საერთო თემური სოციალურ-კომუნიკაციური ნიშანი — ერთიანი ქართული შესტური ენა. ეს არის ენა თავისი კერძო გრამატიკული სისტემით.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში ძლიერი იყო დომინანტი რუსული შესტური ენის გავლენა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყრუთა შესტურ ენებზე. იყო რუსულზე დაფუძნებული საერთო ანბანი და ერთიანი „საბჭოთა შესტური“ ენა. პოსტსაბჭოთა რეალობამ ახალი მოთხოვნები წამოშვა: დაიწყო შესტურ ენათა რეინტეგრაციის პროცესები. ყოფილმა რესპუბლიკებმა და ახალ რეალობაში კი უკვე დამოუკიდებელმა ქვეყნებმა დაიწყეს თავისი შესტური ენების სამეცნიერო კვლევები. ამ მიმართულებით საქართველოშიც გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები.

მიმდინარე ეტაპზე ტარდება ქართული შესტური ენის ლექსიკის კვლევა და ყრუთა თემთან ვმუშაობთ 4000 ერთეულიან ლექსი-

კონზე, ხდება ლექსიკური ერთეულების გამოვლენა და დესკრიფცია, ასევე ჟესტურ ფორმათა ვიზუალიზაცია. ლექსიკონი იქმნება საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით - ამერიკული ჟესტური ენის ლექსიკონის ფორმატით. პარალელურად მუშავდება ლექსიკონის ელექტრონული ვერსიაც. გამოვლენილი ლექსიკური ერთეულების ტიპოლოგიური ანალიზი იძლევა კონკრეტული ლინგვისტური დასკვნების საფუძველს და ნათელი ეფინება ქართული ჟესტუარმოების ძირითად პრინციპებს.

ენა არის ამა თუ იმ ერისა თუ თემის საიდენტიფიკაციო ერთეული და იგი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ამ ხალხის ისტორიულ-კულტურულ ღირებულებათა პარადიგმების ჩამოყალიბებაში. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ენობრივი აზროვნების საფუძვლების ანალიზსაც. ამ კუთხით გაანალიზებული ენობრივი მასალა კონკრეტული დასკვნების გამოტანის საფუძველს იძლევა საქართველოში მცხოვრები ყრუთა თემის ლინგვისტური იდენტობის შესახებ.

კობა მითავარი

სიტყვა ჰნ ჩერქეზულ საკუთარ სახელებში

შორეულ წარსულში ძალს ჩერქეზებისთვის საკულტო მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩერქეზებს სწამდათ, რომ ძალს მაგიური ძალა ჰქონდა და ამიტომ დაავადებულ ადამიანს არქმევდნენ მეორე ე. წ. „მოსატყუებელ სახელს“, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო ძალის აღმნიშვნელი **ჰნ** სიტყვა (ამის საპირისპირო სემანტიკითაა ქართულ სინამდვილეში, ქართ. ძალლი მიაკვდა სულში): **ჰნ**ფეჰნ „შავი ძალლი“;

ჰნზჰნ- „მეძალლე (ძალების მომწინებელი)“;

ჰნლჰნ „ძველი წითური ძალლი“ და ა. შ.

შემდგომში მამაკაცებისათვის **ჰნ** კომპონენტისანი მეტსახელები დამკვიდრდა როგორც წეს-ჩვეულება:

ჰმეგრ „ძალის ნაშიერი“; **ჰ**ფაჟჷ „მოწინავე ძალი“;
ჰმეშ „ქუჩის ძალი“ და ა. შ. (შდრ. მეგრ. ჯოდორია; ხეგს. ძალიკა).

ჰ სიტყვა ერთ-ერთ კომპონენტად წარმოდგენილია ისეთ ყაბარდოულ გვარებში, როგორებიცაა:

ჰწგკ^ო „პატარა ძალი“; **ჰ**ტგნჷჷ ძალის ძველი სახლი“...
ჰმგს „ცეცხლგამძლე ძალი“ და მისთ.

თავისი სტრუქტურით ჩერქეზული მამაკაცის მეტსახელები და მათგან ნაწარმოები გვარები, რომლებშიც სიტყვა **ჰ** არის წარმოდგენილი, ძირითადად ორკომპონენტიანია, ზოგ შემთხვევაში — სამი:

ჰ + ნჷძ „ძალი + ბრმა“; **ჰ**-ლ^გ-შხ^გ „ძალი + ხორცი + ჭამა“.

ზოგ სახელში მეორე კომპონენტი გაურკვეველი სემანტიკისაა: **ჰ** + თორ^ჷ **ჰ** + მგთ^ჷ; **ჰ** + ცორ^ჷ და სხვ.

ნინო ნაკანი

სვანური ფლორისტული ლექსიკის შესახებ (არსენ ონიანისა და ასლან ლიპარტიანიის ლექსიკონების მიხედვით)

ცნობილია, რომ ფლორასა და ფაუნას ნებისმიერ ქვეყანაში იკვლევენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები; ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი, ოღონდ ლინგვისტური ხასიათის შრომები შედარებით ნაკლებად გვაქვს, მით უფრო უმწერლობო ქართველურ ენათა მონაცემების ანალიზის ამსახველი. სათანადო ხარვეზს, ალბათ, თავის დროზე გრძნობდა აკადემიკოსი ნიკო მარი და ამიტომაც დაავალა სასაშუალო მღვდელს არსენ ონიანს შედგენა მცირე ბოტანიკური ლექსიკონისა, რომლის რედაქტორობა თავადვე იკისრა. 1917 წელს პეტროგრადში გამოვიდა **მეგმარეშ ი ბალხარე უახნლე ხორაჷ** („ხეებისა¹ და ბალახები² სახელთა კრებული“),

რომელიც ისტორიული პუბლიკაცია გამოდგა. მასში მოცემული მასალა არამხოლოდ ენათმეცნიერთათვისაა საინტერესო, არამედ ისტორიკოსებისთვის, ეთნოლოგებისთვის, ბოტანიკოსებისა თუ ხალხური სამკურნალო მცენარეების (ტრადიციული ეთნოფარმაცოლოგიისა და ეთნომედიცინის) მკვლევართათვის.

პუბლიკაციის სათაურიდანვე ჩანს, რომ ყველა ქართველურ ენაში შენიშნული პროცესი ნათესაობითი ბრუნვის დემორფოლოგიზაციისა შესაბამისი ფორმის კომპოზიტად ქცევის გზაზე სვანური ენის ლაშხურ დიალექტში მრავლობით რიცხვში ჯერ კიდევ საუკუნის წინ შეიმჩნეოდა არამხოლოდ პრეპოზიციულ მსაზღვრელში, არამედ დისტანციურშიც (**ბალხ-არ-ე უახ-ნლ-ე სორაჟ <*ბალახ-არ-ეშ უახ-ნე-ელ-ეშ სორაჟ** „ბალახები¹ს¹ სახელები¹ს¹ კრებული“).

ასე რომ, საანალიზო წიგნი, რომელიც თითქმის მთლიანადაა შესული გ. თოფურისა და მ. ქალდანის "სვანურ ლექსიკონში", ენათმეცნიერთათვის, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ისტორიული მორფონოლოგიისა თუ დიალექტოლოგია-ეტიმოლოგიის თვალსაზრისით, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია შედარებით ნაკლებად შესწავლილი სფერო - ესაა მცენარეთა სამყარო, რომელიც სამწუხაროდ, სრულიად არაა გათვალისწინებული აღ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“. სამაგიეროდ, არსენ ონიანის 196 ტერმინი მოგვიანებით (1994 წ.) იქნა განხილული ასლან ლიპარტელიანის ჩოლურულ ლექსიკონში, სადაც სვანეთის ფლორა კიდევ უფრო ვრცელადაა (373 ლექსემა) წარმოდგენილი.

მეტად საყურადღებოა ის, რომ ორივე ავტორი იძლევა ერთი და იმავე მცენარის აღმნიშვნელ ტერმინთა სხვადასხვა ფონეტიკურ ვარიანტს არამხოლოდ თავიანთი მშობლიური მეტყველების მიხედვით, არამედ ისინი ზოგჯერ ითვალისწინებენ სვანური ენის სხვა დიალექტების მონაცემებსაც. ორივე ნაშრომში საგანგებოდაა აღწერილი მცენარეთა აგებულება, ფორმა, ფერი, სამკურნალო თვისებები თუ ხალხში გაბნეული გადმოცემანი მათ შესახებ. ასე მაგალითად:

ძუმბერლა მეგემ ლი. ყალიონი ღწრალდ იმგრგეხ. კაკლარ ხწრ განჭვი კაკლარე მაჯონ (ა. ონიანი, გვ.37) - „ძუმელა (?) ხეა. ყალიონის ღერებად იყენებენ (<*ი-მარგ-ებ-ენ). მარცვლები აქეს ანწლი¹ს¹ მარცვლები¹ს¹ მსგავსი“. შდრ. **ძუმბერლას** წკნელს პირუტყვს თუ

დაარტყამ, გახდება (ა. ლიპარტელიანი, გვ XXXVI) ან **ძუმბნ** - „მცენარეა, რომლის წკნელებსაც ყალიონის ღერებად იყენებენ; მაგიური მცენარეა, რომლის კანის გაცლით აჭრელებული წკნელებით იაკობმა მიუფო მის სიმამრ ლიბანს“ (იქვე, გვ.327).

მოსალოდნელია, რომ **ძუმბნ-ერ-ლა** უკავშირდებოდეს (ფორმალურად მაინც) სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში დადასტურებულ **ძუმ-ელ-ა**ს („ქათმის ქოჩორა“, „წითელი ბალახი“; *amarant, петуший гребешок; Celosia cristata*), რომელსაც, ალბათ, შეესატყვისება მეგრული **ჯუმ-ენ-ე** („ჯიჯლაყა“) და ლაზური **ჯუმ-ენ-ი** (ერთგვარი მცენარე - „ისპანახი“) **ძ** თანხმოვნის გასისინება ბილაბიალური ფონემის წინა პოზიციაში სვანურში დასაშვებია (თ. გამყრელიძე).

ბალსქვემოურ დიალექტში **ძენერა**’სგან აკეთებენ საცერს, მაგრამ ამ მცენარის აღმნიშვნელი სახელწოდება, ალბათ, **ძუჰნრა** („საცერი“)’სგან მომდინარეობდეს. არა გვგონია, მას რაიმე კავშირი ჰქონდეს აჭარულ **ძინარა**’სთან („მოყვითალო სიმინდი“), რომლისთვისაც ამოსავალი ჩანს **მ-ძინ-არ-ა**.

არსენ ონიანის „ხორაჟ“ იმიტომაც არის ისტორიულად მნიშვნელოვანი, რომ მასში ფიქსირებული ხეთა და ბალახთა სახელწოდებანი ხალხმა დღეს აღარ იცის ან ინფორმატორები განსხვავებულ ინტერპრეტაციას იძლევიან. ასე მაგალითად:

ჩნუი ნივრა აშ ნივრას ხაჯემ, მარა ეშხუ კელ ძღღდს იცხემ ი თხუმისა ტაროშნლ თხუმს ივღე მენშგვას, ღვინის ფერს, ხავერდი მაჯონს. მუთაქაჲდ ასყიხ. ლენჭყარისა ხოხალ - **„ცხენის ნიორი** ჩვეულებრივ ნიორს ჰგავს, მაგრამ ერთი ღერო ძალიან დიდს იზრდება და წვეროზე (<ძვ.ქ. **თხემ**-ს-ში) ტაროსავით რბილ, ღვინისფერ, ხავერდის⁷ მსგავს თავს იბამს („გამოიტანს“< ძვ. ქ. ი-**ვღ**-ენ-ს). მუთაქაჲდ აკეთებენ. ჭაობიანში იცის (არს. ონიანი, გვ. 24);

ჩნუი ნივრა - ცხენის ნიორი. იცის ჭაობიან ადგილებში (ასლ. ლიპარტელიანი, გვ. 313).

შდრ. **ჩნუი ნიურა** — დამბალ ლი. ნიურაშნლ ბალნდნრ ხნარ ი თხუმი ნიურაშნლ ხნარ, მარე ეშხუ კელ ნესგაყნახნაზნ მულჸნას ისყენე ქამეფხჸას. ათხა ათჸყარან ლნარწლს, ათხად ლახტს გარ ხემთჸუნ. ჩნუი ჰანწყონ ანღრი. შიშგილსნ ხაჯემ — „ცხენის ნიორი

— დაბალია. ნიორივით პატარა ფოთლები აქვს და თავიც ნიორივით აქვს, მაგრამ ერთი ღერო ამოსდის შუაში და ყვავილს იკეთებს გაშლილს. ახლა მოედო სათიბებს, აქამდე მხოლოდ მთაში იცოდა. ცხენის ჩონჩორიკზე ამოდის, ღანძილსაც წააგავს (მესტია, 2014 წელი, ნადე ჩართოლანი, ბზ.დიალექტი).

იმის გამო, რომ არსენ ონიანის მცირე ბოტანიკური ლექსიკონი კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა, გარდა ამისა, მასში განმარტებები მხოლოდ სვანურადაა მოცემული, რაც აძნელებს გაგებას, გადავწყვიტეთ, მოგვეშაადებინა ახალი გამოცემა ქართული ტექსტითურთ. სამუშაო უკვე დამთავრებულია და იმედია, მკითხველი მალე მიიღებს პუბლიკაციას.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

ატენის ხეობის ტოპონიმიკურ-ონომასტიკური მასალები

სოფელი ატენი და ატენის ხეობა მდებარეობს ქალაქ გორის სამხრეთით, ოთხი კილომეტრის დაცილებით. სოფელი და ხეობა რამდენიმე ისტორიულ დოკუმენტშია მოხსენიებული. მათ შორის აღსანიშნავია ატენის სიონის 853 წლის ცნობილი ასომთავრული წარწერა, ასევე სხვა წარწერები რომლებიც ნუსხურით და მხედრული გრაფიკით არიან შესრულებული.

ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში ხეობა მოხსენიებულია როგორც ტანას, ისე ატენის ხეობის სახელწოდებით. ატენი აღნიშნულია, როგორც ციხე მდინარის მარცხენა მხარეს, ასევეა სოფელიც.

ვახუშტი ასახელებს ხეობაში ოცდაექვს სოფელს, ზუსტად ამდენივეს ასახელებს იოანე ბატონიშვილიც, ოღონდ ისე, რომ მითითებულია, თუ რომელია „მოსახლე“.

ამ წყაროებში მოხსენიებული სოფლებიდან რამდენიმე აღრევა გაუკაცრიელებული, მაგალითად ცამნათუბანი, ბაგრანეთი, იკუნევი, კეზვი, წეროსი. ზოგმა კი სახელი შეიცვალა დროთა განმავლობა-

ში, მაგალითად ძველი ორმოთი დღეს ორმოცია, ბიეთი — ბიისი, სიქალეთი — ზიკალეთია.

XVIII საუკუნეში ლეკთა ხშირი თავდასხმების გამო ხეობა თითქმის დაიცალა. წყაროებშია დაუნჯებული ძველი ანთროპონიმების მოძიება კი საშურველი საქმეა. მეცხრამეტე საუკუნეში ქსნის ერისთავების ცნობილმა ჩამომავალმა გიორგი ერისთავმა (სენატორმა) ქსნის, მეჭუდის, ლეხურის ხეობებიდან ჩამოასახლა ხეობაში მოსახლეობა და გაჩნდა ახალი დასახლებული პუნქტები: ტუსრები, ყველა-ანთ უბანი (ყველაშვილი), ვანიაანთ უბანი (ვანიშვილი), ბომურთი, გავლოანთ უბანი (გავლოშვილი). სულ დავადასტურეთ ოთხმოცი გვარი, რომლებიც ძირითადად ატენში არიან განსახლებული. ბუთხუზების რამდენიმე ოჯახია ატენში, რომლებიც ქსნის ხეობის სოფელ გავაზიდან არიან ჩამოსულები. პავლიაშვილები მოსულები არიან სოფელ პოვლეთ კარიდან, რომელიც დღესაც არის ქსნის ხეობის ზემო წელზე, მდინარის მარცხენა მხარეს. ჯაფარიძეები ჩამოსული არიან რაჭიდან. ქსნის ხეობიდან არიან ასევე ხიბლიშვილები, ბეგოიძეები, ბედოშვილები, გოლოშვილები, თინიკაშვილები და სხვები.

სოფელში და ხეობაში მოძიებული ტოპონიმები ათასხუთასზე მეტია, ჩაწერა დღესაც გრძელდება (ძირითადად ბარში ჩამოსულებთან და მათ შთამომავლებთან). ამჯერად წარმოვადგენთ სოფელ ატენის მასალებს. ტოპონიმებიდან. კომპოზიციურ სახელთა მეორე კომპონენტად გვხვდება **ხევი, წყარო, დღე, წყალი**: აბანოს ხევი, ათრევის ხევი, ბარჯათ ხევი. მიხას წყარო, ჭეჭელაანთ წყარო, კლდის წყარო, ტეტიკაანთ წყარო. მონასტრის წყალი, შუმხუნა წყალი, საგუმბარის წყალი.

ტოპონიმურ სახელთა მეორე კომპონენტად გვხვდება **უბანი**: მიხანაანთ უბანი (მიხანაშვილი), ვანიაანთ უბანი (ვანიშვილი), ლოთიაანთ უბანი (ლოთიშვილი), შატაკიაანთ უბანი (შატაკიშვილი), ხოხაანთ უბანი (ხოხაშვილი), ინაურიანთ უბანი (ინაური) და სხვები.

გეოგრაფიულ სახელებს აწარმოებს ანტი-იანი მრავლობითი: დიდველები, დიდქვები, ზვრები, ნაბინავრები, ნატუსები, ორსაყდრები, საბიანთეულები, ტლაშაანები, ძირობები, ურწყავები...

მოხსენებში წარმოვადგენთ ნა- და სა- პრეფიქსებით და -ან, -იან, -ანთ სუფიქსებით ნაწარმოებ სახელებს.

ნდობისა და უნდობლობის სიგნალები ლინგვობრაგმატიკული თვალსაზრისით

სამეტყველო კომუნიკაცია არა მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლაა, არამედ — ერთმანეთისათვის საკუთარ შეხედულებათა ჭეშმარიტების მუდმივი მტკიცებაა, თითოეული კომუნიკანტისათვის იმ დებულებათა უარყოფისა და გაბათილების პროცესი, რომლებიც სხვა კომუნიკანტსა თუ კომუნიკანტებს მცდარად ეჩვენებათ. სამეტყველო აქტი სოციალურადაც და ენობრივადაც ტყუილ-მართალზე დგას. სამყაროს ხედვის ბინარულ ოპოზიციათა მიხედვით სტრუქტურირება ყველა კულტურაში გავრცელებულია და როგორც კლასიფიკაციის უმარტივესი პრინციპი ენაშიც ფიქსირებულია. ამდენად, ტყუილის ენობრივი მექანიზმების გამოვლენა რაღაცის სიმართლედ წარმოდგენის ხერხებს გულისხმობს, რასაც, თავის მხრივ, ნდობის აღმძვრელი ენობრივი საშუალებების აღწერამდე მივყავართ.

თანამედროვე ადამიანი მოზღვაებული ინფორმაციის ეპოქაში სამეტყველო ზემოქმედების მუდმივი ობიექტია. იგი ყოველ წამს შეიძლება გახდეს სიტყვით მანიპულირების მსხვერპლი. სამეტყველო ანუ რიტორიკული ზემოქმედება სამი ძირითადი მიმართულებითაა შესაძლებელი. მეტყველი სუბიექტის პათოსი, რომელიც ადრესატთა ემოციური სფეროსკენაა მიმართული, ძლიერი იარაღია, რომლის საშუალებითაც მანიპულაციის ობიექტები უარს ამბობენ საკუთარ შეხედულებებზე და მანიპულატორის თვალთ იწყებენ მოვლენის აღქმა-შეფასებას. პათოსისაგან განსხვავებით, ლოგოსით ზემოქმედება გონებისკენაა მიმართული. ამ შემთხვევაში დადებით შედეგს განსაზღვრავს მხოლოდ ლოგიკის კანონებით აგებული თანმიმდევრული დასკვნები, პოზიციის მკაფიო არგუმენტაცია, სუბიექტის გამართული, დამაჯერებელი მეტყველება და უკვე დამტკიცებული ფაქტების მოხმობა. მანიპულატორული შესაძლებლობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა მეტყველის მიერ ადრესატთა მორალური პრინციპებისადმი აპელირება.

როდესაც ნდობის ხარისხი მაღალია, მაშინ მოტყუება ადვილია. ნდობის მოსაპოვებლად კი არაერთი ენობრივი საშუალება არსებობს. ქართულ დისკურსში ხშირია ამ დანიშნულებით პოზიტიურ ეროვნულ კონცეპტთა და მათგან ნაწარმოებ მსაზღვრელთა გამოყენება, რომლებსაც ჩვენ „ნდობის სიგნალებს“ ვუწოდებთ. მათ გვერდით გვხვდება მოტყუებისაგან თავდასაცავი „უნდობლობის სიგნალებიც“. სწორედ ამ ორი რიგის ენობრივი ნიშნებით მანიპულირებაზეა დამყარებული ტყუილის ვერბალური მექანიზმები, რომელთა გამოვლენა და აღწერა მნიშვნელოვანია როგორც პრაქტიკული, ასევე ლინგვოპრაგმატიკული თვალსაზრისით.

მ ე რ ა ბ რ ო ბ ა ქ ი ძ ე

„მაწ“ ძირისათვის ქართულ და სომხურ ენებში

1. „მაწ“ ძირი საერთოა ქართულ და სომხურ ენებში. იგი ქართულ ენაში მონაწილეობს ისეთ სიტყვებში, როგორცაა „მაწონი“, „მაწიერი“, „მაწვა“ (იმაწე) და სხვ. ქართულშიც და სომხურშიც იგი თავს იჩენს ისეთ სიტყვაში, როგორცაა სომხური „მაწუნ“ და ქართული „მაწონ“.

2. სულხან-საბას განმარტებით, „მაწიერი“ = „დიდხანს ეყოს რაიმე“, ვარ. „დიდხანს შეეწიოს; ცოტა რამ დიდ(ს) ხანს ეყოს“; იოსებ გრიშაშვილის ქალაქურ ლექსიკონში“ (1955) შესულია „მაწიერი“ ასეთი განმარტებით = 1. ანუ მაწივრობა. ყუათიანი. „ჰაი-ჰაი მცენარის რძე ისეთივე შემგრია და მაწიერი, როგორც საუკეთესო ძროხის რძე“ (ლ.. აღნ, „ჯეჯილი“, 1898, № 5, გვ. 55); „ჩვენი კვება ვეგეტერიანულს ჰგავდა, იმ განსხვავებით, რომ ჩვენს კერძს აკლდა მისი მაწივრობა, ნოყიერება, ცხიმები“ (დ. თურდ., ებიზოდები ახალგაზრდათ ცხოვრებიდან“, 1933. გვ. 5). 2. სინოცივრე. „ამ პურს მაწივრობა არა აქვს“. „ის ყველი კარგია, მაგრამ ამას უფრო მეტი მაწივრობა აქვს“. „გაუვსებ ჯიქანს ფურ-კამეჩს, სახლში გაგზავნი რძი-

ანსა, ღონივრად დაამაწივრებ ყველა რქიანს და ურქოსა“ (შ. მღვ., I, გვ. 29). როგორც ვხედავთ, საილუსტრაციო მასალაში მოხმობილია ფორმები: „მაწიერი“, „მაწივრობა“, „დამაწივრება“. ქეგლ-ის (V, 1958) მიხედვით, „მაწიერი“ = ნოყიერი, ყუათიანი; „მაწივრება“ = მაწიერის თვისება, სიმსუყე. ალ. ნეიმანის ქართულ სინონიმთა ლექსიკონი (თბ. 1978) — „მაწიერი“ ნ. ყუათიანი (=ყუათის მომცემი, ნოყიერი, მასაზრდოვებელი...).

3. ძველ ქართულში დასტურდება „მაწვა“= გულმოდგინება, სწრაფვა, ცდილობა (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1973). ამ სიტყვის შესახებ სპეციალურ გამოკვლევაში ი. აბულაძე წერს [ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკიდან („მაწვა“), თსუ შრომები, B 1 (138), 1971] გვ. 65-66 „იშვიათი ხმარებისა ჩანს ეს სიტყვა ძველ ქართულში. ამიტომ მის მნიშვნელობასა და წარმომავლობაზე ნათელი წარმოდგენა არ მოიპოვება. „იმაწე“ შეტანილია სულხანთან განუმარტავად, ახსნის გარეშე, ციტატის მოხმობით — „იმაწე დიდ ყოფა წინაშე ღმრთისა“. ამ სიტყვას სულხანის ლექსიდან იცნობს ყ. გარითი. იგი მას ადასტურებს X ს-ის ასკეტური შინაარსის ერთ სინურ კრებულში. ბერძნულ, ლათინურ, სომხურ და სირიულ ვერსიებს გვერდით ამოუყენა ქართულიც, რომელიც ლათ. თარგმანით გამოსცა 1959 წ. ფიქრობს, რომ ქართული ძველი მომდინარეობს სომხურიდან — „იმაწე დიდ ყოფად წინაშე ღმრთისა, ხოლო წინაშე კაცთა უშურველ იქმენ“ (ეს ადგილია ასახული სულხანის ლექსიკონში. ეს სიტყვა, ისევე როგორც სულხანისთვის, ყ. გარითისთვისაც გაუგებარია. იგი დახმარებისთვის მიმართავს გ. დეეტერსს, რომელმაც მიუთითა საბას ლექსიკონზე და სავარაუდოდ განმარტა როგორც „ილუაწე“ (დასძინა — პალეოგრაფიულად ძნელად ასახსნელიაო. ი. აბულაძე დასძენს — „ამრიგად, როგორც ვხედავთ, ევროპელ მკვლევრებს აქ „იმაწე“ რაღაც სიტყვის შებღალულ ფორმად ეგულებათ“. ი. აბულაძის სიტყვით, ძველი ქართული ენის ძველები ასეთ შეხედულება არ ამართლებენ. იგი იმოწმებს (ოშკური ბიბლიის მიხედვით) ამავე ზმნის სხვა ფორმებს ბიბლიის „სიბრძნე ზირაქიდან“, სადაც სამჯერ დასტურდება ეს ზმნა ასეთი ფორმებით: „იმაწენ“, 37.15 (არասუნა ქაიჩილიკი — ზოპრაბის სომხ. ბიბლიის გამოც. ვენეც. 1805), „ნუ გამაწავნ“, 42. 12

(**მჩ** **ქა** **დაქსტე**- ვენეციის სომხ. ბიბლ, 1860), „**ემაწოს**“, 20. 26-27 (**გაისქოიქი** — გ. არდარიან, ზირაქის წიგნის უძე თარგ. ნაწყვე. „**ეჯ-მიაწ**“, 1966, გვ 65). „**მაწვას**“ განსამარტად ი. აბულაძეს უპირიანად მიაჩნია **მჩ ქადაქსტე** („**ნუ** **გმაწავნ**“ — „**გულს-დგინება**“, „**მოსწრაფე-ყოფა**“, „**სწრაფვა**“. ხოლო **აჲრასგნა ქჲაჲრჲიოჲუ**-ს განმარტავს რო-ორც „**იგულსმოდგინე**, , **ისწრაფე ზრახვა**“. როგორც ვხედავთ, ი. აბულაძე ქართული „**მაწ**“-ის მნიშვნელობას არ განიხილავს სომხ. „**მაწ**“-თან მიმართებაში.

4. სომხური ლექსიკონების მიხედვით **მაბ** [მაწ] სიტყვის მნიშვნელობა განმარტება როგორც „**შეერთებული**“, „**შენივთებული**“, „**შედედებული**“, „**შეწებებული**“, „**შემკვრივებული**“. ეს ძირი მონაწილეობს მრავალ თხზულ და წარმოებულ სიტყვაში როგორც ძველ, ისე ახალ სომხურში (ბიბლია, ძველი სომხური ლიტერატურის ძეგლები). ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა **მაბიის** [მაწუნ] = **მაწონი** (ჰრ. აჭარიანი, სომხ. ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, სტ. მალხასიანცის „**სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი**“).

5. ჰრ. აჭარიანის განმარტებით, ძირეული სომხური სიტყვაა — წინარეინდოევრ. **mag** — შეზავება, წებოვანი ცომის (ნაზავის) მომზადება. (**g** კანონზომიერად შეესატყვისება **ბ**-ს). მნიშვნელობებია — შედედება, შენაწევრება, შენივთება, შეკვრა, შეწებება). ენათესავება. ძვ. სლავ. **mazo, mazati** „**წასმა, წაცხება**“; რუს. **мазь, масло**; ბერძნ. **μαγμα** — გამხმ. მშრალი მალამო; გერმ. **machen**, ინგლ. **make**; გერმანულიდან ნასესხები ფრანგ. **масон** — კალატოზი; ბერძ. **μασσο** „**დანამვა; ცრა**“; **μακρια** — წყალში გახსნილი ფქვილით მომზადებული წვნიანი შეჭამადი; ლათ. **macero** მოსრესით დარბილებული და სხვ. (ბოისაკი, ტრაუტმანი, პოკორნი, ვალდე, მეიე). სომეხი ლექსიკოგრაფის სიტყვით, „**წინარე პროტოენის ნამდვილი მნიშვნელობა საუკეთესოდაა დაცული სომხურში**“.

6 „**მაწ**“ და „**მაწუნ**“ სიტყვის შესახებ ეტიმოლოგიური ძიება წარმოდგენილი აქვს როგორც შუა საუკუნეების, ისე ახალი დროის — XIX-XX სს-ის ცნობილ არაერთ სომეხ და არასომეხ ენათმეცნიერს, როგორებიცაა გრიგოლ მაგისტროსი (X-XI სს.), ერზინკაცი (XIII ს.), მეიე, ჰ. ჰიუბშმანი, დე ლა გარდი, მიულერი, ლიდენი. ერზინკაცის

„გრამატიკაში“ მოწოდებული აქვს *masidun* [მაწუნ] სიტყვის ეტიმოლოგია: «*Masidun* *ᄀᄃᄆᄇ ᄀᄃᄆᄇ ᄀ, ᄀᄃᄆᄇ ᄀ ᄀᄃᄆᄇᄀ*» (=მაწუნი, იმიტომ რომ შედედებულია, ასევე იწოდება). მიუღერი უკავშირებს სპარს. **mast** (მაწონი).. კანინი *masidun* = სპარს. *makhidan* „შეერთება, შეერთება“. ჰიუბშმანი სპარს. **mast masidan** (შედედება) და სხვ. ჰრ. აჭარიანი მიიჩნევს, რომ **სწორი განმარტება** პირველად წარმოადგინა **ლიდენმა** (1896), რომელიც *masidan* და *masidun* ძვ. ბულგ. *mahhon*, ინგლ. *macian* ფორმებს უკავშირებს. ამ სიტყვებში, ჰრ. აჭარიანის სიტყვით, თავს იჩენს **პროტოინდოევრ. mag** ძირი. ძვ სლავ. *mazo*, *mazati* ფორმებს დაუკავშირა მეიემ. შეფტელოვიჩი — ბელუჯ. *მადავ*, ფრანგ. *მატონ* (ხაჭო), ლათ. *მადეო*, ბერძნ. *მადაო* (დასველება, დაწესტიანება); შარპენტიე — *masidun* [მაწუნ] = სპარს. **mast** და სხვ. ცალკე წერილი უძღვნა ამ სიტყვას **მეიემ**, სადაც დაადასტურა პროტოევროპული **mag** ძირიდან წარმომავლობა. პოკორნი *უკუაგდებს* რა მეიეს ამ განმარტებას, ისევე როგორც შარპენტიესას (=წინარე ინდოევრ. *mozgho* „ტვინი“). იზიარებს *mad* (=სველი, ნოტიო) -თან შეფტელოვიჩის განმარტებას (ჰრ, *სადაოუსან, ჯაქსენს არისათა სან რაათარან, III, სქსან, 1977*).

7. ჩვენ ვფიქრობთ, რომ **მაწ-მაწუნ** სიტყვების მნიშვნელობა სიახლოვეს უნდა ამჟღავნებდეს ქართველურ ენობრივ სამყაროსთან (**მაჭ // მაწ-მაწიერი-იმაწე-მაწონ-მარწვენ**) და ეტიმოლოგ. ძიება ამ მიმართულებითაც უნდა წარიმართოს. ქართველურ ენებში დასტურდება „**მაწ**“ ძირი (სვანურ-მეგრულში „მარწვენი“). საყურადღებოა „**მაჭ(ი)კი**“ = (მაწვნის) დედა (დედო, კვეთი, დვრიტა). ეს პარალელები შესაძლებელია იმას ნიშნავდეს, რომ სომხურ „მაწ“-ს საერთო ჰქონდეს ქართველურ ენობრივ სამყაროსთან. ივ.ჯავახიშვილი „**მაჭიკ**“ (=დვრიტა, კვეთი, დედა) ტერმინთან დაკავშირებით ასეთ აზრს გამოთქვამს: „ტერმინი „**მაჭიკი**“ ს. ორბელიანის სამართლიანი. განმარტებით „**დვრიტა**“-ს ნიშნავს; „**მაჭიკი დვრიტა**“ და „**დვრიტა მაჭიკია**“-ო, ნათქვამი აქვს ლექს-ში. თუ გავიხსენებთ, რომ **მაჭიკი** ანუ **დვრიტა** რძეს ყველად აქცევს ხოლმე, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ მისი დანიშნ. ისეთივეა, როგორც ამ ჩანართს (მ.რ. = მაჭიკს), რომელიც რძის შეკვეთას (მ.რ. „კვეთი“ = „მაჭიკი“) იწვევს და რძეს **მაწ-**

ენად (ხაზგ. ჩემია — მ.რ.) ჰხდის ხოლმე. ცნობილია, რომ რძის მაწ-ენად შემკვეთელ ჩანართს **მაწვნის დედა** ეწოდება და თვით ამ ქიმიურ-ფიზიოლოგიურ პროცესსაც **შედედება** ჰქვია. ამიტომ სრულე-ბით ბუნებრივია, ადამიანს აზრმა გაუეღვოს, რომ **მაქიკი-ც „დედის“**, **„ყველის დედის“ აღმნიშვნ. უნდა იყოს** და მეორე სახელად ხალხი მას ხომ სწორედ ასე ეძახის“ (ქართული და კავკასიური ენების თავდაპირვ. ბუნება და ნათესაობა, თხზ-ნი თორმეტ ტომად, ტ. X, თბ. 1992, გვ. 213-214). ჩვენი აზრით, „**მაქ(ი)კ**“ სიტყვაში გამოიყოფა „**მაქ**“ ძირი, რომელიც უნდა შეუღარდეს „**მაწ**“-ს, აქ იკვეთება **ჭ/წ** ბგერათშესატყვისობა, რაც ქართულ-ქართველურისთვის არ არის უცხო (**მაქ-იკ = მაწ-ონ**).

8. სომხ. ენის განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელი სტ. მალხასიანცი იმოწმებს X-XI სს-ის ცნობილი სომეხი მოღვაწის გრ. მაგისტროსის საყურადღებო ცნობას **მადონის** [მაწუნ]-ის შესახებ: „ბერძნებს ჩვენგან აქვთ შეთვისებული „მაწუნ“- ი და ამავე სახელს უწოდებენ მას, არ უწყიან რა მისი ეტიმოლოგია, რომ „მაწუნ“-ი ეწოდება შედედების გამო“ (მ.რ. „მაწ“ ძირი უკავშირდება შედედებასაც და „მაწუნ“-ის სახელდებასაც, მათ შორის ლოგიკური კავშირია). აქვე ლექსიკოგრაფის მიერ მოწოდებულია „მაწუნ“ სიტყვის მომზადების წესი.

9. ძველ სომხურ ენას მოეპოვება სუფიქსების ჯგუფი, რომლებიც აწარმოებენ ზმნური ფუძეებიდან მოქმედ პირთა სახელებს. ამ სუფიქსებს განეკუთვნება... ნაწილობრივ **-ნი** [უნ], რომელიც უპირატესად არის **nomen agentis: գիտուն** [გიტუნ] მცოდნე, **թռչուն** [თრჩუნ] ფრინველი (Э. Туманян, Древнеармянский язык, Москва, 1971, стр. 148-149); ამავე სუფიქსის ფუნქციების შესახებ ახალ სომხ. ენაში ცნობებს გვაწვდის ივ. შილაკაძე: **-ნი** ზმნის ძირიდან აწარმოებს *მოქმედ* სახელს ან *მოქმედების შედეგის* აღმნიშვნელ სახელს: **ասուն** [ასუნ] მთქმელი, **գգայուն** [ზგააუნ] მგრძნობიარე, **մადուն** [მაწუნ] *შედედებულ* (ივ. შილაკაძე, ახალი სომხური ენის გრამატიკა, თბ. 1971 გვ.115); ქართულ „მაწონ“ სიტყვაში **-ონ** სუფიქსი ქართველურ ენათა სამყაროს უკავშირდება, რომელიც საკუთრივ ქართულშიც აისახება; სომხურ „მაწუნ“-ში დადასტურებული **„უნ“** შესაძლებელია

ჭანური წარმომავლობის „უნ“ სუფიქსს უკავშირდებოდეს, რომელიც მეგრულშიც და საკუთრივ ქართულშიც იჩენს თავს. **-ონ** მორფოლოგიური ფორმანტი შესწავლილია არნ. ჩიქობავას მიერ, ჭანურის მაგალითებია: წკარ-ონ-ი (=ნოტიო, წყლიანი), ლებ-ონ-ი (=ტალახიანი), კიბირონი (=კბილიანი) და სხვ., ხოლო **-ონ** სუფიქსის მეგრულში გამოყენების შესახებ არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „ორიოდე შემთხვევაში მეგრულშიაც აქვს ადგილი **-ონ** სუფიქსის ხმარებას; ასეთია: გვიმარ-ონ-ი (ადგილი, სადაც გვიმრა იზრდება); ჭუბურ-ონ-ა (წაბლნარი; ტყის სახელია ეკის მთის კალთაზე, ძვ. სენაკის თემში); ჭორთონ-ა (ადგილი, სადაც ახლად აყრილი წვრილი ხეები იზრდება, მაგ., მურყნისა ანუ თხმელასი თუ სხვ. რისამე)... ქართლში ველის სახელი ტირიფ-ონ-ი (ტირიფან-ა) ნაწარმოებია ამ ჭანური **-ონ** სუფიქსით. მეგრულში ამ **-ონ** სუფიქსს ფართო გავრცელება უნდა ჰქონოდა; საკუთარ სახელებში მისი ხმარება ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს“ [ა. ჩიქობავა, „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“, შრომები III, თბილისი 2008, 548]. მის შესახებ მსჯელობას ჭანურ ენაში ნ. მარის „ჭანური ენის გრამატიკაში“ ვხვდებით.

10. XVI საუკუნის ქართულ სამედიცინო ენციკლოპედიაში „იადიგარ დაუდი“ დასტურდება ტერმინი „**მაწონი**“ („რძე ან **მაწონი** რომე კაცმან ძმრითა ჭამოს ავი არის; ხაჭო გრილი და ხმელი არის, კაცსა გულსა და სტომაქსა მოუგრილებს“); ამ სიტყვას ვხვდებით სულხან-საბას ლექსიკონშიც.

11. ნ. ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონის (რუსული თარგმანითურთ) მიხედვით „**მაწონი**“ წარმოადგენს ქართულში არმენიზმს (რასაც არ გვეუბნებიან არც საბა, არც დავით ჩუბინაშვილი).

12. ტერმინი „**წუელა**“, როგორც „**მაწვნის**“ სინონიმი, მოწოდებულია სულხან-საბას, ნ. და დ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით შეტანილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

მედია სალიანი

რთულ ზმნისწინთა ყველა შესაძლო კომბინაცია სვანურში

სხვა ქართველურ ენათა მსგავსად, სვანურ ზმნისწინსაც (**resp.** პრევერბს) მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. მას გააჩნია როგორც სიტყვაწარმოებითი, ასევე ფორმაწარმოებითი ფუნქციები: ცვლის ლექსიკურ მნიშვნელობებს, გვიჩვენებს მოქმედების მიმართულებას (**გეზსა** და **ორიენტაციას**), აწარმოებს მომავალ დროს და, ამასთანავე, ზმნაში გამოხატულ მოქმედებას სძენს დასრულებულ სახეს.

თანამედროვე სვანურში არსებობს ზმნისწინთა ორი სხვადასხვა რიგი სხვადასხვა მორფოლოგიური ფუნქციით. პირველ მათგანში ერთიანდება **ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**, ხოლო მეორეში — **ჟი**, **ჩუ**, **სგა** (**||ისგა**), **ქა** ზმნისწინები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია ამ ზმნისწინთა ალომორფების განაწილების რამდენიმე ზოგადი წესი, რომელთაგანაც პირველი ორი წესი ზმნისწინთა ხმოვან ელემენტებს შეეხება, დანარჩენი კი თანხმოვან ელემენტთა ნაირსახეობას, ან მათ ქონება-უქონლობას (ა. ონიანი).

როგორც ცნობილია, სვანურში არსებული რვა მარტივი ზმნისწინიდან ოთხი ძირითადია, ოთხი კი — თანდებულთან საზიარო. ძირითადია **ლა-**, **ან-**, **ად-**, **ეს-**, ხოლო პრევერბ-თანდებულია **ჟი**, **ჩუ**, **სგა** (**||ისგა**), **ქა-**. სწორედ მათი შერწყმით (**თანდებულ-პრევერბი + ძირითადი პრევერბი**) არის მიღებული რთული ზმნისწინი (**ჟი + ას-**, **ჩუ + ად-**, **სგა + ა-**, **ქა + ეს-**, **სგა + ლა-...**).

თანამედროვე სვანურში, სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილი მასალის მიხედვით, გამოყოფილია (გ. თოფურია, ა. ონიანი, მ. სალიანი) მარტივ ზმნისწინთა ყველა შესაძლო ალომორფი: **ლა-**: **ლა-**, **ლჰ-**, **ლჰ-**, **ლჰ-**, **ლო-**, **ლო-**, **ლე-** = შე-, მი-, გა-, წა-, და-, წა(რ)-; **ან-**: **ა-**, **ჰ-** (**ე-**), **ო-**, **ან-**, **ჰნ-** (**ენ-**), **ონ-** = მო-; **ად-**: **ჰ(ე-**), **ო-**, **ა-**, **ჰთ(ეთ-)**, **ოთ-**, **ათ-**, **ჰდ(ედ-)**, **ად-**, **ოდ-** = მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-; **ეს-**: **ე-**, **ეს-**, **ო-**, **ოს-**, **ა-**, **ას-**, **ჰ-**, **ჰს-** = მი-, და-, წა(რ)-, ხოლო

რაც შეეხება რთულ ზმნისწინებს, მათი სრული პარადიგმები დღემდე ცნობილი არ ყოფილა.

მოხსენებაში სრულად იქნება წარმოდგენილი რთულ ზმნისწინთა პარადიგმატული ცხრილები სვანური დიალექტებისა და კილოკავების მიხედვით (ყველა შესაძლო ფონეტიკური ვარიანტით, — სულ 208 კომბინაცია): **ჟი + ან- > ჟ'ან-** (ზს., ქს.), **ჟი + ან- > ჟ'ან** (ზს., ლნტ.), **ჟი + ა- > ჟ'ა** (ზს., ქს.), **ჟი + ა- > ჟ'ა** (ზს., ლნტ., ჩოლ.), **ჟი + ენ- > ჟ'ენ** (ბქ., ლმზ., ჩოლ.), **ჟი + ენ- > ჟ'ენ** (ლმზ., ჩოლ.), **ჟი + ე- > ჟ'ე** (ბქ., ლმზ., ჩოლ.), **ჟი + ონ- > ჟ'ონ** (ზს., ქს.), **ჟი + ო- > ჟ'ო** (ზს., ლმზ., ჩოლ.) = აღმო-, ამო-; **ჟი + ად- > ჟ'ად-** (ზს., ქს.), **ჟი + ათ- > ჟ'ათ-** (ზს., ლნტ.), **ჟი + ატ- > ჟ'ატ-** (ბქ.), **ჟი + ად- > ჟ'ად-** (ზს., ლნტ.), **ჟი + ათ- > ჟ'ათ-** (ზს., ლნტ.) ... = ა-, ზე-, მი-, და-, გა-, წა-; **ჟი + ეს- > ჟ'ეს-** (ზს., ლმზ.), **ჟი- + ას- > ჟ'ას-** (ლნტ., ჩოლ.), **ჟი- + ან- > ჟ'ან-** (ლნტ.), **ჟი + ე- > ჟ'ე-** (ზს., ლმზ.), **ჟი + ოს- > ჟ'ოს-** (ბქ.) ... = ზეწედ: მი-, და-, წა(რ)-, აღ-; **ჟი + ლა-** (ზს., ქს.), **ჟი + ლა-** (ზს., ლნტ.), **ჟი + ლა-** (ბზ., ჩოლ.), **ჟი + ლა-** (ბზ.), **ჟი + ლე-** (ბქ., ლმზ., ჩოლ.) ... = ზე შე-, ა(ღ)-; **ჩუ + ან- > ჩ'ან-** (ზს., ქს.), **ჩუ + ან- > ჩ'ან** (ზს., ლნტ.), **ჩუ + ან- > ჩ'ან** (ბქ.), **ჩუ + ა- > ჩ'ა** (ბზ., ქს.), **ჩუ + ა- > ჩ'ა** (ზს., ლნტ.), **ჩუ + ე- > ჩ'ე** (ბქ., ლმზ., ჩოლ.) ... = ქვეწქე: მო-, ჩამო-, დამო-; **ჩუ + ად- > ჩ'ად-** (ზს., ქს.), **ჩუ + ათ- > ჩ'ათ-** (ზს., ქს.), **ჩუ + ათ- > ჩ'ათ-** (ბზ., ლმზ.), **ჩუ + ა- > ჩ'ა-** (ბზ., ლმზ.), **ჩუ + ათ- > ჩ'ათ-** (ზს., ლნტ.), **ჩუ + ად- > ჩ'ად-** (ზს., ლნტ.), **ჩუ + ოტ- > ჩ'ოტ-** (ბქ.) ... = ქვეწქე: მი-, და-, გა(ნ)-, წა(რ)-, ჩა-; **ჩუ + ეს- > ჩ'ეს-** (ზს., ლმზ.), **ჩუ + ას- > ჩ'ას-** (ლნტ., ჩოლ.), **ჩუ + ან- > ჩ'ან-** (ლნტ.), **ჩუ + ე- > ჩ'ე-** (ზს., ლმზ.), **ჩუ + ოს- > ჩ'ოს-** (ბქ.), **ჩუ + ოს- > ჩ'ოს-** (ბქ., ლმზ.) ... = ქვეწქე: მი-, და-, წა(რ)-, ჩა-; **ჩუ + ლა-** (ზს., ქს.), **ჩუ + ლა-** (ზს., ლნტ.), **ჩუ + ლა-** (ბზ., ლმზ., ჩოლ.), **ჩუ + ლა-** (ბზ.), **ჩუ + ლე-** (ლმზ., ჩოლ., ცხუმ.) ... = ქვეწქე: შე-, მი-; **სგა + ან- > სგ'ან-** (ზს., ქს.), **სგა + ან- > სგ'ან** (ბზ.), **სგა + ე- > სგ'ე-** (ბქ., ლმზ., ჩოლ.), **სგა + ონ- > სგ'ონ-** (ზს., ქს.) ... = შემო-; **სგა + ად- > სგ'ად-** (ზს., ქს.), **სგა + ად- > სგ'ად-** (ბზ., ლმზ., ჩოლ.), **სგა + ათ- > სგ'ათ-** (ბქ.), **სგა + ათ- > სგ'ათ-** (ბზ., ლმზ., ჩოლ.), **სგა + ად- > სგ'ად-** (ზს., ლნტ.), **სგა + ატ- > სგ'ატ**

(ბქ.) ... = შე- [მი-, და-, გა-, წა-]; სგა + ეს- > სგ'ეს- (ზს., ლშხ.), სკა + ას- > სკ'ას- (ლნტ., ჩოლ.), სკა + ან- > სკ'ან- (ლნტ.) ... = შე- [მი-, და-], ჩა-; სგა + ლა- (ზს., ქს.), სგა + ლან- (ზს., ლნტ.), სგა + ლო- (ზს., ლშხ., ჩოლ.) ... = შე-, მი-; ისგა + ან- > ისგ'ან (ეცერ., ლხმ.), ისგა + ან- > ისგ'ან- (უშგ.), ისგა + ად- > ისგ'ად- (ეცერ., ლხმ.), ისგა + ეს- > ისგ'ეს- (ეცერ., ლხმ.), ისგა + ოთ- > ისგ'ოთ- (ეცერ., ლხმ.) ... = შემო-; ქა + ან- > ქან- (ზს., ქს.), ქა + ან- > ქან- (ბზ., ლშხ., ჩოლ.), ქა + ა- > ქა- (ზს., ქს.), ქა + ენ- > ქენ- (ლშხ.) ... = გამო-, წამო-; ქა + ად- > ქად- (ზს., ლნტ.) = გა-[მი-], წა-, და-; ქა + ეს- > ქეს- (ზს., ლშხ.) = გა-, და-, წა-; ქა + ლა- (ზს., ქს.) = გა-, მი-, [გა-]შე- და ა. შ.

ნარგისა სურმავა

-ვე ნაწილაკის უცნობი ფუნქციისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში

ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი მასალების დეფიციტის ფონზე დიდ მნიშვნელობას იძენს ქუთაისელ ებრაელთა ქართული მეტყველების ნიმუშები, ჩაწერილი 1939 წელს როზა თავდიდიშვილის მიერ. აღნიშნული ხელნაწერი ინახებოდა არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიალექტოლოგიურ არქივში და მისი „გამომზეურება“, სხვა ადრინდელ ხელნაწერ დიალექტურ მასალებთან ერთად, მოხდა ქართულ დიალექტურ კორპუსზე მუშაობის პროცესში.

მოხსენებაში შევხვებით -ვე ნაწილაკის ქართული დიასისტემისათვის უცხო ფუნქციას — ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის უნარს. -ვე ნაწილაკის ამ ფუნქციის შესახებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში აღნიშნა ბ-ნმა რ. ენოხმა თავის საკონფერენციო მოხსენებაში. ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში საკმაოდ აღმოჩნდა ამის ნიმუშები.

მოხსენებაში დაწვრილებით იქნება გაანალიზებული **-ვე** ნაწილაკით პლურალობის გამოხატვის შემთხვევები ჩვენი ხელნაწერის მიხედვით; აღწერილი იქნება ფონეტიკური პროცესები, რაც მის დართვას ახლავს სუბ. მესამე პირის ნიშნებთან და ფუძის ბოლოკიდურა თანხმოვანთან; აღნიშნული იქნება **-თ** სუფიქსის და **-ვე** ნაწილაკის გამოყენების შემთხვევათა სტატისტიკური თანაფარდობა; გავლებული იქნება პარალელი მის ფუნქციურ ექვივალენტთან ქართულ დიალექტებში — **-ყე** ნაწილაკთან. მოცემული იქნება ცდა **-ვე** ნაწილაკის ამ უნარის განვითარების ახსნისა სამწვეროლობო ძეგლების მოწვევების მიხედვით.

მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

კ ა უ ზ ა ტ ი ვ ი ნ ა ზ მ ნ ა რ ს ა ხ ე ლ ე ბ შ ი

ნაზმნარ სახელებს (მასდარსა და მიმღეობას) ზმნურ კატეგორიათაგან არსებითად მხოლოდ წარმოქმნის კატეგორიები უნარჩუნდება, კერძოდ, — გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი და კაუზატივი (კონტაქტი). გასახელებულ ზმნებში არ გაირჩევა ქცევის (და სიტუაციის) კატეგორია, რომლის მაწარმოებელი ხმოვანი პრეფიქსები ზმნურ ფუძეში არ განიხილება, შესაბამისად, ფუძის ლექსიკურ მნიშვნელობას ფაქტობრივ არ ცვლის; ამდენად, ნაზმნარ სახელებში უქცეო და ქცევინი ფორმების დაპირისპირება არ აისახება.

ქართულ გრამატიკებში აღნიშნულია კაუზატივის (კონტაქტის) კატეგორიის განსაკუთრებული ადგილი წარმოქმნის კატეგორიებს შორის: „წარმოქმნილი ფორმა აქ საკმაოდ დაშორებულია ძირეულისაგან ლექსიკური შინაარსით, უფრო მეტად, ვიდრე გვარისა და ქცევის ფორმებში“. კაუზატივის კატეგორია მორფოლოგიურად გარჩეულია გარდამავალი ზმნის უღლებს მთელ სისტემაში (III სერიაშიც), როგორც ძირეული, ასევე წარმოქმნილი ზმნებისა (გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა); ა. შანიძე დაასკვნის: „თუ ამას დავსძენთ, რომ კონტაქტი სახელზმნებსაც მოეპოვებათ (დაწვრილება,

დაწერინებული), შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონტაქტი მკაფიოდ გამოხატული და ერთი უმდიდრეს კატეგორიათაგანია ქართულში“.

მკაფიოობა ალბათ უფრო ამ კატეგორიის ფორმალურ მხარეს (გამოხატულების პლანს) ეხება. გრამატიკებში დამოწმებული ფორმალური თვალსაზრისით გამართული კაუზატივის სახელწმინთი ფორმები (გზავნილება, გამგზავნილებელი, მკეთებინებელი, მოკვლევინებელი, გატეხინებელი, დასაწვევინებელი, მისატანინებელი და მისთ.) სალიტერატურო ქართულის თვალსაზრისით ხელოვნური ჩანს. ეს ფაქტი ქველშიც აისახება; კერძოდ, ლექსიკონში წარმოდგენილი კაუზატივის პირიან ფორმათა სათანადო მასდარ-მომღეობები აქ ნაკლებად და ძირითადად ილუსტრაციების გარეშე გვხვდება; სათანადო ილუსტრაციებით დამოწმებული კაუზატიური მასდარ-მიმღეობათა ერთი ნაწილი დიალექტური ჩანს, მაგალითად: ნაბრძანები მაქვს, ყოველგვარი ზომა ვინმარო ამ გადასახადის გადახდევინებინებისათვის (დ. კლდ.), მეფემ ფურისა უბრძანა დაკვლევინება (ბაჩ.) და სხვ. ამ ილუსტრაციებში თავისუფლად ჩაენაცვლება არაკაუზატიური მასდარები (გადახდა, დაკვლა).

„ქართული სამართლის ძეგლებში“ დამოწმებული კაუზატიური ზმნები ტერმინთა საძიებელში კაუზატიური მასდარის ფორმით არის გამოტანილი, მაგ., გარდაბიჯებინება, ზიდვინება, მოკითხვინება, ამოკვეთინება, მოკვეთინება, ხუცებინება და სხვ., რელურად ეს მასდარები აქ არ დასტურდება; ტექსტებში კაუზატიური მასდარების, ასევე, მიმღეობის ფორმები ნაკლებად, მაგრამ მაინც ჩანს, შდრ.: გარდაჭდევინება, გარდასაჭდევინებელი, ჩაყრევინება, ჩაგდებინება, ჩაგდებინებელი, დაცლევინება, საზღვევინებელი და ა.შ.

კაუზატივის კატეგორია ზმნურ ფორმებში სუბიექტისა და ირიბი ობიექტის პირებს შორის გარკვეული სახის მიმართებას, პირობითად, „იძულებას“, აფიქსირებს; ზმნის უპირობო **-ინ, -ევინ** სუფიქსებიან სახელწმინთ დერივატებში ეს მიმართება „პირის კატეგორიისაგან განყენებულად“ არ ან ნაკლებად აისახება; შესაბამისად, სახელწმინთ ფორმებში ფორმისა და ფუნქციის დაპირისპირება იკვეთება.

ნასახელარ ზმნათა წარმოქმნის თავისებურებანი ქართულში

1. სახელისაგან (და, საერთოდ, არაზმნური ძირებისაგან) ზმნურ ფორმათა წარმოება ქართული სიტყვაწარმოების ერთ-ერთი ნიშანდობლივი თავისებაა.

2. ნასახელარ ზმნათა გენეზისისა და ფორმაწარმოების საკითხები საფუძვლიანად არის შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში.

3. ნასახელარ ზმნათა წარმოების მყარი მოდელი შემუშავებულია კლასიკურ ეპოქაში:

ა) გელათის სკოლა: შეანაწევრებს, ეპირველებს, გარომელდება.

ბ) სვეტიცხოვლის საკითხავი: ამოლამპარდი, უწყაროებს, მოიხიბრძნე, აღმწვერვალბულან.

გ) მცხეთური ბიბლია: აღმოამორჩენ, დაიკარვა-აღიკარვა, ვიუსამართლოები.

4. ხალხური პოეზიის ნიმუშთაგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „თავფარავნული ჭაბუკი“: კელაპტარობდა, ნიავქარობდა, აბეზარობდა... „ვეფხი და მოყმე“: ფარს უფაროებს და ვერ ფარობს“... ამომზიგულდი, ერქავგრეხილებოდა...

5. ნასახელარ ზმნათა 300-ზე მეტი ფორმაა „ვეფხისტყაოსანში“. შოთა რუსთაველი დაეყრდნო როგორც მწიგნობრულ, ასევე ხალხურ ფორმებსაც და ისეთი ოკაზიონალიზმები შემოგვთავაზა, რომელთაც ანალოგი არა აქვთ ქართულ მწერლობაში: „ასუდარებს, აზეწარებს“. „ბროლ-ბადახში გააღაწვეს და გიშერი აწამწამეს“, „მე სამარე გამითხარე, აქა მიწა მიაკვანე“, „ტირს და სულთქვამს, ვაებს, უობს“, „ცამცა გაიდარბახესა“, „ხამს თავი იქედგოროსა“, „შენ ვარდობდე, ის კი იე“.

„ვეფხისტყაოსანში“ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ორწვერა ერთეულები, რომლებშიც პირველ ნაწილად ის სახელია დასახელებული, რომლის მეორე კომპონენტად ამ სახელისაგან მიღებული

ზმნაა“ „ღმერთი იღმერთო, ცაცა იცო“, „დაცა იღოს“, „ჩემმან ქედმან მიიქედნეს“, „აზავრები ვააზავრე“.

6. ქართულმა ლექსმა გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის პოეზიაში სინატიფე და ჰაეროვნება შეიძინა. მათ ახლებურად აყდერებული ნასახელარი ზმნებით დაამშვენეს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა: გალაკტიონი: „და ოცნება მოგონებას იით მოაიავებს“, „ამინანქრებს“, „შემოამძივებს“, „მიიმღერა, მოიმღერა“, „ელუბლებს“, „ვერცხლდება“, „ითანდათან“, „დაუფარჩოს“. გ. ლეონიძე: „შევიღამისა“, „გაიმნათობა“, „ამოითეთრა“, „გაუქარწვიმებს“, „იბუღბუღა“, „დაითერგება“...

7. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ნასახელარ ზმნათა საინტერესო ფორმები პოეზიის ენას კვლავ შეუწარმოებენ: ანა კალანდაძემ, მურმან ლებანიძემ, შოთა ნიშნიანიძემ, მუხრან მაჭავარიანმა: „ცამ გაუსხივა არწივებს, იცისარტყელა უცებ“ (მ. ლებ.), „ამომიტყვენ ჩუქურთმა, ამომიფოთლე სტრიქონი“, „მიირაშებს“ (შ. ნიშ.), „შაშივი მებუღბუღება“, „ცხენისწყლობს, ალაზნობს, ფერწითლობს“ (მ. მაჭავ.).

პროზა: „ამომიუღარა“, „გამოიღრენდა“ (რ. ინანიშვილი), „იუცოდინარებდა“, „ჩაიხუთ-ჩამწვანდებოდა“, „ენისიავებოდნენ“ (რ. ჭეიშვილი), „მოშავჭირებულა“, „გაბარგანავდა“ (ნ. შატაძე).

8. ლაშა გახარიას პოეზიაში ხშირად ნასახელარი ზმნა მთელი წინადადების აზრს იტევს: „შეგვიჭვიშტარე“ (სახლში შეგვიყვანე და ჭვიშტარით გვიმასპინძლე), „მიინებტუნება“, „მემცხეთა, აწიწამურდა“ („სულ სხვა ქარაგმად მემცხეთა მცხეთა, აწიწამურდა ბოლი ბერდანის“).

9. ნასახელარი ზმნები ხშირად გვხვდება:

ა) სამეცნიერო ტექსტებში: სიმბოლიზდება, პერსონიფიცირდება,

ბ) კომპიუტერთან დაკავშირებულ სიტყვებში:

დავარეინჯერე, დაგუგლა, ამოიპრინტება, დაალიქა, დაკლიკა, დააბაუზა.

გ) განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ჟარგონში: ალადავებს, ათოხლა, აგოიმებს, ბლატაობს, წაშანსავდა... დამიპადიეზდეს, გააესტრადეს, გაატელევიზორეს.

10. სახელის ფუძე მახმანავებელ ელემენტებთან ერთად იქცევა ზმნად, რომელიც ხშირად მოიცავს მთელი წინადადების აზრს.

„ქართველური ენების გარდა არც ერთ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენას არ შეუძლია სახელის ფუძისაგან ისეთი ნაირ-ნაირი ახალი ფუძეები აწარმოოს, როგორც ქართულში გვაქვს“ (არნ. ჩიქობავა).

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი

ქართული ექსკლუზივის საღვთისმეტყველო ასპექტები

I. უძველეს ქართულ ძეგლებში მყარადაა დაცული პირველი ობიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვის მორფოლოგიური წესი (აკაკი შანიძე), სვანურში დღემდე შემონახული და ძველქართული გადმონაშთის სახით არსებული **გუ**-თავსართიანი ე. წ. **ინკლუზივი**, რომელშიც **I** პირთან ერთად ჩართულია **II** პირი (=I-მე+II-შენ, თქვენ): „ჰრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, **გუ-ასწავე** ლოცვად, ვითარცა იოვანე ასწავა მოწაფეთა თვსთა“ (ლუკა 11, 1), და **მ**-თავსართიანი **ექსკლუზივი**, რომელშიც **I** პირთან ერთად ჩართულია **III** პირი (=I-მე+III-ის, ისინი): „მოძღუარ, მოსე ესრეთ **და-მ-იწერა** ჩუენ“ (მარკოზი 12, 19).

ძველ ქართულ ოთხთავში თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული ინკლუზივ-ექსკლუზივის ამსახველი მასალა: ინკლუზივის — 57 და ექსკლუზივის — 52; აქედან, **მათეს** სახარებაში: ინკლუზივის — 15, ექსკლუზივის — 13; **მარკოზის** სახარებაში: ინკლუზივის — 10, ექსკლუზივის — 8; **ლუკას** სახარებაში: ინკლუზივის — 17, ექსკლუზივის — 24; **იოანეს** სახარებაში: ინკლუზივის — 15, ექსკლუზივის — 7.

II. მათეს და ლუკას სახარებაში ყურადღებას იქცევს ექსკლუზივით გამოხატული „მამაო ჩუენოს“ ლოცვითი ვედრება:

„პური ჩუენი არსობისაჲ **მო-მ-ეც** ჩუენ დღეს და **მო-მ-იტევენ** ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი... და **ნუ შე-მ-იყვანებ** ჩუენ განსაცდელსა, არამედ **მ-ივხნენ** ჩუენ ბოროტისაგან“ (მათე 6, 11-13; ლუკა 11, 3-4).

მონიშნული ექსკლუზიური ზმნა-შემასმენლები, თავიანთი მორფო-სემანტიკით, ანუ **I** პირთან ერთად განმაზოგადებელი **III** პირის ჩართვით, იძენს საყოველთაოობის — „ურთიერთას ტურთის ტურთის“ (გალატელთა მიმართ 6, 2; მათე 8, 17) ქრისტიანულ შინაარსს: „მოგვეცი, მოგვიტევე, ნუ შეგვიყვან, გვიხსენი **ჩვენ — მე და ის, მე და ისინი**“. ერთობლივად წარმოთქმული „მამაო ჩუენოს“ ლოცვით მართლმორწმუნე ქრისტიანები უფალს ევედრებიან არა მარტო საკუთარი თავისთვის, და არც მხოლოდ გვერდით მყოფთათვის, არამედ საზოგადოდ ყველასთვის, რის გამოსახატავად საუფლო ლოცვის ძველქართულად მთარგმნელმა მიმართა საგანგებო მორფოლოგიურ წესს — ექსკლუზივს.

ურთიერთზრუნვით გამსჭვალულ ლოცვას თავად უფალი იწონებს და ამიტომაც შეგვაგონებს „მამაო ჩუენოს“ ლოცვის დასასრულს: „უკუეთუ მიუტევენთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევენს თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან; უკუეთუ არა მიუტევენთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევენს თქუენ შეცოდებანი თქუენნი“ (მათე 6,14-15).

III. ამასთან ერთად, ძველ ქართულ ოთხთავში არსებული ინკლუზივ-ექსკლუზივის მორფო-სემანტიკური ანალიზი ცხადყოფს, რომ სახარების უძველეს ქართულენოვან ტექსტში აღრესატის (ობიექტის) შინაარსს, მცირე გამონაკლისის გარდა, ადეკვატურად აღბეჭდავს როგორც ექსკლუზივი (განმაზოგადებელი **III** პირის „შემცველი“ **I** ობიექტური პირი), ისე ინკლუზივი (**II** პირით „შემოფარგლული“ **I** ობიექტური პირი).

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ე ი ლ ი

მრავალგზისობის კატეგორიის გამოხატვის ცვლილებისათვის - ორგანული წარმოებიდან აღწერით წარმოებაზე გადასვლა

ძველ ქართულში მრავალგზისობის კატეგორიას ხოლმეობითის მწკრივები გამოხატავდნენ. ძველ ქართულშივე იღებს სათავეს მრავალგზისობის გამოხატვის აღწერით წარმოებაზე გადასვლის ტენდენცია — მრავალგზისობა გამოიხატება სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებით: „მრავალგზის“, „მარადის“ და ა. შ. მნიშვნელოვანია ის, რომ მრავალგზისობის გამოხატველი ლექსიკური ერთეულები გვხვდება ხოლმეობითის მწკრივებთან, საქმე გვაქვს მრავალგზისობის ორმაგ გამოხატვასთან, რაც თავის მხრივ, სტილისტიკურ ხარვეზს იწვევს. დავინტერესდით, ამგვარი ფორმები მხოლოდ ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება თუ ორიგინალურ თხზულებებშიც? საკითხი შევისწავლეთ ქართული ოთხთავის სხვადასვა რედაქციაში და მონაცემები შევადარეთ ბერძნულ დედანს. შევნიშნავთ, რომ ბერძნულში მრავალგზისობა ორგანულად არ გამოიხატება, ეს კატეგორია ბერძნულში სემანტიკურად გადმოიცემა.

წარმოგიდგენთ საილუსტრაციო მასალას:

DE:

„რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდასა განსვლად კაცისა მისგან; რამეთუ **მრავალ უამ წარიტაცის იგი**, და **შებორკილიან** იგი ჯაჭუთა და საკრველითა და ჰცვედ, და **განხეთქნის** საკრველნი და იდევენებიან ეშმაკისა მისგან უდაბნოთა“ (DE; ლკ. 8; 29).

ლექსიკურ ერთეულთან ერთად გვხვდება ხოლმეობითის მწკრივები: **„მრავალ უამ წარიტაცის...შებორკილიან... განხეთქნის“.**

მისი პარალელური **C** რედაქცია:

„რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდასა განსვლად კაცისა მისგან; რამეთუ **მრავალგზის წარიტაცის იგი**, და **შებორკილიან** იგი ჯაჭუთა და საკრველითა და ჰცვედ, და **განხეთქის** საკრველნი და იდევენბინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა“ (C; ლკ. 8; 29).-ლ

რედაქციებს შორის არსებითი განსხვავება არ არის, გარდა იმისა, რომ ლექსიკური ერთეულის ნაცვლად: **„მრავალ უამ“** რე-

დაქციაში გვხვდება „**მრავალგზის**“ და „იღვენებიან“ ზმნის ნაცვლად — „იღვენებინ“.

ბერძნული დედანი:

„παρήγγελλεν γὰρ τῷ πνεύματι τῷ ἀκαθάρτῳ ἔξελθῆναι ἀπὸ τοῦ ὄρθρου. **πολλὰς γὰρ χρόνους συνηπαχκει** αὐτόν, καὶ **ἔδυσμευτο**, ἄλυσεσιν καὶ πέσαις **φυλασσόμενος**, καὶ **διαρρήσων** τὰ δεσμὰ **ἡλάνυετο** ἀπὸ τοῦ δαιμονίου εἰς ταχὺ ἐμήμους“ (მ. 8, 29)

ბერძნულში „**πολλὰς γὰρ χρόνους**“ ნიშნავს „მრავალი დროის განმავლობაში“, „**წარიტაცის...შებოტკილიან...**“ შეესაბამება პერფექტის დრო, ხოლო „**განხეთქნის**“ — მოქმედებითი გვარის მიმღეობა: „**διαρρήσων**“ და „**იღვენებიან**“ — ვნებითი გვარის იმპერფექტი, რომელიც გამოხატავს უწყვეტ მოქმედებას: **ἡλάνυετο**

FG და HIK რედაქციები:

„რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდას განსლვად კაცისა მისგან; რამეთუ **მრავალ-გზის წარიტაცის იგი**, და **შებოტკილიან** იგი ჯაჭვთა და საკრველითა და ჰცვედ, და **განხეთქნის** საკრველნი და იღვენებინ ეშმაკისა უდაბნოდ“ (FG; ლკ. 8;29).

ამგვარი ნიმუშები საკმაოდ ბევრია და შეიძლება ეს დედნისეულ ზეგავლენად ჩავთვალოთ, თუმცა მრავალგზისობის ორმაგი გამოხატვა, როგორც მივუთითეთ, აღმოჩნდა ქართულ ორიგინალურ ძეგლებშიც. საკითხი შევისწავლეთ ილია აბულაძის მიერ გამოცემულ „ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლების“ პირველ ტომსა და სიმონ ყაუხჩიშვილის მოერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილში.

„ძველი ქართული ლიტერატურის აგიოგრაფიული ძეგლები“, I ტ, 1963:

„ამისთჳსცა ნათესავითა მით ურჩებისაჲთა განუჴაფნა ჩუენ, რამეთუ **მრავალგზის** ისრა'ლიცა **მისცის** უფალმან და ჴელთა უცხოთესლთასა, რაჴუმს არა **ვიდოდიან** იგინი გზათა მისთა“.

ლექსიკურ ერთეულთან ერთად „**მრავალგზის**“ გამოყენებულია II ხოლმეობითისა და I ხოლმეობითის მწკრივები: „**მისცის**“, „**ვიდოდიან**“.

ამგვარი ნიმუშები საკმაოდ ბევრია. რაზე უნდა მიგვანიშნებდეს ეს ფაქტი? ასეთი ფორმების არსებობა ცხადყოფს უკვე იმას, რომ ხოლმეობითის მწკრივები კარგავენ მრავალგზისობის გამოხატვის

უნარს და ამიტომ გახდა საჭირო ლექსიკური ერთეულების მოშველიება. ხოლმეობითის მწკრივებზე ლექსიკური ერთეულების დართვა უნდა ჩაითვალოს ხოლმეობითის მწკრივების გაქრობის პირველ საფეხურად. ასეთი ფორმები უნდა გამხდარიყო ხელშემწყობი ფაქტორი ხოლმეობითის მწკრივების გაქრობისა.

ვაჟა შენგელია

ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე

LXI. არნ. ჩიქობავა ოფიციალურ ურთიერთობებში განუხრებლად იცავდა ეტიკეტის მოთხოვნებს, ამიტომ მკაცრი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ცხოვრების უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მასთან ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაახლოებული პირი ვიყავი და მასზე გაცილებით ნაკლები ასაკისა, ჩემთვის არასოდეს **შენობით** არ მოუმართავს. ამიტომ, როდესაც აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკად. ს. ღურმიშიძემ მისი მოგონებები არნ. ჩიქობავას შესახებ (ხელნაწერი) გამაცნო და მთხოვა შენიშვნები მიმეწოდებინა, სხვა არაფერი მითქვამს, მხოლოდ ეს აღვნიშნე: ბ-ნი არნოლდი შენობით არავის მიმართავდა, მითუმეტეს — არც თქვენ, იქნებ, სათანადო ადგილები შეასწოროთ-მეთქი... დამეთანხმა. თვითონ მოგონება კი ბ-ნი სერგისა არნ. ჩიქობავას შესახებ ისეთივე საინტერესოა და დახვეწილი სტილით გამორჩეული, როგორც მისი სხვა მოგონებები...

LXII. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბ-ნი არნოლდი მკაცრი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სინამდვილეში ის უაღრესად გულთბილი, ჰუმანური პიროვნება იყო. მატერიალურად ეხმარებოდა ყველას, ვისაც ეს სჭირდებოდა: სტუდენტებსა და ასპირანტებს (როგორც ქართველებს, ისე ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულთ), კოლეგებს, ახლობლებს, დარაჯს, მეგარდერობებს, სტამბის თანამშრომლებს...

1959 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების რუსულ სექტორზე აღიღეს პედაგოგიური ინსტიტუტიდან ჩვენი უნივერსიტეტის აღზრდილის (არნ. ჩიქობავას მოწაფის — შემდგომში არნ. ჩიქობავას პრემიის ლაურეატის), პროფ. ზ. კერაშევას რეკომენდაციით გადმოვიდნენ ჩერქეზი სტუდენტები. მათ განსხვავებული საგნები ჰქონდათ ჩასაბარებელი და, ბუნებრივია, სტიპენდიას მომდევნო სემესტრამდე ვერ მიიღებდნენ, რაც მათ არ უგვრძნიათ... კავკასიურ ენათა კათედრის მდივანი ნ. იოსავა ყოველთვიურად აწერინებდა მათ ხელს „უწყისში“ და ისინი იღებდნენ იმაზე მეტ თანხას, ვიდრე სტიპენდია იყო (სხვაგვარად ამაყ ჩერქეზებს შეიძლება დახმარებაზე უარი ეთქვათ). მათ მხოლოდ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შეიტყვეს, რომ ის სტიპენდია ბ-ნი არნოლდისგან ეძლეოდათ...

1952 წელს კავკასიურ ენათა განყოფილების რუსული სექტორი ხუთმა ყაბარდოელმა ახალგაზრდამ დაამთავრა. მათგან ოთხი (მ. კუმახოვი, პ. ბალოვი, ა. შაგიროვი, ა. შარდანოვი) ცნობილი მეცნიერი გახდა. პეტრე ბალოვი კოლორიტული პიროვნება იყო, კარგი სპეციალისტი, საქართველოსა და ქართველების დიდი პატივისმცემელი. ის იგონებდა: სტუდენტულაქში ვცხოვრობდით და, რასაკვირველია, არ გვიღიზნდა. ერთ დღეს ბ-მა არნოლდმა დაგვიბარა მე და დაღესტნელი ხუნძი ელდარ მიქაილოვი (თუ არ ვცდები, პეტრეს მომდევნო კურსზე სწავლობდა)... კარგა ხანს გველაპარაკა, შემდეგ წიგნი მოგვცა: წაიკითხეთ და შემდეგ მის შინაარსზე ვისაუბროთო. გზაში წიგნი გადავშაღეთ, ვნახეთ შიგ კონვერტია, რომელშიც ფული დევს (საკმაოდ დიდი თანხა). უკან მივბრუნდით. ბ-ნ არნოლდს ვეუბნებით: წიგნში ფული დაგრჩენიათო... გაიღიმა და გვითხრა: მაგ ფულს სესხად გაძლევთ; შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტს დამთავრებთ და მუშაობას დაიწყებთ, დამიბრუნებთო... შემდგომშიც ფული არაერთხელ მოუცია. პეტრე ხუმრობით ამატებდა: როცა ფული შემოგვაკლდებოდა, მივიდოდით ბ-ნ არნოლდთან და წიგნს ვთხოვდითო.

LXIII. ბ-ნ არნოლდს იუმორის დიდი გრძნობა ჰქონდა... მისი სიცოცხლის ბოლო წლებში სიარული უჭირდა. ინსტიტუტში რომ წამოვიდოდა მანქანით, ქ-ნი თამარი დარეკავდა, ჩვენ კი (ჩვეულებ-

რიგ მე, თ. გვანცელაძე ან რ. ფარეულიძე) დავხვდებოდით და კაბინეტამდე მივაცილებდით. ერთხელაც მოვდივართ და პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი აკად. ა. ძიციგური შეგვხვდა, გამოჩენილი სპეციალისტი და კარგი მოქალაქე. ბ-ნ არნოლდს მიესალმა და მოიკოთხა... ბ-ნი არნოლდი: არა მიშავს, თავი ჯერ კიდევ მუშაობს, კიდურებმა კი მიღალატეს... ა. ძიციგური: ბატონო არნოლდ, მთავარი თავია, კიდურებს არა უშავს... ბ-ნი არნოლდი: სამწუხაროდ, კიდურებიც საჭიროა ხანდახან...

LXIV. 1950 წლის საენათმეცნიერო დისკუსიამდე ერთი თვით ადრე, 10 აპრილს სტალინის მიწვევით მოსკოვში ჩაფრინდნენ: არნ. ჩიქობავა, საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელი (ცკ-ის პირველი მდივანი) კ. ჩარკვიანი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ორი მინისტრი... აეროპორტში მათ ლ. ბერია დახვდა და მანქანაში მიიპატიჟა. მძღოლის გვერდით თვითონ დაჯდა, უკანა სავარძელზე — კ. ჩარკვიანი და ბ-ნი არნოლდი, გადმოსაწევ სკამებზე, რომლებიც წინა სავარძელზე იყო დამონტაჟებული, — დანარჩენი სამი პირი. ამ სკამებზე ჯდომა (ზურგშექცევით) საკმაოდ უხერხული იყო. ბ-ნი არნოლდი შეწუხდა (უკანა სავარძელზე სამი კაცი მაინც დაეტეოდა თავისუფლად) და თქვა: ხომ არ შეიძლება ისინი გადმოსხდნენ? ლ. ბერია: არა უშავს, ჩაიტკეპნებიან (საუბარი რუსულად იყო).

LXV. სტალინმა პირველ შეხვედრაზე კ. ჩარკვიანს უსაყვედურა თურმე: საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ერთი რაიონიდანაა. განა ეს შეიძლება?.

შემდეგ, გზაში კ. ჩარკვიანს უთქვამს: ამას მე არავინ მეკითხებაო...

LXVI. სტალინს ერთ-ერთ შეხვედრაზე აკადემიკოსი კ. კეკელიძე მოუკითხავს: როგორ არის, რას საქმიანობსო...

არნ. ჩიქობავა: კარგად არის. სამეცნიერო მუშაობას წარმატებით აგრძელებს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებსო...

სტალინი: კორნელი ჩემ დროს სწავლობდა სასულიერო სემი-

ნარიაში. კარგი მოსწავლე იყო... მის უჭრაში ვინახავდი აკრძალულ პოლიტიკურ ლიტერატურას, რადგან მას არ ჩხრეკდნენო...

LXVII. კ. გამსახურდიაზე სტალინს საყვედური უთქვამს: წერს, სიტყვა **შინაბერა** მე შემოვიღეო... ჰკითხეთ ქართლში ნებისმიერ გლენს და გეტყვით, თუ რას ნიშნავს შინაბერაო... შინაბერა მე შემოვიღეო!

LXVIII. ნ. მარი 1930-34 წლებში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი იყო და შესაძლებლობა ჰქონდა პირდაპირ დაერეკა სტალინთან. დაურეკავს კიდევ არაერთხელ და მიღება უთხოვია.

სტალინი: მე რამდენჯერმე მთხოვა ნ. მარმა მიღება, მაგრამ ის მე არ მივიღე...

ერთხელაც ნ. მარი ურეკავს სტალინს და ეუბნება: თქვენ პოლიტიკაში ხართ ბელადი, მე — მეცნიერებაში...

სტალინი: რა სისულელეა !

[სტალინი ნაწყენიც ყოფილა ნ. მარზე, თუმცა მისი კარიერული წინსვლისათვის ხელი არ შეუშლია. წყენის მიზეზი შემდეგი ყოფილა: ერთ-ერთი დაპატიმრების დროს დაკითხვა სანკტ-პეტერბურგის ჟანდარმერიაში მოუწყვიათ. სტალინს უარი უთქვამს პასუხი გაეცა შეკითხვებზე — რუსული კარგად არ მესმისო. თარჯიმნად მოუყვანიათ ნ. მარი. სტალინს გაჰკვირვებია: ბატონო ნიკო, თქვენ აქ რა გინდათო?]

LXIX. სტალინი: თქვენ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ წერთ, რომ ახალ ქართულ სალიტერატურო ენას საფუძვლად ილიას, აკაკის და ვაჟას შემოქმედება უღევს... განა შეიძლება სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ვაჟას დაყენება ილიასა და აკაკის გვერდით?

არნ. ჩიქობავა: ვაჟას პროზაული ნაწარმოებები ქართული სალიტერატურო ენის საუკეთესო ნიმუშებია.

სტალინი: რაკი ასე მიგაჩნიათ, აღარ შეგეკამათებით, ოღონდ მე სხვაგვარად ვფიქრობ...

LXX. 1946-1949 წლებში ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი იყო აკად. ვ. თოფურია. მან ზემდგომი ორგანოებიდან მიიღო დავალება ჩაეტარებინა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა და დაეგმო ნ. მარის მარქსისტული მოძღვრების მოწინააღმდეგენი (მათ შორის, ბუნებრივია, პირველ რიგში არნ. ჩიქობავა იგულისხმებოდა). ვ. თოფურიას ამაზე უარი განუცხადებია, რასაც მოჰყვა მისი თანამდებობიდან განთავისუფლება...

იზა ჩანტლაძე

სისგ- > წიწვ-/სისნ- ფუძეთა ურთიერთმიმართებისათვის მცენარეთა ნომინაციებში (ქართველურ ენათა მასალის მიხედვით)

მცენარეთა, ცხოველთა, ფრინველთა და ფერთა ნომინაციებში მსოფლიოს არაერთ ენაში შეიმჩნევა ურთიერთმიმართებანი; ამ მხრივ არც ქართველური ენებია გამონაკლისი.

მცენარეთა სახელწოდება განისაზღვრება ნაირ-ნაირი საფუძვლით, მათ შორის ფერის ტერმინოლოგიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს:

„დათვის კანაფს“ ქიზიყში **სის-გ-ი** ჰქვია, ხოლო საინგილოში **სუხს**, ქვემო სვანეთში კი — **სის-ჟ-ელ-ა** „ანწლის მსგავსი ბალახია“ (შდრ. **სის-ვ-ელ-ა-შვ-ილ-ი**).

სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონების მიხედვით, **სის-გ-ი** „თერთმავ არეული ბალახია“, ქართული კარაბადინის ქართულ ვარიანტში (XVIII ს.) კი **სის-ნ-ა** „თმის ცვენაა“. ძველი ქართული **მ-რეშ-ი** „წაბლისფერია“, მაგრამ იმავდროულად **მო-სის-ო**, ე. ი. შავთეთრი, ანუ რუხი (შდრ. გურული **მუ-რეშ-ა** „გამურული, გაჭუჭყიანებული“, ერთი მხრივ, და „წითელშავი ზროხა“ — საბა, მეორე მხრივ).

არსენ ონიანის მცირე ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, „ანწლის მსგავს (განჭუთი მაჯონ) ბალახს“ **სგს-გნ-ა** (გვ.27) ან **სის-ნ-ა-ა** ეწოდება.

თანამედროვე ბალსზემოურ და ლაშხურ დიალექტებში **სი-ს-ა**, **სგს-ა**, ხოლო ბალსქვემოურსა და ლენტეხურში **სის-ა-ა** „წიწვს“ ან „ნაძვისა და თუ სოჭის შტოებს“ აღნიშნავს. იმავე მნიშვნელობისა რაჭული **სის-ინ-ა-ც**.

რაც შეეხება ფერებს, ხევსურულ დიალექტში **სის-გ-ი** „მწვანე“, იმერულსა და გურულში — „ლურჯი“ („ლურჯა ცხენი“), აჭარულში კი — „რუხი“ („ლეგა ცხენი“). „მწვანისა“ და „ლურჯის“ ერთი და იმავე ლექსემით გამოხატვა არაერთ ენაშია დადასტურებული, ხოლო „ლურჯა“ ცხენისა თუ სახედრის სახელწოდებად, ჩვეულებრივ, რუხ პირუტყვზე მიუთითებს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვითაც, **სისგო** „ლეგა ფერია“.

ვფიქრობთ, რომ **სის-** ძირი საერთოქართველურ ენაში თავდაპირველად ფერს აღნიშნავდა, ხოლო შემდეგ სონორისა თუ სონანტის შემცველი სხვადასხვა სუფიქსით მცენარეებისთვისაც იქნა გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ სვანური **სისნა** ძალიან ჰგავს რუსულ **сочна** („ფიჭვი“)ს, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ **სის-** ძირი ქართველური წარმოშობისაა, რაზედაც უნდა მეტყველებდეს მეგრული **შიშქ-გ-ილ-ა** („სოკო“), რომელსაც ზუსტად იმეორებს სვანური **შიშგ-ილ/შგშგ-ილ** („ლანძილი“ — ვ. თოფურია, მ. ქალდანი; „ნიორის მსგავსი ბალახი გემოთი და სუნით. ადრე გაზაფხულზე მოდის, რევმატიზმის წამალია“ — ა. ლიპარტელიანი). სულხან-საბა ორბელიანის აზრით, „ლანძილი სომხურია, **ქართულად ჩიშქილა ჰქვან**“; როგორც ჩანს, დიდი ლექსიკოგრაფი გურულ-იმერულ ლექსემას გულისხმობდა, მაგრამ, სპეციალურ ლიტერატურაში (კ. მაცაშვილი, ა. ჭკადუა, მ. ჩუხუა) სწორადაა მითითებული, რომ **ჩიშქილა|ჩიშქილა** მეგრულია და ქართულში ის ზანისშია (მ. ჩუხუა), თუმცა ვფიქრობთ, რომ მისი დაკავშირება ხევსურულ **დიშლა**სთან („სათიბი ბალახი“) გარკვეულ სიძნელებთანაა დაკავშირებული.

სისგ-ელ-ა („ანწლის მსგავსი ბალახი“)ს, რომელიც ჩოლურულ მეტყველებაში ქართული ენიდან უნდა იყოს შესული, როგორც ფონოლოგიურად, ისე სემანტიკურად, ალბათ, შეესატყვისება მეგრული **შიშქ-გ-ილ-ა** („სოკოს ერთ-ერთი სახეობა“) და სვანური **შიშგ-ილ** (ბქ., ლშხ.)/შიშქ-ილ (ლნტ.), **შგშგ-ილ** (ბზ.)— „ლანძილი; ნივრის მსგავსი ბალახი“.

ქართული **წიწვ**- გვესახება როგორც ***სის-უ** არქიფორმის აფრიკატიზებული ვარიანტი.

მცენარეთა სახელწოდებანი პარადოქსულ სურათს ქმნიან. ერთი მხრივ, ისინი არიან ბაზისური სემანტიკური პრიმატივები (საწყისი ერთეულები), მეორე მხრივ, მათი რეფერენტების ბუნების გამო, იცვლებიან ეკოლოგიურ ვითარებასთან და ამა თუ იმ ენაზე მეტყველთა ერთობის ახალ რეგიონებში მიგრაციასთან დაკავშირებით. სწორედ ამ რიგის საკითხების კვლევისას წარმოჩინდება ის უაღრესად საინტერესო პრობლემატიკა, რომელიც ადამიანის აზროვნების უმნიშვნელოვანეს სფეროს უკავშირდება. ენის კოგნიტიური ფუნქცია ყველაზე ნათლად გარე სამყაროს კატეგორიზაციის მექანიზმის კვლევაში იჩენს თავს... ივსება ინფორმაცია წინარე ხალხების პირველსაცხოვრისის ლანდშაფტის, საზოგადოების სამეურნეო ყოფის ხასიათსა და დონეზე, მათ საკულტო-რიტუალურ წარმოდგენებზე, ზოგადად, კულტურაზე. ამ მიმართულებით ლინგვისტებს, ფილოლოგებს, ისტორიკოსებს, არქეოლოგებს... კვლავაც ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი (მ. ივანიშვილი). არც ხალხური მედიცინის მკვლევრებმა და ეთნოფარმაკოლოგებმა უნდა მიივიწყონ საქართველოს ფლორა და ფაუნა, უძვირფასესი კარაბადინების მქონე ქვეყანაში ტრადიციული წამლობა-მკურნალობის თვალსაზრისით უფრო სერიოზული შედეგებია მოპოვებული. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, რადგანაც სვანეთში სახალხო მკურნალი ყოველთვის **გიმუი ღერბეთ**(„მიწაზე ღმერთი“)'ად მიაჩნდათ, ხოლო ცნობილ სამკურნალო მცენარეებს „ჩიტვიწვივასა“ და „ძირმწარას“ აჭარაში „წამალდიდი“-ც ჰქვია, ლაზეთში კი — „ჭანდიდი“.

მაშასადამე, უაღრესად საშური საქმეა საქართველოს ფლორისა და ფაუნის შესწავლა სწორედ ინტერდისციპლინარული თვალსაზრისით მეცნიერების სხვადასხვა დარგის ცნობილ სპეციალისტთა სერიოზული ჯგუფის მიერ ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური მონაცემების გათვალისწინებით.

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

სახელწმინის წარმოების ზოგი საკითხისათვის ლაზურ-მეგრულში

1. ყურადღებას მიიქცევს **-ურ//ულ** სუფიქსიან მიმღეობათა დერივაცია მეგრულში, რომელიც ზმნათა შეზღუდულ რაოდენობას ახასიათებს:

- შქირენ-**ულ**-ი „მოშეებული“
- ცუმენ-**ულ**-ი „მოწყურებული“
- კიბ-**ულ**-ი „დატერასებული“
- ლორებ-**ულ**-ი „მოტყუებული“
- გოტებ-**ულ**-ი „გამვებული“
- დალუ-**ურ**-ი „გათავებული“

უკანასკნელ მაგალითში შემორჩენილია ამოსავალი **-ურ** სახეობა, რომელიც **ი**-ს წინა პოზიციაში ქართული **-ულ** სუფიქსის კანონზომიერ შესატყვისად გვევლინება (ზან. **-ურ-ი** : ქართ. **-ულ-ი**). გარდა ამისა, **-ურ** ალომორფის პირველადობაზე მიუთითებს მყოფადი ღროის ვნებითი გვარის მიმღეობათა კონფიქსური წარმოებაც, სადაც **-ურ** სუფიქსი უალტერნატივო ჩანს (შდრ.: ო-სხუნ-**ურ**-ი „რჩეული, სარჩევი“, ო-ფუჩ-**ურ**-ი „საფიცებელი, საფიცარი“, ო-გაფ-**ურ**-ი „გადასახადი“, ო-ცქვაფ-**ურ**-ი „საქები, საქებარი“, ო-ჭყუდ-**ურ**-ი „სამზითევი, სამზითო“, ო-ჩამ-**ურ**-ი „საკვები, სამასპინძლო“...)

-ურ სუფიქსს უფრო მეტი გავრცელების არეალი რომ ჰქონდა ისტორიულად, ეს იმითაც მტკიცდება, რომ **უ-** პრეფიქსიან უარყოფითი ვნებითი გვარის მიმღეობებში **-ურ** გამოჩნდება მაშინაც, როცა დადებით ფორმებში დღეს განსხვავებული სუფიქსაცია გვაქვს:

- უ-ჭკომ-**ურ**-ი „უჭმელი“ — ჭკომ-**ილ**-ი „შეჭმული“
- უ-შუმ-**ურ**-ი „უსმელი“ — შუმ-**ილ**-ი „დალეული“
- უ-გიმ-**ურ**-ი „მოუმკელი“ — გიმ-**ილ**-ი „მომკილი“
- უ-კათ-**ურ**-ი „შეურეველი“ — კათ-**ილ**-ი „შერთული“
- უ-ხვამ-**ურ**-ი „ულოცველი“ — ხვამ-**ილ**-ი || ხვამ-**ელ**-ი „დალოცვილი“

უ-ჭყუდ-ურ-ი „უმზითვოდ გათხოვილი — ჭყუდ-ილ-ი „გამზით-
ვებული“...

ამით იმის თქმა გვსურს, რომ აღრე ვნებითი გვარის მიმღეო-
ბებში -ილ / -ირ და -ელ / -ერ წარმოების პარალელურად -ურ /
-ულ სუფიქსაციაც ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, ანუ გვექნებოდა:
*ჭკომ-ურ-ი „ჭმული“, *შუმ-ურ-ი „სმული“, *კათ-ურ-ი „შერთული“,
*ჭყუდ-ურ-ი „გამზითვებული“ და ა. შ., ანუ ისე, როგორც ეს სალი-
ტერატურო ქართულშია დღემდე შემორჩენილი: ჭმ-ულ-ი, სმ-ულ-ი,
რთ-ულ-ი, სრ-ულ-ი, კრ-ულ-ი, წნ-ულ-ი...

ჩვენს ვარაუდს ამყარებს ლაზური მონაცემებიც, სადაც დღეი-
სათვის მიმღეობის -ურ / -ულ სუფიქსიანი წარმოება საერთოდ მო-
შლილია, მაგრამ იძებნება მაგალითები, სადაც გასუბსტანტივებულ
მიმღეობებში საკმაოდ ხშირია -ურ / -ულ დერივაცია:

ჩიბ-ულ-ი || ჩიბ-ურ-ი „კარაქში მრგვლად შემწვარი კვერცხი“;
ეტ. „შემწვარი“

სკ-ულ-ი || სკ-ურ-ი „მათრახივითა“; ეტ. „განასკველი“
თან-ულ-ი „განთიადი“; ეტ. „თენებული“

კლემ-ურ-ი „ჯაჭვი, შუაცეცხლზე ჩამოკიდებული“; ეტ. „ჩამოკი-
დებული“

მე-მცხ-ურ-ი || მე-ნცხ-ურ-ი „გადაბმული“; „მიერთებული“

მე-ნჯღიმ-ურ-ი „ნაღრძობი“, შდრ. მე-ნჯღიმ-უ „ჭყუღტა“.

ტენ-ურ-ი „ოთხკუთხედი, ტვირთის ზურგზე მოსაკიდებლად“;
ეტ. „წნული“

მე-სთ-ურ-ი „შეწყვეტილი“, შდრ. მე-სთვ-ერ-ი „მომწყდარი“

მო-წკიმ-ურ-ი „გახდილი“, შდრ. მო-წკიმ-ერ-ი „მოხსნილი,
გახდილი“

ლაზურშივე რამდენიმე ნიმუში ასევე გამოაჩენს **ო - ურ** კონ-
ფიქსიან ისტორიულ მიმღეობებს, რომლებიც დღეს მხოლოდ სუბ-
სტანტივებად მოიაზრება: **ო-ნჭვათ-ურ-ი** „საწვეთური“, შდრ. **ნჭათ-**
წვეთა“, **ო-ნჭამ-ურ-ი/ე** „კალო“, შდრ. **ნჭამ-** „მოსავლის აღება“ მო-
მჭკომ-ურ-ი „მომჭამელი“, შდრ. მეგრ. **გო-ჭკომ-ურ-ი** „სამასპინძლო,
გადასახადი“.

2. **-აფ** (=ქართ. **-ებ**) თემისნიშნიანი ვნებითი გვარის მიმღებობები მეტად პროდუქტიული ჩანს ზანური ენის მეგრულ დიალექტში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი ლაზურშიც საკმაოდ ყოფილა გავრცელებული:

ლაზური

მეგრული

მე-ნგ-**აფ**-ა → მე-ნგ-**აფ-ერ**-ი
 „მომსგავსებელი“
 გნ-**აფ**-ა → გნ-**აფ-ერ**-ი
 „შეგნებული“
 ხც-**აფ**-ა → ხც-**აფ-ერ**-ი
 „დალბობილი“
 ხტ-**აფ**-ა → ხტ-**აფ-ერ**-ი
 „აჭრილი“
 ხვენ-**აფ**-ა → ხვენ-**აფ-ერ**-ი
 „გაკეთებული“
 ხელ-**აფ**-ა → ხელ-**აფ-ერ**-ი
 „გახარებული“
 ჩხვინ-**აფ**-ა → ჩხვინ-**აფ-ერ**-ი
 „გაცხელებული“

მე-გ-**აფ**-ა → მე-გ-**აფ-ილ**-ი
 „მიგნებული“
 გინ-**აფ**-ა → გინ-**აფ-ილ**-ი
 „ნაგრძნობი“
 რცუ-**აფ**-ა → რცუ-**აფ-ილ**-ი
 „გაცვეთილი“
 რტუ-**აფ**-ა → რტუ-**აფ-ილ**-ი
 „დალტობილი“
 კათ-**აფ**-ა → კათ-**აფ-ილ**-ი
 „მერთული“
 ძირ-**აფ**-ა → ძირ-**აფ-ილ**-ი
 „ნახული“
 წინ-**აფ**-ა → წინ-**აფ-ილ**-ი
 „მოწოვებული“...

სხვაობა მეგრულსა და ლაზურს შორის ის გახლავთ, რომ ნებისმიერ ლაზურ სახეობაში, იმავე შინაარსით, ალტერნატიულ ვარიანტად შეიძლება მოგვევლინოს უთემისნიშნო (მოკლე) ფორმაც: მე-ნგ-**ერ**-ი, გნ-**ერ**-ი, ხც-**ერ**-ი, ხტ-**ერ**-ი, ხვენ-**ერ**-ი, ხელ-**ერ**-ი, ჩხვინ-**ერ**-ი..., რაც მეგრულში მხოლოდ ზოგიერთ ფუძესთან რეალიზდება, შდრ.: კათ-**ელ**-ი, ძირ-**ელ**-ი, წინ-**ელ**-ი; თანაც, როგორც ვხედავთ, მეგრულის მოკლე მიმღებობებში მხოლოდ **-ელ** (←**ერ**) სუფიქსიანი ფორმებია შესაძლებელი, რაც ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ ისტორიულ ზანურში (resp. კოლხურში) მეგრულივით უფრო გრძელ, **-აფ** თემისნიშნიან ვარიანტებში, **-ილ** დაბოლოება იყო რეალიზებული, ხოლო მოკლეში — **-ელ** (←**ერ**) აფიქსი. აქ აღწერილი სურათი რამ-

დენადმე ემსგავსება ქართულის ვითარებას, სადაც ასევე გაირჩეოდა გრძელი და მოკლე ვარიანტები, შდრ. და-წყ-ილ-ი და და-წყ-ებ-ულ-ი. საფიქრებელია, რომ და-წყ-ილ- ტიპს უპირისპირდება და-წყ-ებ-ულ- კატეგორიული შინაარსის ვარიანტი.

3. მასდარის ძირითად მაწარმოებელთა ცალსახა სხვაობა — მეგრულში -**უა** ლაზური **ო** - **უ** კონფიქსების საპირისპიროდ — თავის დროზე ნ. მარის მიერ დასახელდა სამთავან ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად მეგრულსა და ლაზურს შორის, რასაც დაეყრდნო (მყოფადისა და აორისტის წარმოებასთან ერთად) ლაზური მეტყველების ცალკე ენად გამოცხადების ავტორისეული თეორია. არნ. ჩიქობავამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ ლაზურის **ო** — **უ** ცირკუმფიქსიანი მასდარი ვერ იქნებოდა წყალგამყოფი მეგრულ და ლაზურ ენობრივ სისტემებს შორის, ვინაიდან მეგრულშივე მეტად პროდუქტიულია (გარკვეულ გამოთქმებში კი ერთადერთი) **ო** — **უ** დერივაცია: **ო-ჭკომ-უ** „ჭამა, საჭმელად“, **ო-ძირაფ-უ** „ნახვა, სანახავად“, **ო-ჭარ-უ** „წერა, საწერად“...

როგორც ირკვევა, მეგრულისებური -**უა** სუფიქსიანი მასდარი ასევე გაბატონებულია ლაზურის ჩხალურ თქმაში, აქ ჩხალური რეგულარულად, თითქმის ყველგან, -**უა** დაბოლოებას გვიჩვენებს, რითაც ეს ლაზური მეტყველება მეგრულს უახლოვდება, შდრ.:

მეგრული/ჩხალური

ლაზური

ბარ-უ-ა	ო-ბარ-უ „ბერვა (უბერავს)“
ბახ-უ-ა	ო-ბა-უ „ცემა“
ბონ-უ-ა	ო-ბონ-უ „დაბანა“
ჭკად-უ-ა	ო-ჭკად-უ „ჭედვა“
ჭარ-უ-ა	ო-ჭარ-უ „წერა“
ჭიკონ-უ-ა	ო-ჭიკონ-უ „დაფლეთა“...

უფრო მეტიც, ჩხალურის ვითარება მთელი ლაზურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, რაშიც ნათლად გვარწმუნებს ამ ენობრივ სისტემაში შემორჩენილი გასუბსტანტივებული მასდარები. მხედველობაში გვაქვს -**ვა** დაბოლოებიანი არსებითი სახელები ლა-

ზურში, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია: წილ-**ვა** „ნოემბერი“ (მეგრ. წილ-**უა** „კრფა“), ტახ-**ვა** „ოქტომბერი“ (მეგრ. ტახ-**უა** „მოსავლის აღება“), ჩხალ-**ვა** „სექტემბერი“ (მეგრ. ნჩხალ-**უა** „ჩხვერა“), ცინ-**ვა** „ზამთარი“ (მეგრ. ცინ-**უა** „ყინვა“), ბჟალ-**ვა** „რძე“ (მეგრ. ბჟალ-**უა**/-აფა „რძის გამოსვლა“), ბარ-**ვა** „ნიავი“ (მეგრ. ნბარ-**უა** „ქროლა, ბერვა“), ხაჩქ-**ვა** „თოხნის დრო“ (მეგრ. ხაჩქ-**უა** „თოხნა“), წიწ-**ვა** „ჩხუბი, გაწეწვა“, ყულ-**ვა** „ფეხის სრიალი“, პირჩ-**ვა** „მარხვა“ (მეგრ. დო-პირჩ-**უა** „დაურწყება“), კორ-**ვა** „ერთი შეკვრა“ (კირ-**უა** „შეკვრა“)...

ამ ნიმუშებში მსგავსებასთან ერთად შეიმჩნევა განსხვავებაც **უა** → **ვა** პროცესის სახით ლაზურში, როცა ხდება **უ**-ს რედუქცია, რაც, ალბათ, განხორციელდა მხოლოდ გასუბსტანტივების მომდევნო ეტაპზე, ე. ი. ადრეულ ეტაპზე ლაზურშიც ორივე წარმოება **ო** — **უ** და **-უა** გავრცელებული იყო მასდარის წარმოებისას, ხოლო როცა **-უა** დერივაციის არეალი შეიკვეცა და **-უა** დაბოლოებიანი მასდარები თანდათანობით სახელებად იქცნენ ლაზურში, იმავდროულად, უმახვილო **უ**-ს არაენერგიული არტიკულაციის გამო, განხორციელდა მარცვლოვნობის დაკარგვა, რამაც საბოლოოდ **უ** → **უ** → **ვ** ფონეტიკურ პროცესამდე მიგვიყვანა, რაც სხვა შემთხვევაშიც ფიქსირდება მეგრულსა და ლაზურს შორის (თანაც სახელურ ფუძეებში), შდრ. მეგრ. ქჟალ-ეფი ~ ლაზ. ქვალ-ეფე „ქვები“, მაგრამ მეგრ. ქვალონ-ი „სოფელი სამეგრელოში“, ეტ. „ქვანარი“.

მ ა რ ი ა მ ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი


წარმომშობი გრამატიკიდან სინტაქსის X-bar თეორიამდე

ნოამ ჩომსკის ტრანსფორმაციულ-წარმომშობი გრამატიკის თეორიის ძირითადი დებულების მიხედვით წინადადებები წარმოიშობა ქვეცნობიერად მიმდინარე პროცესების გავლით. ეს პროცესები ჩვენნი აზროვნების, კოგნიტური უნარის ნაწილია. სინტაქსური თეორიის

მიზანია ამ პროცედურის მოდელირება. წარმომშობი გრამატიკის მიხედვით მოდელირება ფორმალური გრამატიკული წესების შემუშავებას გულისხმობს. მეტყველების ნაწილები ანუ სინტაქსური კატეგორია იყოფა ლექსიკური და ფუნქციური დატირთვის მქონე ერთეულებად. მეტყველების ნაწილთა აღსანიშნად გამოვიყენებთ ლათინური ანბანის ნიშნებს. არსებითი სახელი **N**; ზედსართავი **Adj**; ზმნა **V**; ზმნიზედა **Adv**; თანდებული **PP**; დეტერმინანტი **D**; მაერთებელი კავშირი **Conj**; მკვემდებარებელი კავშირი **C**; ზმნის დრო **T**. წინადადებაში სიტყვები დაჯგუფებულია შემადგენელ ნაწილებად, რომელიც კვლავ იყოფა მსხვილ შემადგენელ ნაწილებად, რაც ქნის იერარქიულ სტრუქტურას. შემადგენლობითი მეთოდი ასახავს წინადადების შიგნით არსებულ იერარქიულ მიმართებებს და იძლევა ნებისმიერი სტრუქტურის მქონე წინადადების აღწერის საშუალებას. წარმომშობი გრამატიკაში სტრუქტურის განზოგადება ხდება წესების საშუალებით. სინტაქსური ხის ასაგებად ვიყენებთ ფრაზის სტრუქტურის წესებს (**PSRs P**-ფრაზა, **S**-სტრუქტურა, **R**-წესი). ყველა წინადადება (წინადადება აღინიშნება **S** ან **TP** ასოთი) შედგება სახელური ფრაზისგან(**NP**) და ზმნური ფრაზისგან(**VP**).

კვლევებმა აჩვენა, რომ წარმომშობი გრამატიკის მიხედვით წარმოდგენილი სინტაქსური ხის სისტემა საკმარისი არ აღმოჩნდა წინადადებაში არსებული სინტაქსური ურთიერთმიმართების წარმოსადგენად. ამიტომ საჭირო გახდა სხვა თეორიის შემუშავება, რომელსაც პირობითად ეწოდა **X-bar** თეორია. ეს თეორია წარმოადგენს შუალედურ რგოლს ფრაზისა და სიტყვის დონეებს შორის. წარმოდგენთ თეორიის სისტემას ქართული წინადადების მაგალითზე. სქემის ასაგებად ავსახეთ სახელური და ზმნური ფრაზის სტრუქტურული შედგენილობა ქართული წინადადების საფუძველზე:

NP-(D)N; **N**-(**AdjP**)**N**; **N**(**PP**); **N**-(**NP**); **VP-V**; **V**-(**PP**) an (**Adv**)**V**;
V-(**NP**)**V** an **V**(**NP**); **AdvP-Adv**; **Adv**-(**AdvP**)**Adv**; **Adv**-(**Adv**)**PP**;
Adv-(**PP**)**Adv**; **AdjP-Adj**; **Adj**-(**AdvP**)**adj**; **Adj**-(**Adj**)**PP**; **Adj**-(**PP**)**Adj**;
PP-P; **P**-(**AdvP**)(**NP**)**P**.



X-bar თეორია აღწერს ნებისმიერი სტრუქტურის მქონე წინადადებას და გამოიყენება სხვადასხვა ენაში სინტაქსური კონსტრუქციის წარმოსადგენად.

ნ ა ტ ო წ უ ლ ე ი ს კ ი რ ი

„ენობრივი ველი“ და ენათა შინაარსობრივი კვლევის პრობლემა

ენათმეცნიერებაში „ენობრივი ველის“ ცნება ტრადიციული ლექსიკოგრაფიული პრაქტიკის კრიტიკის გამო შემოვიდა (რ. ჰობერგი; ე. კოსერიუ; ლ. ვაისგერბერი; ი. ტირირი... ბ. ფოჩხუა; ლ. აბულაძე...). ანბანური ლექსიკონებში სიტყვათა ანბანურ რიგზე დალაგება პრაქტიკული მიზნითაა გაართლებული, თუმცა დალაგების ამგვარი პრინციპი ენის შინაარსობრივ აგებულებაზე ვერაფერს ამბობს. ამიტომაც თავის დროზე შეიქმნა ონომასიოლოგიური ლექსიკონები, სადაც მასალა საგნობრივი ჯგუფების მიხედვითაა დალაგებული. ტრადიციული ლექსიკონები უთუოდ შეიცავენ საჭირო მითი-

თებებს, მაგრამ ისინი მოკლებულნი არიან იმ პრინციპს, რასაც მთლიანობიდან ამოსვლით მისდევენ სიტყვათველები(ლ. ვაისგერბერი)

ცხადია, „ენობრივი ველი“ სემანტიკის ყველა პრობლემას ვერ წყვეტს, მაგრამ ის, რომ ველში სიტყვათა დამოკიდებულება სინონიმიანზე არ დაიყვანება და ყოველ ენას ველის აგების საკუთარი რესურსი გააჩნია, უმნიშვნელოვანესია. ამის დადასტურებაა ქართულ ენაში „მზერა“ სიტყვის სალექსიკონო სტატია.

სულხან-საბას ორბელიანის „სიტყვის კონაში“ სიტყვა „მზერა“ შემდეგნაირადაა განმარტებული:

„მზერა-ჭვრეტა. მზერაცა ესრეთ განიყოფებიან: **ხედვა** არს რა თვალთ კეთილად ხედვიდეს; **ჩენა** არს რა აკლდეს და მცირედ ხედვიდეს; **მზერა** არს რა შორით ხედვიდეს; **ჭვრეტა** არს რა ხანგრძლივით დაკვირებით უმზერდეს რასმე; **ცქერა** არს გარჩევით ხილვისათვის ახლორე დაცქერით თვალი დააპყრას; **კვირობა** არს რა სარკმლით გარ გამოხედვიდეს“. რა თქმა უნდა, ამ ტიპის მაგალითები შინაარსობრივი სიტყვათველის მაგალითებია.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ვკითხულობთ:

„მზერა-უმზერს, იმზირება. მზერს-უყურებს, უცქერს“.

„ველის“ იდეის ერთ-ერთი ავტორი ლ. ვაისგერბერი თავის „გერმანული ენის შინაარსობრივი გრამატიკაში“ შეეხო „ხედვის“ მაგალითს. გერმანულში ვხვდებით დასაფხუტრებას იმის მიხედვით, თუ რასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, პროცესის დასაწყისი, მიზანდასახულება, შედეგი, მიმდინარეობა, ზემოქმედება, რომელი მათგანია დომინანტი (**blacken, schauen, sehen, gewahr werden, erblicken, beschauen..**) ანბლიცკენ მიუთითებს იმაზე, თუ როგორ ვუცქერით ადამიანს, **ansehen** და **anschauen** ითქმის ადამიანზეც, ნაწილობრივ ცხოველზედაც, რომელსაც თვითონაც შეუძლია შემოგვხედოს და ა. შ.

მოხსენებაში განხილული იქნება ყველა შესაძლო შემთხვევა და დადასტურება იმისა, რომ საგანთა ველში გაერთიანება კონკრეტული ენობრივი ხედვის შედეგია.

მარტივი წინადადების შედგენილობის მეცნიერული შესწავლის სათავეებთან

მარტივი წინადადების წევრთა შედგენილობის საკითხი ქართულში ტრადიციულად განიხილებოდა ინდოევროპული ენების ანალოგიით, ვიდრე გამოქვეყნდებოდა აკაკი შანიძის ნაშრომი — „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (1920წ.) და არნოლდ ჩიქობავას გამოკვლევები — „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ (1928წ.) და „მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში“ (1941წ.). ცხადი გახდა, რომ „ინდო — ევროპულ ენათა შესიტყვების ანალიზით დადგენილი ცნებები ... ქართული წინადადებისათვის სრულიად გამოუსადეგარია“ (ჩიქობავა, 1928წ.), ვინაიდან ქართულ ზმნაში „აუცილებლად გამოხატული უნდა იყოს, ქვემდებარის გარდა, დამატების პირიც (შინაგანი დამატება). ამიტომ ქართული ზმნის ფორმა ზოგჯერ მთელს ვრცელს წინადადებას შეიცავს ხოლმე: ქვემდებარითა, შემასმენლითა და ორი დამატებითურთ“ (შანიძე, 1920წ.) და ქართულში „დამატება წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი კი არაა, არამედ ისევეა მთავარი წევრი, როგორც ქვემდებარე“ (ჩიქობავა, 1941წ.).

აღიშნული თვალსაზრისი სავსებით სამართლიანად იქნა გაზიარებული საენათმეცნიერო სივრცეში და საფუძვლად დაედო ქართული ენის სინტაქსის შემდგომ კვლევას...

ასე რომ, მარტივი წინადადების პრობლემის კვლევისას აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავასათვის ამოსავალი გახლდათ ქართული წინადადების ბუნებითი სტრუქტურა. მათ კოლოსალური შრომა გასწიეს ქართული წინადადების შედგენილობისა და მექანიზმის შესწავლის ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დასაყენებლად, რის საფუძველზეც აკაკი შანიძის ქართული ენის გრამატიკის სასკოლო გრამატიკის პირველ გამოცემაში ერთმნიშვნელოვნად გაცხადდა:

„წინადადების მთავარი წევრებია: შემასმენლი, ქვემდებარე,

პირდაპირი დამატება და ირიბი დამატება. დანარჩენი წევრები (უბრალო დამატება, განსაზღვრება, გარემოება) მეორეხარისხოვანი წევრებია“ (შანიძე, 1939წ.).

თუმცა, „ქართული ენის გრამატიკის“ სასკოლო სახელმძღვანელოების შემდგომ გამოცემებში (1957 წლამდე, ვიდრე ეს სახელმძღვანელოები გამოვიდოდა ლეო კვაჭაძის თანაავტორობით) აკაკი შანიძემ წინადადების წევრთა დაჯგუფებას მთავარ და არამთავარ წევრებად სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცა და მთავარ წევრებად ოდენ შემასმენელი და ქვემდებარე მიიჩნია: „ორია მთავარი წევრი, დანარჩენები ყველა მეორეხარისხოვანია, მთავარი წევრებია: შემასმენელი და ქვემდებარე. მეორეხარისხოვანი წევრებია: დამატება-ობიექტი (პირდაპირი და ირიბი), უბრალო დამატება, განსაზღვრება და გარემოება“.

ლეო კვაჭაძე ცდილობს, გარკვეული გამართლება მოუძებნოს შანიძისეული თვალსაზრისის ტრანსფორმაციას და საამისოდ გვთავაზობს საკითხის „შემრიგებლურ“ ახსნას: „ამავე გრამატიკის (იგულისხმება 1939 წლის სასკოლო გრამატიკა; რ. ჭ.) შემდგომ გამოცემებში მთავარ წევრებად ჩათვლილია მხოლოდ შემასმენელი და ქვემდებარე, რაც, ნაწილობრივ, ალბათ, იმითაა ნაკარნახევი, რომ ეს ორი წევრი ყოველ წინადადებაშია, დამატება-ობიექტები კი მხოლოდ გარკვეულ პირობებშია შესაძლებელი“ (კვაჭაძე, „წინადადების წევრები ქართულში“, 1954წ.). ცხადია, „ალბათობაზე“ დამყარებული ეს საჭოჭმანო მსჯელობა დამაჯერებელი არ ჩანს.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: — რამ აიძულა ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი ფუძემდებელი აკაკი შანიძე, დიამეტრალურად შეეცვალა თავისი სავსებით მართებული თვალსაზრისი; მან ხომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში არნოდლ ჩიქობავასთან ერთად სათავე დაუდო ქართული ენის მეცნიერულ კვლევას. მით უმეტეს, ეს ის წლებია, როცა, არნოდლ ჩიქობავას თქმით, მეფობდა აუტანელი სუბიექტივიზმი და ენათმეცნიერება მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა; უფრო მეტიც, „წინადადების სტრუქტურის შესწავლა ითვლებოდა „ფორმალიზმად“ ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით, ე. ი. ითვლებოდა იდეოლოგიურად მავნე საქმიანობად“ (ჩიქობავა, 1928).

ძნელი წარმისადგენი არ უნდა იყოს, თუ რა უმძიმეს პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა ქართველ მეცნიერებს, მათ შორის, აკაკი შანიძესა და არნოლდ ჩიქობავას, რომლებსაც წინადადების სტრუქტურის შესწავლასაც კი „იდეოლოგიურად მავნე საქმიანობად“ უთვლიდნენ. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთ პირობებშიც კი არ შეუცვლიათ მეცნიერული მრწამსი. მაგრამ 40-იან წლებში მთელი ძალით კვლავ ამოქმედდა საბჭოური იდეოლოგიის პროპაგანდისტული მანქანა, რომლის ერთ-ერთი მიმართულება იყო რუსული ენის გაფეტიშება საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა ეროვნული ენების დამცრობის ხარჯზე. მით უფრო მძაფრი იყო ეს იდეოლოგიური შეტევა სასკოლო სახელმძღვანელოებზე, რათა გრამატიკის სასწავლო წიგნებითაც ჩაენერგათ მოსწავლეებში რუსული ენის ყოვლისმომცველობის მითი და საბჭოთა ახალგაზრდობა აღეზარდათ რუსული ენის საყოველთაო უპირატესობის შეგნებით.

ამ ვითარების ზეგავლენით აკაკი შანიძემ გარკვეული კორექტივები შეიტანა საშუალო სკოლის „სინტაქსის“ სახელმძღვანელოში და 40-იანი წლებიდან იძულებული გახდა „ელიარებინა“, რომ, მსგავსად რუსულისა, ქართულშიც „ორია მთავარი წევრი“ - ქვემდებარე და შემასმენელი.

მიუხედავად ამისა, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ საბჭოური იდეოლოგიის წნეხით გამოწვეულმა ამ კორექტივებამ ოდნავი ჩრდილიც კი ვერ მიაყენა აკაკი შანიძეს, რომლის მთელი მოღვაწეობა და სამეცნიერო საქმიანობა „ყოველთვის იქითკენ იყო მიმართული, რომ აზროვნება მკვეთრი ფაქტების ნიადაგზე მდგარიყო და მტკიცე პოზიტიური ხასიათი არ დაჰკარგოდა“ (არნ. ჩიქობავა). ეს „მტკიცე პოზიტიური ხასიათი“ მართლაც არ დაკარგულა და 60-იანი წლებიდან ქართული ენის გრამატიკის ყველა სახელმძღვანელოში (სასკოლო თუ საუნივერსიტეტო) დიამეტრულად შეიცვალა ქართულისათვის შეუსაბამო მიდგომა და ქართული წინადადების სტრუქტურის კვლევას საფუძვლად დაედო აკაკი შანიძისა და არნოლდ ჩიქობავას ფუნდამენტური გამოკვლევები.

**მართულმსაზღვრელიანი ხალხური ლექსიკური
შესიტყვებები და ფრაზეოლოგიზმები
რ. ინანიშვილის ენის მიხედვით**

რ. ინანიშვილის სისადავითა და მხატვრულობით ცნობილ ენაში უხვადაა წარმოდგენილი ხალხური შესიტყვებები და ფრაზეოლოგიზმები, რაც მის ენას განსაკუთრებულ იერ-სახეს აძლევს, რადგან შესიტყვებათა სინტაგმატური და სემანტიკურ კავშირის განხორციელებისათვის გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის უზუსს, ტრადიციას.

ამჟამად ჩვენ შევეცადეთ წარმოგვედგინა ის შესიტყვებები და ფრაზეოლოგიზმები რომელიც ქველში მითითებული არაა, ანდა რ. ინანიშვილის მიხედვითაა წარმოდგენილი. (ყოველშემთხვევისთვის უნდა შევნიშნო, რომ ამა თუ იმ მწერლის მიერ გამოყენებული ყველა სიტყვა თუ შესიტყვება აუცილებელი არაა აისახოს ქველში, ეს მწერლის სიმფონია-ლექსიკონის მოვალეობაა). როგორც ცნობილია სუბსტანტიური განსაზღვრება მნიშვნელობით სხვადასხვაგვარია, მისი საშუალებით შეიძლება გამოიხატოს კუთვნილება, დანიშნულება, წარმომავლობა და სხვ. შესაბამისად შესიტყვების კომპონენტები ლექსიკის სხვადასხვა სფეროს შეიძლება ეკუთვნოდეს: ცხოველები, მწერები, ჭურჭელი, მცენარე, საჭმელი, ტანსაცმელი, ავადმყოფობა, ხალხური თამაშები და სხვ.

მწერლის ენაში დასტურდება: როგორც 1. თავისუფალი შესიტყვებები, როცა შესიტყვების წევრები შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვაგვარი სიტყვებით. 2. შეზღუდული შესიტყვებები, როცა შესიტყვების ერთ-ერთ წევრს შემოსაზღვრული მოხმარების სფერო აქვს, რის გამოც მეორე წევრის არჩევანი შეზღუდულია. ძირითადად რა თქმა უნდა თავისუფალი შესიტყვებები დასტურდება, შეზღუდული შესიტყვებები კი უფრო სახელდებისას გვხვდება.

ჰაერში იჭერს კოლოებს და **წყლის ადლბიჯებს**- მზომელებს (შველ. .51, 12). ხავერდოვანო **მკათათვის ატმებო** (გოლ. 149, 29). **ყბის ძირში** აკოცა (ალერს. 115, 15). **მარმაშის მანდილს** იკავებდა (ჯაფ. 75, 21). კუკრუქანებიუ.. მძიმე-მძიმედ დიდი ამბით ამოჰქონდათ

თათარის ქვაბიდან (შორი 153, 3). (თევდორემ პაპამ) **საფანგის კირკლები** გადასწია (მეგობ. 142, 80). ისეთი ჯანსაღი, **მგლის საფანტის სიმსხო ვაშლები** ესხათ (ალერს. 81, ქვ. 2). ერთი **კამერის სახრის სიმსხო კაკალი** მიუციათ (ალერს. 69, 15). იქ ხო **ნაზუქის სუნში** დაიხრჩობოდი, შენი თავის მზემა! (საღ. 28, 1). იყო... გასაოცარი მობანე და **კაკლების მბერტყავი** (ალერს. 401, 27). ესენი იყვნენ მისი მუღმივი მეინახენი და **ხასიათის გამსწორებლები** (მეგობ. 26, 23). **ღობის ძირებს** გაუყვა (ალერს. 59, 19). ცოფს **წყლის შიშხაც** ეძახიან (შორ. 108, ქვ. 3).

მართული განსაზღვრება ხშირად გვხვდება სახელმწიფოებთანაც: აღარ მშველოდა... **ყურების ჩამოღურსვა** (შორი 104, 5). **შინდის შეთვალვას** ხომ არაფერი სჯობს (ასულ. 85, 11). **კუფნლების აღმოჩენა** დედასაც უყვარდა და შენც (ალერს. 32, 4). განა „**ადგილის აჩემება**“ არ იცით (წვეთ. 123, 16). იცოდა **ყელის ამოწვევის** მეორე ხერხიც. ამას „**ქალაქის დანახვება**“ ერქვა (შორ. 217, 8).

შესიტყვებისაგან განსხვავებით, რომლის წევრები რომელიც მართალია ერთ მნიშვნელობას გადმოსცემს, მაგრამ შესაძლებელია მისი დაშლა და შეცვლა სხვადასხვა სიტყვებით, ფრაზეოლოგიზმებით ერთი განუყოფელი, ხატოვანი და ექსპრესიული ლექსიკური ერთეულია და, ამასთან, სემანტიკურად გაუთიშავი. რ. ინანიშვილი მას ხშირად მიმართავს დიალოგებში, განსაკუთრებით პერსონაჟების შეტყვევებისას, მათი ირონიის თუ დაცინვის გამოსახატავად. ქმარმა, არამზადამ, ვიღაც **სცენის ბაირადში** გაცვალა (ასულ. 188, 17). შენ ხომ სულ **ადგილის მამად** უდგეხარ აქაურობას! (გოლ. 9, 16). ბიჭები **მუშტრის თვალით** ათვალთვლებდნენ ფეხზე მდგარ ვერხვებსა (ასულ. 137, 23). მაგის ჯანი კი დაიწვას, მაგისი! მაგ ტარტაროზისა, მაგ **ფერმის ვირთავასი!** (შორ. 29, ქვ. 7).

გვხვდება სამწვერიანი შესიტყვებები და ფრაზეოლოგიზმები, ასეთ შემთხვევაში მართულ განსაზღვრებას ახლავს მართულივე განსაზღვრება.

ომობანას თამაშობენ **მზესუმზირას ძირის თოფებით** (კეთ. 211, 9). რო აღარა გვაქ **სულის მოთქმის სახსარი**, სიკვდილი მაშინ მოდის (ასულ. 269, 17). ჭალი გამძლე იყო თელისაგან გამოთლილი **ურმის ბორბლის მორგვები**, ფერსოები და სოლები (შველი 44, 3).

დიდდას თქმით, **კაცის ფენის ტალახიც** კი დიდი რამეა ოჯახისთვის (ალერს. 312, 24). „**ნიშნობის ბეჭდის დაკარგვა** არ დამენანებოდა ისე (ალერს. 70,10). შე **ქვების ძირის ყარაულო** (შორ. 140, ქვ. 5).

წინადადებაში შესიტყვების საზღვრულ წევრს შეიძლება რამდენიმე განსაზღვრება ახლდეს.

ჩავსხედით ძირტკბილებისა და ფერიცვალების ტევრში (მეგობ. 75, 3). **წყლისა და ვერხვის ტოტების შხრიალს** თქორში დაწოკებული **კაქკაქებისა და ყვავების ჩხავილი** უერთდებოდა (ასულ. 114, 19).

ასევე შესაძლებელია წინადადებაში რამდენიმე შესიტყვება და ფრაზეოლოგიზმი დასტურდებოდეს.

გადავედით შეჭამანდებზე — მახოხი, ჭრიანტელი, **თხლის შეჭამანდი**, **შვინდის შეჭამანდი**, ლოლოსი, კვრინჩხისა, **დოს შეჭამანდი** (შველ. 98,12). **გზის მაიმუნებო**, **სოფლის მასხარებო**-მეთქი (ალერს. 255, ქვ. 10). თქვე **მზის მუქთებო**, **მყუდროს მათხოვრებო** (ალერს. 249, 13).

ქველში დადასტურებული ზოგი შესიტყვება რ. ინანიშვილისეულია. მაგ. **სანდლების გადასაჭირებელი** არ გაუხსნია ისევე ჩაიცვა (შორ. 122, ქვ.7).

რა თქმა უნდა ჩვენს მიერ დასახელებული შესიტყვებების წევრები დამოუკიდებელი ან გადატანითი მნიშვნელობით ქველშია წარმოდგენილი, ზოგი მათგანი კი დიალექტიზმია მაგ. **კრუალები**, **ჩამოლურსვა**.

ლიტერატურა

- ალერს.** — ალერსი შიშინანობის დროს თბ., 1986.
ასულ. — მთვარის ასული თბ., 1987.
გოლ. — პატარა ბიჭი გოლგოთაზე თბ., 1989.
კეთ. — კეთილი მიწა თბ., 1984.
მეგობ. — მეგობრისადმი მინაწერი წერილებიდან თბ., 1958.
სად. — სალამო ხანის ჩანაწერები თბ., 1973.
შველ. — შველი ზამთარში თბ., 1986.
შორ. — შორი თეთრი მწვერვალი თბ., 1976 .
წვეთ. — წვეთები ფოთლებზე თბ., 1962.
ჯაფ. — ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა თბ., 1974.

დაგერშვა სიტყვის ისტორიისათვის

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ძველ რედაქციაში) სიტყვა **დაგერშვა** ასეა განმარტებული: „**დაგერშვა** ... იხ. დაგეშვა... **დაგეშვა** — გაწვრთნა. // გადატ. გაწაფვა, გაჩვევა (ადამიანისა რაიმე, ჩვეულებრივ ცუდ, საქმიანობაში)... (ტ. III, 1953).

ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიაში“ („სისხლის სამართალში“) დადასტურებულია ტერმინი **დაგერშვა**: „თავი IV. დანაშაულებანი ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ § 1. კაცისკვლაჲ და **დაგერშვაჲ**“.

დაგერშვა, როგორც იურიდიული ტერმინი, განმარტებით ლექსიკონში არ ასახულა. ამ ტერმინის სემანტიკის დასაზუსტებლად ივანე ჯავახიშვილის მიერ განხილულ ტერმინთაგან ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ტერმინს დავიმოწმებთ: „ბოროტმოქმედებას შეიძლება სხვა-და-სხვა სახე ჰქონოდა და სხვა-და-სხვა შედეგი მოჰყოლოდა, — აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი, — ან მიმძლავრებულის სიცოცხლე მოესპო, — ამას „**მოკვლაჲ**“, ან „**კაცისკვლაჲ**“... ანდა „**მოკუღელობა**“... ერქვა, — ან დაზიანებულს ჭრილობით დაეხწია თავი, მხოლოდ „**დაჭრილობა**“ ყოფილიყო — ამას „**დაკოდვა**“-ს, „**დაჩხუება**“-ს ეძახდნენ... **დაკოდვის** გარდა ქართულ სამართალში „**გერში**“ და „**ნახშირი**“-ც იყო გასამართლების დროს მხედველობაში მიღებული. ორივე სიტყვა, როგორც ნ. მარტა დაამტკიცა, იმ დროიდან უნდა იყოს შერჩენილი, როცა ქართველები ჯერ კიდევ მონადირეობას მისდევდნენ: „**გერში**“ თავდაპირველად ნადირის ჭრილობასა და სისხლს ერქვა. ამ მნიშვნელობაზეა დამყარებული ... ეხლანდელი „**დაგეშვა**“-ც. **შემდეგ, ქართულ სამართალში „გერშად“ ადამიანის მსუბუქი და არადამაშვებელი ჭრილობა და მისი საზღაური იწოდებოდა**“... (ივ. ჯავახიშვილი VII, 1984, 223).

სიტყვა **გერში** ძველ ქართულ ტექსტებშიც დასტურდება (დაბადების ძველ ტექსტში, კერძოდ, ლევიტელთა წიგნში): „უკეთეთ ვინმე დასდვას გერში მოყუასსა თჳსსა, ვითარცა-იგი მან უყო, ეგრევე უყავთ მას. განტეხაჲ განტეხის წილ, თუალი თუალის წილ, კბი-

ლი კბილის წილ... (ლევიტ. 24, 19-20)...

ძველი ქართულის ლექსიკონებში (საბასთან, დ. ჩუბინაშვილ-თან...) ეს სიტყვა, ძირითადად, აქედანაა დამოწმებული:

გერში (+ **ლევიტ. 24,19**) ნაკოდთა მცირე სისხლი **B**. მცირე ჭრილობა, გინა ნაჭერი **CD**. მცირე ჭრილობა (მცირე სისხლი) **E**. (სულხან-საბა); დავით ჩუბინაშვილი: **გერში** სომხ. მცირედი ჭრილობა, გაკენწვლა სისხლამდე ... [დავით ჩუბინაშვილი მიუთითებს, რომ **გერში** სომხურია, ნიკო მარს იგი სემიტური წარმომავლობისად მიაჩნია, სულხან-საბასთან კი ამ სიტყვის წარმომავლობა საერთოდ არ არის აღნიშნული].

ი. აბულაძესთან ილუსტრაციები სხვა ძველი ტექსტებიდანაც არის დამოწმებული: **გერში-ი** ნაკვალევი, ნსახი (ჭრილობისა, სენისა): „განიკურნა იგი... ვიდრემდის არარაა გერში სალმობისა იყო მის თანა ყოლადვე“ ლიმ. 70,7; „სარწმუნო იქმნა გერში კაცისა მის ყურწარკუეთილისა“ **ath.**-11,84...

ზურაბ სარჯველაძის ძველი ქართულის ლექსიკონში დადასტურებულია შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **გერშეული**, **გერშეულობა**, **უგერშო** [**გერშეულ-ი** დაჭრილი, დაშავებული. „ხორცთა კაცისათა რომელ გერშეულ არნ, ასომ მკვლელ ჰრქვიან“ [პარხლ. მრავალთ. 178r, 13-15 b]; **გერშეულობა** „არა შესწირო კრავი, რომელსა თანა იყოს გერშეულობა რაიმე“ [იერ.=3 101 v, 30-31]. **უგერშო** უზადო, წმინდა. შჭულიერად თქუმისაებრ უბიწო და ყოვლად უგერშო იყვნენ [A=698 143 v, 11-13]; ძუელსა მასცა შინა უგერშოდ უბიწობა იგი მსხუერპლისა სახე და წინამომასწავლებელ იყო ქრისტეს უბიწობისა [იერ.=6 26 v, 4-8 a,]; კრავნი უგერშონი და უბიწონი [პეტრ. ქართვ. 214,7]... [ძვ. ქართ. ლექს. 1995]. უკანასკნელი სიტყვის სემანტიკური გადააზრება სრულიად ნათელია.

სიტყვა **გერში** ქართულში დადასტურებულია დიალექტებშიც (მთის კილოებში): **გერში-ი** გულ., მთ., მოხ., ჯ., თ. დაკარგული საქონლის ნიშანი (ტყავი, სისხლი და სხვ.). პატრონი ეუბნება მეცხვარეს: „ისე როგორ დაჰკარგე ცხვარი, რომ მისი ლიშან-გერში არ იპოება?“ „უგერშოდ დაიკარგა“... **გერში-ი** (2) ჯ. მძიმე ნაჭრევი თავში (ტვინი რომ ამოუჩნდეს)... **გაგერშვა** ჯ. ოდნავ დაჭრა იარაღით

(ცოტა სისხლი რომ გამოუვიდეს) ან ძაღლმა რომ კბილი გაჰკრას. **გაგერშვა** ფშ., დაჩვევა... **გეშ-ი** „ჩვენის კაცობის გეში უნდა მოვიტანო“ (ყ. 335,4)... **გერშ-ი** (?) ... (ა. შან. I, 303; 1984).

ასევე, ალ. ჭინჭარაულის ხევისურული ლექსიკონში: **გერშ-ი** 1. რისამე ნაწილი, ნიშანი [შდრ.: საბა, ა. შან., გ. ცოც., პ. გაჩეჩ., ლ. კაიშ.: გერში]. 2. „მძიმე ნაჭრევი თავში ტვინი რომ ამოუჩნდეს“ (ა. შან.). აგრეთვე: **გერშვა**, **გაიგერშების**, **გასაგერშავად**, **უგერშ**, **უგერშდაკარგული**, **უგერშდასაკარგავი**, **უგერშოდ... გერშვა** 1. შეჩვევა, გაწაფვა... **გაგერშული-ი**: „ეუბნების გიგიაი: „აქ მაჩვი-ას გაგერშული“ (ალ. ოჩ. 136, 21). 2. „ოდნავ დაჭრა იარაღით (ცოტა სისხლი რომ გამოუვიდეს)“ (ა. შან.). (შდრ.: ივ. ბუჭტურ.: გაგერშვა. შ. ძიძიგ., ნ. კეცხ., პ. ხუბ.: გაგეშილი, ფშ. გ. ცოც., ნ. როსტ.: გაგერშილი)... **უგერშ** უკვალოდ (შდრ. ფშ.: უგერშოდ. გ. შარაშ. უგეში). **უგერშოდ** იხ. **უგერშ... უგერშდაკარგული-ი** წყევლაა: დაღუპული, სასიკვდილე. **უგერშდასაკარგავი-ი** წყევლაა: დასაღუპავი...

მართალია, სიტყვა **დაგერშვა** (და- ზმნისწინიანი ფორმა) „დაჭრის, ჭრილობის მიყენების, დაზიანების“ მნიშვნელობით არ ჩანს, მაგრამ მისი არსებობა სრულიად ბუნებრივად მოიაზრება, ამის ნიმუშია ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიაში“ („სისხლის სამართალში“) დადასტურებული ტერმინი **დაგერშვა**, აგრეთვე, ძველი ქართულის, დიალექტებისა და ქეგლის მონაცემებიც: **გერშავ-ს** (დაგერშავს, დაუგერშავს) იგივეა, რაც გეშავს... **გერშვა** იგივეა, რაც დაგერშვა... (ძველი და ახალი რედაქციები).

ქეგლის ძველ რედაქციასთან შედარებით ახალ რედაქციაში უფრო დაზუსტებულია ამ სიტყვის მნიშვნელობები: **გერში** 1. კუთხ. იგივეა, რაც გეში. 2. მცირე ჭრილობიდან გამონადენი სისხლი (საბა). 3. ძვ. ჭრილობა და ჭრილობის საზღაური ძველ ქართულ სამართალში... (შდრ.: ძველი რედაქცია: **გერში** 1. იგივეა, რაც გეში. 2. მცირე ჭრილობიდან გამონადენი სისხლი (საბა)... **გეში** 1. დაკარგულის ან რაიმე საძიებლის მისაკვლევი ნიშანი, — კვალი. ქურდობისა და ავაზაკობის საქმეში თვალად წვრილმანი რამ გეში და კვალი ხშირად უფრო აცხადებს საქმის ვითარებას, ... ვიდრე სხვა რამ (ილია). 2. ალღო, ჩვევა, გაწაფულობა, გამოცდილება...
◇ **გეშს აიღებს** რაიმეს კვალს, გეშს მიაგნებს... **გეშავს** (ფრინველს,

ძალს) გეშით კვალის მიგნებას ასწავლის, წვრთნის. მიმინოს გეშავს. — ძალს გეშავდა...).

ნ ი ნ ო ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე

ტერმინ „ორთოგრაფიულია“ და ლექსიკონთა კვალიფიკაცია-კლასიფიკაციის საკითხისათვის ქართულში

მიუხედავად საყოველთაოდ დადგენილი და თითქოსდა, ერთი შეხედვით, ყველა ენისათვის უნივერსალური, საერთო სისტემებისა, თითოეულ ენას, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, მასში კორექტივები შეაქვს. ამის საინტერესო მაგალითი ტერმინ **„ორთოგრაფიულია“** და ზოგადად, **ორთოგრაფიული, ნორმატიული და განმარტებითი ლექსიკონების** სხვადასხვა ენებში განსხვავებული კვალიფიკაცია-კლასიფიკაციის საკითხებია.

ერთი შეხედვით, **განმარტებითი და ორთოგრაფიული** ლექსიკონების აგების პრინციპები თითქოს ყველა ენაში ერთნაირი უნდა იყოს და ტერმინებიც ერთნაირად უნდა განიმარტებოდეს, მაგრამ ეს ასე არ არის. თითოეული ენის სისტემა, ისევე და ისევე თავისი განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ტერმინების (და ლექსიკონების) განსხვავებულ კლასიფიკაცია-კვალიფიკაციას იძლევა.

რუსულსა და სხვა ენებში **განმარტებით ლექსიკონს** განმარტებითობის გარდა **ნორმატიულობის** ფუნქციაც აქვს, ხოლო **ორთოგრაფიული** ლექსიკონის მთავარი დანიშნულება უკვე დადგენილი წესების საფუძველზე **წარმოთქმისა და დაწერილობის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანაა**. აქედან გამომდინარე, **ამ ენების ორთოგრაფიულ ლექსიკონებში დიალექტური ფორმებიცაა შესული და მას ნორმატიულობის ამბიცია არა აქვს**. ეს ყველაფერი აღნიშნული ტიპის ენებში წარმოთქმასა და დაწერილობას შორის დიდმა სხვაობამ გამოიწვია. თავად ცნება **„ორთოგრაფიის“** წარმოშობაც ამ სხვაობამ და მისი მოწესრიგების საჭიროებამ განსაზღვრა.

ქართულში, ამ პრობლემის არარსებობის გამო, სხვანაირი ვი-

თარება შეიქმნა. აქ **განმარტებით ლექსიკონში ბევრი დიალექტური ფორმაა შესული**, ხოლო **ორთოგრაფიულ ლექსიკონს მკვეთრად განსაზღვრული ნორმატიული ხასიათი აქვს**. ეს საგანგებოდაა აღნიშნული ორთოგრაფიულის შესავალში, სადაც დაზუსტებულია, რომ მასში უმთავრესად ფონეტიკურ-მორფოლოგიური (დავამატებდით, სინტაქსურიც!) ხასიათის ფორმანშესიტყვებებია გათვალისწინებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ:

1. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **სალიტერატურო თუ სასაუბრო ენის ფორმებთან ერთად**, იდეალურ ვარიანტში ყველა დიალექტური ფორმაც უნდა იყოს შეტანილი (მოცულობის პრობლემა თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ადვილად წყდება);

2. ტერმინ „**ორთოგრაფიულზე**“ უფრო მეტად (ვინაიდან ორთოგრაფიული სახის რამ ტერმინის ამოსავალი და საერთაშორისო მნიშვნელობით პრობლემები ქართულში, ფაქტობრივად, არ გვაქვს და ამ სახელწოდების ლექსიკონში, როგორც თავად შემდგენლები აღნიშნავენ, სხვა ტიპის მოვლენებია გათვალისწინებული) აღნიშნულ ლექსიკონს ქართულში ტერმინი — „**ნორმატიული**“ შეესაბამება.

მ ა რ ი ნ ა ჯ ლ ა რ კ ა ვ ა

ერთი სემანტიკური ჯგუფის ზმნათა მორფოლოგიური სახე მეგრულსა და ლაზურში

მოხსენებაში განხილულია ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები. მათი სუბიექტი უდავოდ აქტიურია, მაგრამ აქტივისა და მედიუმის ფორმებს შორის შეგვხვდა პასივის ფორმებიც. ქართულში ასეთის გამჭვირვალე მაგალითებია ზმნები **ელაპარაკება** და **ეუბნება**.

მეგრულში ლაპარაკის აღმნიშვნელი ძირითადი ზმნებია: **რაგადანს** „ლაპარაკობს, ამბობს“, **თქუანს** „იტყვის“, **იჩიებუ** „ლაპარაკობს, საუბრობს“, **უწიინს** „ეტყვის“. ყველაზე ხშირად მეტყველებაში

გვხვდება ზმნები **რაგადანს** და **იჩიებუ**. ო. ქაჯაია აღნიშნავს, რომ **რაგადანს** ზმნას ენაცვლება **იტყუ** „იტყვის“, **თქუუ** „თქვა“, ხოლო სასხვისო ქცევის ფორმას **ურაგადუ(ნ)** — **უწინს//უწოლენს** „იტყვის“, **უწუუ//უწოუ//უწოლუ** „უთხრა“ ზმნები. **რაგად** ძირისგან ვნებითის ფორმაც იწარმოება და პოტენციალისიც; ვნებითი — **ირაგადუ(ნ)** „ითქმება“, რომელსაც გააჩნია წყვეტილისა და თურმეობითის ფორმები: **ირაგადუ** „ითქვა“, **რაგადებელ/რე¹(ნ)//რაგადელ(ნ)** „თქმულა“; პოტენციალისი — **ირაგადე(ნ)** „ითქმება“ (ერთპირიანი) და **არაგადე(ნ)** (ორპირიანი). ავტორს მოჰყავს კაუზატიური ფორმებიც: **ორაგადუანს** „ალაპარაკებს“, **ურაგადუანს** „ელაპარაკება“, **ორაგადაფუანს** „ალაპარაკებს“... რადგან ძირზე პრევერბების დართვით ხშირად იცვლება სემანტიკური სახე (**აკარაგადანს** „ცუდ სიტყვებს მიაღვენებს, ზურგს უკან ამბობს“, **გიორაგადანს** „დაალაპარაკებს, ნათქვამს ზედ დაამატებს“, **აკირაგადანა** „მოილაპარაკებენ“, **გილარაგადანს** „დადის და დალაპარაკობს“, **მირაგადუანა** „მოილაპარაკებენ“ და ა.შ.)

ამ სემანტიკურ ჯგუფში მეგრულში ერთიანდება 100-ზე მეტი ზმნა, როგორებიცაა: **ბარდალანს** „უთავბოლოდ, დაბნეული ლაპარაკობს“, **ბურხინუნს** „რიხით ლაპარაკობს“, **გედუდინუნს** „გაურკვევლად ლაპარაკობს“დას ხვ.

უმეტესობა ამ ზმნებისა ხმაბაძვითია. ისინი ხშირად გადატანითი მნიშვნელობით იხმარება და სარკაზმის, ირონიის, უკმაყოფილობის გამოსახატავად უფრო გამოიყენება მეტყველებაში.

ლაპარაკის სხვადასხვა მანერის გადმოსაცემად მეგრულში ფრაზეოლოგიზმებიც ბევრი გვხვდება, ქართულის „ენას ატლიკინებს“ ტიპისა. მაგ., **ნინას უდარდალუანს** „ენას უდარდალებს, ყბედობს, მოსაბეზრებლად ლაპარაკობს“.

მოყვანილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ უმეტესობა ამ ზმნებისა ძირითადად აქტივის ფორმისაა, რადგან სემანტიკურად სუბიექტის რეალურ მოქმედებას გადმოსცემენ. ისინი მოქმედებითი გვარისაა (რელატიური, ორპირიანი), ან საშუალ-მოქმედებითებია (აბსოლუტური), თუმცა ეს დაყოფაც ზოგჯერ პირობითია, რადგან ერთსა და იმავე ფორმას კონტექსტის მიხედვით ეცვლება პირიანობის გაგება. მაგ.: **მუდგასიე ბურდლინუნს, ვეგმაგინუ, მუ ოკონი** „რალაცას ბურდლუნებს, ვერ გავიგე, რა უნდა“ (ბურდლინუნ-ს თინა თის „ბურდლუნებს ის მას“); **თუნთიშორო ბურდლინუნსგ** „დათვივით

ბურდლუნებს“ (ბურდლინუნს თინა „ბურდლუნებს ის“); მნიშვნელობის სხვაობას განაპირობებს სუბიექტის (წინადადებაში — ქვემდებარის) კატეგორია : ადამიანთა და არაადამიანთა.

ლაპარაკის აღმნიშვნელ ზმნებს შორის მეგრულში დებონენსებიც გვხვდება: **იჩიებუ, ეჩიებუ, იბობონუ, იბურჭულუ** დას ხვ.

ამ ზმნების ნაწილს პასივის ფორმების პარალელურად აქტივის ფორმებიც გააჩნია. ამ დებონენსების უმეტესობას შეუძლია აწრმოოს აწმყოს წრისა და დრო-კილოთა IV ჯგუფის მწკრივები.

ლაზურში ლაპარაკის, საუბრის სემანტიკის ზმნებია: **ზობონს, თქვუ//ტკუ, ლაჭუ, პარამითუ, ისინაფუ, ღარღალამს, ბარბალაფს, ხაპარამს** და ა. შ.

მეგრულსა და ლაზურში ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნების საერთო ძირებია: **თქ//თქვ//ტქვ** „თქვა“ და **ღარღალ**. ღარღალი ზოგადად „ლაპარაკია“ ლაზურში, მეგრულში კი — „მოსაბეზრებელი ლაპარაკი“. რაც შეეხება **რაგად** ძირს, მეგრულში ლაპარაკის აღმნიშვნელი ყველაზე პროდუქტიული ფორმების საფუძველია, ლაზურში კი „რყევას, ზანზარს, ბანცალს, ნგრევას“ აღნიშნავს. მაგ., **ირფელი ირაგადე(ნ)** მეგრულად ნიშნავს „ყველაფერი ითქმება-ს“, ლაზურად კი — „ყველაფერი ზანზარებს“.

როგორც ამოკრებილი მასალიდან ჩანს, ლაპარაკის აღმნიშვნელი ზმნები მეგრულში გაცილებით მეტია, ვიდრე ლაზურში. დებონენსები ამ სემანტიკის ზმნებს შორის ლაზურში არ შეგვხვდებიან, მეგრულში კი საკმაოდაა.

პროექტი „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“

პროექტი (№31/15) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

იდიომის ცნებისათვის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ **იდიომის** სინონიმად იხმარება **ფრაზეოლოგიზმი**, **ფრაზეოლოგიური გამოთქმა** (**შეხამება**, **ერთეული**), **იდიომატური გამოთქმა** (**თქმა**, **შესიტყვება**), **ლექსიკალიზებული შესიტყვება**, **ფრაზემა**, **ხატოვანი (ფიგურალური) სიტყვა-თქმა**, **მყარი შესიტყვება**.

ტერმინთა სიუხვესთან ერთად არაერთგვაროვანია იდიომის ცნების განსაზღვრა. ზოგი მკვლევარი ერთმანეთისაგან განსხვავებს **მყარ შესიტყვებებს**, **ფრაზეოლოგიურ ერთიანობებსა** და **იდიომებს**, ზოგიც — **ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებსა** და **იდიომებს**. ჩვენთვის უფრო მისაღებია მეორე დაყოფა, ვინაიდან მყარი შესიტყვებისა და ფრაზეოლოგიური ერთიანობის გამმიჯნავი კრიტერიუმია ნათელი არ არის.

იდიომის განმსაზღვრელ ნიშნად სხვადასხვა მკვლევარი მიიჩნევს: სიტყვათა რიგის სიმტკიცეს, მნიშვნელობის გადატანითობას, მის უთარგმნელობას სხვა ენაზე (ზუსტად ან საერთოდ), ხატოვანებას, მათში არქაული ლექსიკის გამოვლენას. ყველა მეცნიერი თანხმდება იმაზე, რომ **იდიომი არის ორი ან მეტი სიტყვის კავშირი, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების (მასში შემავალი სიტყვების) მნიშვნელობათა ჯამს**.

აზრთა სხვადასხვაობაა იდიომებად განსახილველი მასალის კლასიფიკაციის თვალსაზრისითაც. დასავლეთეუროპულ მეცნიერთა ნაწილის მოსაზრების თანახმად, კომპოზიტიც შეიძლება განვიხილოთ

როგორც იდიომი; ეს თვალსაზრისი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის გაზიარებული.

ზოგი მკვლევარი იდიომებში განიხილავს ტერმინებს, ანდაზებს, აფორიზმებსა და ფრაზებს; ა. თაყაიშვილის დასკვნის შესაბამისად, ტერმინოლოგიური გამოთქმები მთლიან აზრს გამოხატავენ პირდაპირი მნიშვნელობებით, ფრაზეოლოგიზმებში კი მნიშვნელობის გადატანა გვაქვს, ანდაზები და აფორიზმები კი ფორმით წინადადებებია და გადმოსცემენ დამრიგებლურ აზრს, ხოლო ფრაზად მიიჩნევა ყოველგვარი შესიტყვება.

ჩვენ ვიზიარებთ აღნიშნულ არგუმენტებს, ასევე იმასაც, რომ ანდაზა ფრაზეოლოგიის შევსების ერთ-ერთი წყაროა — მისი ელიფსისის გზით: ქართ. **კბილის გასინჯვა** „შემოწმება; გამოცდა“ — იდიომი და **ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯება** — ანდაზა (ა. თაყაიშვილი). ჩვენ ვვარაუდობთ, რომ იდიომი შეიძლება მივიღოთ ანდაზის გადააზრების შედეგადაც: მეგრ. **საბურჭულაშ საარგუნოთ გინორთინაფა** „იოლი საქმის გართულება; საქმის წახედნა“ — იდიომი და **საბურჭულაშ საარგუნოთ ვეგნართინუაფა** „საწაღლო სანაჯახოდ არ გადააქციო“ — ანდაზა.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

დინა „მიწა“ ლექსების შემცველი იდიომებისათვის მეგრულში

მეგრულში **დინა „მიწა“** ლექსემა საკმაოდ აქტიურია იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით. ამ ლექსიკური ერთეულის შემცველი იდიომები გამოხატავენ სხვადასხვა შინაარსს. მასალის სიუხვის გამო თითოეულ თემატურ ჯგუფში თითო იდიომს წარმოვადგენთ:

არეულობა, ჩხუბი, აყალმაყალი, ხმაური, ქვეყნის დაქცევა: **დინა უჩას ნწყუნს** „ჩხუბობს, ხმაურობს“ ზედმიწ. „შავ მიწას აქცევს (შლის)“;

შურისძიება, სამარის კარამდე ჩაყოლა, მიზნის მიღწევის მიზნით კვალში დევნა: **დინაშა ინათხოზუ** „შურს იძიებს“ ზედმიწ. „კვალში მისდევს“. ამავე მნიშვნელობით დასტურდება სხვა ვარიანტიც: **დინაში გურგუა გეთხოზ** — „მიწის გულამდე მისდევს“;

დარდი, რამის მუდმივად ხსომება, სამარეში დარდის ჩაყოლება: **დინაშა ინაცუნუ** „არასდროს დაავიწყდება“ ზედმიწ. „მიწაში ჩაჰყვება“;

შერცხვენა; თავდადება, თავგანწირვა: **დინაშა ინილგ** (II **დინილგ** II **მიოთულგ**) „თავი შეირცხვინა“ ზედმიწ. „მიწაში ჩავიდა“;

საფლავში მიცვალებულის შეწუხება, უბედურების ან სამარცხვინო ამბის გამო: **დინას გამნირთუ** ზედმიწ. „საფლავში გადაბრუნდება“;

მომაკვდავი, მოკვდავი: **დინაშა მაულარი** „ზედმიწ. „მიწაში წამსვლელი“;

მიწის დამუშავება — ხვნა, ბარვა, თონხა: **დინას ქყოლგნგ** „მიწას ამუშავებს“ ზედმიწ. „მიწას ჭრის“;

გამოუვალი მდგომარეობა: **ეშე ცა დო გიმე დინა** II **ჟიდო ცა და თოდო დინა** ზედმიწ. „ზევით ცა და ქვევით მიწა“;

ჭირისუფალი: **დინაში მენმარღვაფალი** ზედმიწ. „მიწის დამყრელი“;

სამარე, საიქიო: **უჩა დინა** ზედმიწ. „შავი მიწა“;

წყევლა: **დინა ქგნოციმუდას** „მოკვდეს, დასამარდეს“ ზედმიწ. „მიწა მიეყაროს“;

დამარხვა: **დინაშა ქუბუგეს დუდი** „დაკრძალეს“ ზედმიწ. „მიწაში უკრეს თავი“;

მორჩილება: **(სქანი) დინა ვორექ** ზედმიწ. „შენი მიწა ვარ“;

ორპირობა, თვალთმაქცობა: **ირი დინაშე ჯან** ზედმიწ. „ყველგან (ყველა მხარეს) წევს“;

ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, მადლიერება: **დინას ვაოთანა ართიანიში(ი) ჭირს** „უყვართ ერთმანეთი, პატივს სცემენ, ემადლიერებიან ერთმანეთს“ ზედმიწ. „ერთმანეთის ჭირს მიწაზე არ აგდებენ“;

მტრობა, ღალატი: **დინას უნთხორგნს** „ფარულად მტრობს“ ზედმიწ. „მიწას უთხრის“;

მოუსავლიანი მიწა: **უქყანიე დისა** ზედმიწ. „უძალო მიწა“;

თავდაუზოგავად შრომა: **ჩხვინდით დისას ნთხორჯნს** „თავდაუ-
ზოგავად შრომობს“ ზედმიწ. „ცხვირით მიწას თხრის“;

ორპირი (გამკრავი) ქარი რომ ქრის, ისეთი ადგილი: **წი-
არგვუა დისა** ზედმიწ. „მწვერვის მსგავსი მიწა“;

ყველაფრის თავისად მიჩნევა: **ცა ქუდი აფუ დო დისა ჩაფუ-
ლა** „ყველაფერი თავისი ჰგონია“ ზედმიწ. „ცა ქუდად აქვს და მიწა
ქალამნად (ფეხსაცმლად)“;

ყველაფრის გაცნობა, დაუფლება: **ცა დო დისა ვადიტუ** „ყვე-
ლაფერს გაეცნო, დაეუფლა“ ზედმიწ. „ცა და მიწა არ დატოვა“;

ძლიერ მოწონება: **თოლგქ დისაშია ქუდუსხაპუ** (II **ქუდულოღ**)
„ძალიან მოეწონა“ ზედმიწ. „თვალი მიწაზე დაუხტა (II დაუვარდა)“;

ქონდრისკაცი; მიწის ან მიწათმოქმედების მოყვარული: **დისაში
კოჩი** ზედმიწ. „მიწის კაცი“;

მიწის მუშა: **დისაში მანთხორალი** ზედმიწ. „მიწის მთხრელი“;

ძალიან პატარა, დაბალი ადამიანი ან მცენარე: **დისას II დისა-
შე ვეშაჩქ** „ძალიან პატარაა, დაბალია, ძლივს ჩანს მიწაზე“ ზედმიწ.
მიწაზე არა ჩანს ან ამოსული არ არის მიწიდან“;

უქმად სიარული: **დისას ჭაბაკანს** „უქმად დაღის“ ზედმიწ.
„მიწას ტკეპნის“;

უფერული, ფერმკრთალი: **დისაში ფერი გინოძე** „ფერი არ
ადევს“ ზედმიწ. „მიწისფერია“;

უგემური: **დისაში გემო ულუ** „უგემურია“ ზედმიწ. „მიწის გემო
აქვს“;

მოსავალი: **დისაში მუნაწიუ** ზედმიწ. „მიწის მოწეული“;

გალანძღვა, სახელის გატეხა: **დისას ქიმთოღუ** „გალანძლა,
სახელი გაუტეხა“ ზედმიწ. „მიწაში ჩაღო“;

ამპარტავენება: **დისაში ვაუბიჯგე კუჩხი** „ამაყია“ ზედმიწ. „მი-
წაზე არ უდგას ფეხი“;

მიწაზე ბევრი, გამუდმებული მუშაობა: **დუს(უ) დისაშე ვეჭო-
ფუნს** „გამუდმებით, სულ მუშაობს“ ზედმიწ. „მიწიდან თავს არ
აიღებს“;

სამარცხენო, დასასამარებელი: „**დიხაში ონთხორალი**“ ზედმიწ. „მიწაში დასამარხი“;

სიცოცხლის უფლება: **დიხას ვეგიორინუ** „არ აცოცხლა“ ზედმიწ. „მიწას არ დააყენა“;

საანალიზო იდიომები ყურადღებას იქცევს სტრუქტურული თვალსაზრისითაც.

ვაჟა შენგელია

ფრაზეოლოგიზმი და კომპოზიტი მეგრულში

ფრაზეოლოგიზმისა და კომპოზიტის ურთიერთობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მკვლევარი მათ ერთმანეთისაგან არ განასხვავებს, ზოგს კი ისინი სხვადასხვა ენობრივ ერთეულებად მიაჩნია. ჩვენ იმ აზრს ვიზიარებთ, რომლის თანახმადაც სემანტიკურად იდიომებსა და რთულ სიტყვებს შორის სხვაობა არა გვაქვს (საერთო მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს), მაგრამ გრამატიკული თვალსაზრისით ისინი სხვადასხვა ოდენობებია (კომპოზიტის პირველი კომპონენტი უცვლელია და მხოლოდ მეორე კომპონენტის ფორმაცვალეა შეიძლება, იდიომის შემთხვევაში კი შესაძლებელია ორივე კომპონენტი შეიცვალოს), ამიტომ ისინი სხვადასხვა ოდენობებად უნდა მივიჩნიოთ; ისიც გასათვალისწინებელია, რომ კომპოზიტის კომპონენტთა განლაგება მყარია, ხოლო იდიომატური გამოთქმის კომპონენტების ადგილმონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ფრაზეოლოგიზმისა და კომპოზიტს შორის კავშირი ცხადია არა მხოლოდ სემანტიკის გამო, არამედ წარმოშობის თვალსაზრისითაც, რადგან რთული სიტყვა ხშირად შესიტყვებისაგან არის მიღებული, რასაც ადასტურებს მეგრულ-ლაზური ენის მეგრული დიალექტის მონაცემებიც. ეს მარტივი შედარებიდანაც აშკარაა:

ფრაზეოლოგიზმი

გურ უღურუ	„გული უკვდება“
გურს უჩანს შურს ვებუმს ხეს უნწყუნს	„(მი)ხვდება“ „დუმს“ „ხელს უწყობს“
კილეს კილურღვანს თოლი ართუ	„ხელკავს გამოსდებს“ „თვალი უჭრელდება“
თომამ მიკოცოთამა ჩხვინდი აფუ ეკუნელი კისერს იტანგნს	„თმის მოკვეცა“ „ცხვირი აქვს აბზუებული“ „კისერს იტენს“
თანაფა უთად	„ძალიან უხარია“

რთული სიტყვა

გურღურელი	„გულმოკლული“
გურჩამა შურუბუშობა ხემანწყუ	„მიხვედრა“ „დუმილი“ „ხელმეფეობი“
კილეკილარ-ღვაფილი	„ხელკავიანი“
თოლმორთელი	„თვალაჭრელე-ბული“
თომამიკოცოთამილი ჩხვინდეკუნელი	„თმამოკვეცილი“ „ცხვირაბზუებული“
კისერტანილი	„კისერმოტენილი“
თანაფაგოთანელი	„ძალიან გახარებული“

ზოგიერთ კომპოზიციას ამჟამად შესაბამისი იდიომი არ ეძებნება (მაგ., **აფნარხვილი** „მოსაზრებული, მოხერხებული, ჭკვიანი“, ზედმიწე. „ბეჭვახვრეტილი“; **ძიუდოდურათ** „ძლივს“, ზედმიწე. „ძლივს და სიკვდილად“; **უმარდულ-უგერდული** || **უგერდულ-უმარდული** „უმაღური“...).

არც ყველა იდიომის კომპოზიტად გარდაქმნა დასტურდება (მაგ., **გერიშ გემანგენჯი** „ყოჩალი, გამბედავი“, **ტურაშ, მაჭვალარი** „მარჯვე, მოხერხებული“, **კითიშ ოკვათალი** „იშვიათი, ძნელად საშოგნი რამე“, **დუს იცვილუნს** „თავს იკლავს“... სათანადო კომპოზიტი არ ჩანს).

ცირა ჯანჯღავა

ფლორასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები მეგრულ იდიომებში

ფლორასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულების გამოყენება მეგრულ იდიომებში ხშირი არ არის, მაგრამ მათზე ყურადღების გამახვილება მაინც საჭიროდ მიგვაჩნია. ეს იდიომები წარმოგვიდგება როგორც ორკომპონენტური და სამკომპონენტური შესიტყვებები.

ორკომპონენტური შესიტყვებებში გვაქვს როგორც სახელური, ისე ზმნური სინტაგმები:

ქინძიშ ბარჯი „პატარა ტანის ადამიანი, ლილიპუტი, ზედმიწ.“
„ქინძის სარი, ბოძი“

ქინძიშ ბარჯიე ნამდვილი, დიდას გვ „ლილიპუტია ნამდვილი, დელას ჰვავს“

ჯაშ დუდამი „უტვინო, სულელი“, ზედმიწ. „ხის თავიანი“

ჯაშ დუდამიშე მუს ოკო ელგდე უჯუმის „სულელისაგან რას უნდა ელოდე უკეთესს“.

ფოსო გოჭყვიდუნს „ამოწყვეტს, ამოძირკვავს“, ზედმიწ. „ფესვად გაწყვეტს“ (მდრ. ქართ. **ძირფხვიანად**). გვაქვს წყევლა: **ფოსო გოჭყვადილი!** || **ფოსო გოჭყვადედას!** „ამოწყვეტილიყოს!“

მითინ ვადუტებუ, **ფოსო გოჭყვიდუ** ი ოჯახი „არავინ დაუტოვებია, ამოწყვიტა ის ოჯახი“.

ბაიაშ მოლია „ადრიანი გაზაფხულის დასასრული“, ზედმიწ. ბაიის მოლევა“

ბაიაშ მოლიას გოტიბუ ქიანა „ადრიანი გაზაფხულის დასასრულს გათბება ქვეყანა“.

სამკომპონენტური იდიომებში ერთი კომპონენტი, როგორც წესი, ზმნაა:

ჯაშე ყვარიას გილაგოთანს „ძალიან მწარე რამეს ამბობს“, ზედმიწ. „ხიდან ყვავს ჩამოაგდებს“.

იმ ნარაგად **ჯაშე ყვარიას გილაქოთანს** „მის ნათქვამი ძალიან მწარეა“

ზაფანა ჭკომილცალო მგწოლ „უცებ, სწრაფად წამოხტება“, ზედმიწ. „წიწაკა ნაჭამივით წამოხტება“

თენა ქიგეგუნი, **ზაფანა ჭკომილცალო გამწოლ** „ეს რომ გაიგო, უცებ წამოხტა“

კინტირიშ ფას ულუ „უმნიშგნელოა“, ზედმიწ. „კიტრის ფასი აქვს“
იმ ნარაგადღს **კინტირიშ ფას ულუ** „მისი ნათქვამი უმნიშგნელოა“

აქვე განვიხილავთ და კავშირიან იდიომს — **ჯა დო ქუა** „მაგარი, მყარი, მტკიცე, ჯიუტი“.

მუ გაქიმინე, **ჯა დო ქუა** რე დო უხვამ ზუკოლს ვაურჩქილე „რას იზამ, ჯიუტია და სხვის დარიგებას არ შეისმენს“.

პროექტი „ქართული სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო“

პროექტი №246/1-30/13 ხორციელდება შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

ერთი ტიპის დანართიან სახელთა მართლწერისათვის

ნაირგვარია სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა სათაურები, რომ-
ლებიც გამოიყენება როგორც დანართთან ერთად, ისე — დამოუკი-
დებლად. არცთუ იშვიათად სათაურებად დასტურდება ორი ან მეტი
(„და“ კავშირით შეერთებული) სახელობითბრუნვისფორმიანი სახელი
(ზოგჯერ მრავლობითი რიცხვის ფორმითაც). რაკი სათაურის ბოლო
სიტყვა სახელობით ბრუნვაშია, ბრუნვის ნიშნებსა და თანდებულებს
სწორედ მათ დაურთავენ ხოლმე, ზოგჯერ კი — ვინაიდან სახელი
ორია (ან სამი) — ბრუნვის ნიშნებითა თუ თანდებულებით ფორმდე-
ბა ორივე სიტყვა. კიდევ უფრო რთული ვითარება გვაქვს მაშინ, რო-
ცა აღნიშნული ტიპის სათაურები დანართებითაა წარმოდგენილი.
მაგალითად, ერთმანეთის პარალელურად დასტურდება: რომანმა
„დანაშაულმა და სასჯელმა“ || რომან „დანაშაულმა და სასჯელმა“ ||
რომანმა „დანაშაული და სასჯელმა“ || რომან „დანაშაული და სა-
სჯელმა“ || რომანმა „დანაშაული და სასჯელი“, ან კიდევ: რომან
„ომი და მშვიდობაში“ || რომან „ომსა და მშვიდობაში“ || რომან
„ომში და მშვიდობაში“ || რომანში „ომი და მშვიდობა“; ნაწყვეტი
კინოფილმი „სიყვარული და ცრემლებიდან“ || ნაწყვეტი კინოფილმ
„სიყვარული და ცრემლებიდან“ || ნაწყვეტი კინოფილმ „სიყვარული-
დან და ცრემლებიდან“ || ნაწყვეტი კინოფილმი „სიყვარულიდან და
ცრემლებიდან“ || ნაწყვეტი კინოფილმიდან „სიყვარული და ცრემლე-
ბი“ და მრავალი სხვა.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები აღნიშნული ტიპის დანართიან სახელთა მართლწერასთან დაკავშირებით.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

ერთი სახის პუნქტუაციური უზუსტობისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში

1. პუნქტუაცია არ არის გრამატიკის ნაწილი, მაგრამ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული გრამატიკასთან, ყველაზე მეტად კი სინტაქსთან. პუნქტუაციის საფუძველი ლოგიკურ-სინტაქსურია.

სასვენი ნიშნები მიგვითითებენ იმაზე, თუ როგორ ნაწევრდება ტექსტი წინადადებებად, წინადადებები — შემადგენელ ნაწილებად, რომელთა სასვენი ნიშნებით გამოყოფასაც მნიშვნელობა აქვს როგორც აზრის ნათლად გადმოცემისათვის, ასევე დაწერილის სწორად გაგებისათვის. ამიტომაც უკავშირდება პუნქტუაციის პრობლემა, ერთი მხრივ, ზეპირმეტყველების ინტონაციურ ნორმებს, ხოლო მეორე მხრივ — წერის კულტურის მოთხოვნებს.

2. რთული წინადადების ნაწილები ერთმანეთს უკავშირდება არაერთი კაშირითა თუ ნაწილაკით. ყურადღებაა გასამახვილებელი განსაკუთრებულ შემთხვევებზე, როცა წინადადებაში ისეთი შინაარსია გადმოცემული, რომელიც უნდა შესრულდეს ან სრულდება გარკვეული პირობით. ძირითადად, ასეთი სტრუქტურის წინადადებებში მონაწილეობას იღებს **თუ**, **თუკი** და **რაკი** კავშირები. საქმე ეხება ისეთ შემთხვევებს, როცა რთული წინადადების მთავარი ნაწილი უკავშირდება დამოკიდებულ წინადადებას: „მაგრამ რაკი ვართ თავისუფალნი და ჩვენი ნება ჩვენს ხელთ არის, გონივრულად ვიცხოვროთ“; „ვის გაუგია ივლისში თოვა?! მაგრამ თუ მთხოვე, მე თოვლად მოვალ“; „სეიფი რთული გასაღებია, მაგრამ თუ შენ გასაღები გაქვს, მას ადვილად გააღებ“; „ხოლო თუ შენი ძმა შესცოდავს შენს მიმართ, მიდი და ამხილე, როცა მართო იქნებით ორივენი“; „ხოლო რაკი დარეჯანი ამირანის თქმულებაში „დარეჯანიანიდან“ არის შეტა-

ნილი, ამიტომ ცხადია, რომ სვანურ თქმულებას ქართულურსავით არ სცოდნია“;

3. მოსწავლეთა და სტუდენტთა, ასევე მასმედიის წარმომადგენელთა ნაწერებში დღეს არ გვხვდება დასახელებული ტიპის წინადადებებში კავშირის წინ სასვენი ნიშანი. ვფიქრობთ, რომ გარკვეული პირობის აღმნიშვნელ რთულ წინადადებებში შესაბამისი(პირობითი) კავშირების წინ (თუ, თუკი, რაკი) მძიმე დაისმის: მაგრამ, თუ; მაგრამ, რაკი; ხოლო, თუ; ხოლო, რაკი... აქ წინადადების დანაწევრებაცა და ინტონაციური პაუზაც აშკარაა და, შესაბამისად, მოითხოვს სასვენი ნიშნების გამოყენებას.

პროექტი „სიტყვათშემოკლებათა ელექტრონული ლექსიკონი“

პროექტი №23/1-30/13 ხორციელდება შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

ავთანდილ არაბული, თამარ ვაშაკიძე,
თეა ბურჭულაძე

აბრევიატურების ფორმაწარმოების საკითხი

სიტყვათა შემოკლებანი თუ აბრევიატურები თანამედროვე ეპოქაში სამეცნიერო-ტექნიკური სტილის ერთგვარ მახასიათებლად იქცა. პრესა, ტელე- და ინტერნეტსივრცე, რეკლამები, აბრეზზე განთავსებული წარწერები, საკანონმდებლო ენა, ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტები, სხვადასხვა დარგის სამეცნიერო ნაშრომები თუ პრექტები, სასკოლო სახელმძღვანელოები და სხვ. სახელმწიფო ენის ფუნქციონირების ის სფეროებია, რომლებიც სიტყვათშემოკლებათა (თუ აბრევიატურათა) მთელ სისტემას წარმოგვიდგენს.

ჩვეულებრივი სიტყვათშემოკლებისაგან განსხვავებით, აბრევიატურას ვიყენებთ შემოკლების ისეთი ფორმის აღსანიშნავად, როცა რაიმე მყარი დასახელების (სახელწოდების) სიტყვა-კომპონენტები მოკლდება და ერთ სიტყვად წარმოგვიდგება.

რამდენადაც აბრევიატურა ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში დამოუკიდებელ სიტყვას (სახელს) უტოლდება, ცხადია, მისი ბრუნებისა და თანდებულებით გაფორმების საკითხიც დაისმის. ამ მხრივ ლიტერატურასა და მასმედიაში არაერთგვაროვანი ვითარებაა. აბრევიატურა ადვილსებით ისევე უნდა გაფორმდეს, როგორც ჩვეულებრივი სიტყვა:

1. თუ აბრევიატურა განმოვანებულია (მაშასადამე, სიტყვის ბადალია), ბრუნვის ნიშნები მისგან დეფისით არ გამოიყოფა (**იუნესკომ, იუნესკოს, იუნესკოსი, იუნესკოთი...**);

2. სახელთან გათანაბრებულ აბრევიატურას თანდებულებიც პირდაპირ ფუძეზე დაერთვის (**ნატოში, ცესკოდან...**);

3. აღნიშნული ტიპის აბრევიატურები ისე იბრუნვის, როგორც ფუძეთუკვეცილი სახელები (**ფიდეს წევრი, ფიფას წევრი...**), თუმცა ზოგი აბრევიატურა დღეს უკვე დამოუკიდებელი სიტყვაა და, შესაბამისად, შეიძლება შეიკვეცოს (**თემქის დასახლება**) ან შეიკუმშოს (**ექთნის ადგილი**).

4. აბრევიატურათა ბოლოკიდური **ი** ხმოვანი ფუძისეულად ჩათვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ბოლო ასო-ბგერის დასახელების უკანასკნელი შემადგენელი კომპონენტია (**თიბისიმ, მაგრამ: ინტერ-პოლმა...**).

5. აბრევიატურები უნდა დაიწეროს უბრჭყალებოდ.